პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წლიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე
ტელეფ.) რედაქტორის 14—70
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—20.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერთა ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- ამერიკის ფლოტის ნაწილის გაწვევა ჩინეთიდან.
- სპარსეთის პრესა ოქტომბრის 11 წ. თავის შესახებ.
- პოლ ბონკური განიარაღების მოსამზადებელი კომისიის მოწვევის წინააღმდეგ
- წყნარ ოკეანეს სანაპიროების ქვეყნების პროფკავშირთა კონფერენცია შანხაიში.
- გლეხური დემოკრატიული კოალიციის დევნა სამხრეთ-სლავიაში.
- მოსკოვში მიემგზავრება ამერიკის ფინანსიური მეთვალყურე პოლონეთში — დიუი.
- პროფ. სამოილოვიჩი და მფრინავი სტრაუბე ბაქოში

სამშაბათი, 13 ნოემბერი 1928 წ.   ყოველდღიური გაზეთი   ფასი 5 კაპ. № 262 (2305)

ღარიბთა ჯგუფების შემოწმება

(საქ. კომპ. ცეკას წერილის გამო)

ღარიბთა ჯგუფების მუშაობა ერთ-ერთი იმ ცენტრალური ამოცანათაგანია, რომელსაც პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლად მუშაობაში. მთელ რიგ სახელმძღვანელო ხასიათის რეზოლიუციებში და მოხსენებებში არაერთხელ იყო გარკვეული ღარიბთა შორის მუშაობის ხაზი. საკითხი ღარიბთა ჯგუფების შესახებ საკმაოდ დიდი ხანია სდგას ჩვენი ორგანიზაციების წინაშე. საჭიროა იმის შემოწმება, თუ რა გაკეთდა ან რა კეთდება ამ მიმართულებით. საჭიროა იმ გამოცდილების შეჯამება, რომელიც ჩვენ უკვე გვაქვს ღარიბთა შორის მუშაობის დარგში. ეს ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს იმისათვის, რომ ღარიბთა ჯგუფების მუშაობა სათანადო ტემპით გაიშალოს.

ამიტომ საკავშირო კომპარტიის და საქართველოს კომპარტიის ცეკამ სპეციალური წერილით მიმართა ადგილობრივ ორგანიზაციებს. საქართველოს კომპარტიის წერილში ამის შესახებ, სხვათა შორის, ნათქვამია შემდეგი: „ცეკა დიდ მნიშვნელობას აძლევს შემოწმების ჩატარებას და ავალებს ადგილობრივ ორგანიზაციებს მაქსიმალურად განავითარონ ის იმ მიზნით, რათა გაუმჯობესებულ იქნას მთელი მუშაობა სოფლად და განმტკიცებულ იქნას პარტიის ხელმძღვანელობა საბჭოთა მომავალ არჩევნებში".

ღარიბთა ჯგუფების მუშაობის შემოწმებისათვის მეტად მოხერხებულ დროს წარმოადგენს საბჭოთა არჩევნების კამპანია. საბჭოთა არჩევნები მთელი ჩვენი მუშაობის გენერალური შემოწმებაა. საბჭო ერთ-ერთი იმ მთავარ ორგანიზაციათაგანია, რომლის მუშაობაშიაც ღარიბი გლეხკაცობა თვალსაჩინო მონაწილეობას უნდა ღებულობდეს. შემოწმებამ უნდა ცხადჰყოს, რამდენად დაცულია ღარიბ გლეხობის აქტიური მონაწილეობა საბჭოში და მის ორგანოებში და რამდენად სწორ კლასიურ პოლიტიკას აწარმოებენ საბჭოები სოფლად.

ღარიბ გლეხთა ჯგუფების გამოკვლევა უნდა შეეხოს კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობას სოფლად. სოფლის კოლექტივიზაციის საკითხი ორგანიზაციულად დაკავშირებულია ღარიბთა შორის მუშაობის საკითხთან. უნდა შემოწმებულ იქნას, რამდენად სწორად ტარდება პარტიის დირექტივა ღარიბთა კოლექტივიზაციის, მათთვის ფინანსიურ და მატერიალურ დახმარების აღმოჩენის დარგში. უნდა შესწავლილ იქნას ღარიბთა კოლექტივების მუშაობის შინაარსი და მათი როლი ადგილობრივ მეურნეობაში.

ღარიბთა ჯგუფების შემოწმების დროს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ღატაკ გლეხკაცობასა და მოჯამაგირეების მუშაობის საკითხს კოოპერატივებში, გლეხკომებში და სხვა ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. არც ერთი სახელმწიფო დაწესებულების, არც ერთი საზოგადოებრივ გაერთიანების მუშაობა სოფლად არ უნდა მიმდინარეობდეს ღარიბ გლეხთა ჯგუფების აქტიური მონაწილეობის გარეშე. კიდევ მეტი, მთელი ჩვენი ღონისძიებები უნდა მიმართულ იქნას იქითკენ, რომ ღატაკი გლეხკაცობა სოფლად წარმოადგენდეს მძლავრ საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელ ძალას. ჩვენ ვიცით, რომ ჯერ-ჯერობით ამ მხრივ უმეტეს შემთხვევაში მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არაა. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ღარიბთა შორის მუშაობის ხაზი, მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ ბევრი იწერება, ბევრგან კიდევ საბოლოოდ გარკვეული არაა. შემოწმებამ უნდა გამოაშკარავოს ყოველივე ეს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემოწმების ჩატარების დროს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობას ღარიბთა ჯგუფებზე. სწორი პარტიული ხელმძღვანელობა მთავარ პირობას წარმოადგენს იმისათვის, რომ ადგილი არ ექნეს მავნე გადახრებს. ამ მიზნით პირველ ყოვლისა უნდა გამოირკვეს, რამდენად სწორად აქვთ შეთვისებული ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს პარტიის პოლიტიკა სოფლად მუშაობის დარგში. ღარიბთა შორის მუშაობა, გარდა იმისა, რომ ის არის შედარებით ახალი საქმე, თავისთავად უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს. პარტიის დასაყრდენია სოფლად ღარიბი გლეხობა, რომლის საშუალებითაც ჩვენ ვუკავშირდებით სოფლის მოსახლეობის ძირითად მასას — საშუალო შეძლების გლეხკაცობას. ეს მომენტი ერთი წუთითაც არ უნდა იქნას დავიწყებული ღარიბთა შორის მუშაობის დროს. აქ პარტიულ ორგანიზაციას, რომელიც ხელმძღვანელობს ღარიბთა შორის მუშაობას, იშვიათი მოქნილობა და წინდახედულობა მართებს. ღარიბთა ჯგუფების მუშაობის შემოწმების დროს ამ მომენტის მნიშვნელობა წინდაწინვე უნდა იქნას გათვალისწინებული.

პარტიის ცეკას დადგენილებით ღარიბთა შორის წარმოებულ მუშაობის შემოწმება უნდა ჩატარდეს მიმდინარე წლის ნოემბერში და დეკემბერში. შემოწმების ჩატარებაში ცხოველი მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა სოფლად მომუშავე დაწესებულება - ორგანიზაციებმა და მოწინავე ელემენტებმა. დრო არც თუ ისე ბევრი დაგვრჩა. საჭიროა დაჩქარებით შევუდგეთ საქმეს.

ბრძოლა თვითღირებულების შემცირებისათვის

ფართო პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება ისევ და ისევ სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხებისაკენ უნდა იქნას მიქცეული. თვითღირებულების შემცირება მე-15 პარტყრილობის ნება-სურვილის გამოხატვაა, „მრეწველობის ცენტრალური პრობლემაა", რომლის გადაჭრაზე დამოკიდებულია მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი წინსვლა. არ შევჩერდებით ამ ამოცანის მნიშვნელობის ყოველმხრივ დახასიათებაზე, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულის შემცირება შეადგენს ფასების შემცირების საფუძველს, მაშასადამე, იგი უმნიშვნელოვანესი ელემენტია მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცებისა და გაღრმავების საქმეში, სოფლის საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარების საქმეში.

მეორეს მხრით, თვითღირებულების შემცირება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც უზრუნველყოფს მრეწველობაში კაპიტალურ სამუშაოთა დიდ გეგმებს, მაშასადამე, არსებით როლს თამაშობს ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპისათვის წარმოებულს ბრძოლაში.

გადაჭარბება არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სოციალისტური მშენებლობის წარმატება და მისი ხარისხობრივი ამაღლება განიზომება სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმის მსვლელობით, პროდუქციის თვითღირებულებაში, როგორც წყალის წვეთში, აისახება სამეურნეო მშენებლობის მიღწეული დონე, მისი დეფექტები და მიღწევები.

თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლა ასეთ არსებითს როლს იმიტომ თამაშობს, რომ ამ საქმეში ჩვენ, კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, განსაკუთრებით ჩამორჩენილნი ვართ: ჩვენში თვითღირებულება, საერთოდ, 1 ნახ. ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე თვითღირებულება უფრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში. სოციალიზმი კი საბოლოოდ მხოლოდ მაშინ განმტკიცდება, როდესაც სოციალისტური მრეწველობის პროდუქტები უფრო იაფი იქნება და მაზე გაცილებით ნაკლები დაიხარჯება, ვიდრე კაპიტალისტურ მრეწველობაში.

თვითღირებულების შემცირების მაღალი ტემპი, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღდგენის წლებში, უკვე წარსულს ჩაბარდა. პირიქით, აღდგენის პერიოდის დამლევს და რეკონსტრუქციის პირველ წელს ჩვენი თვითღირებულება გადიდდა კიდეც — 1925-26 წელს, 1,7 პროცენტით, ხოლო 1926-27 წელს — თვითღირებულებამ დაიკლო მარტო 1,8 პროცენტით. სხვანაირად, რომ ვსთქვათ, ზედიზედ მთელი ორი წლის განმავლობაში თვითღირებულება ერთსა და იმავე დონეზე იდგა. რეკონსტრუქციის პირობებში მხოლოდ 1927-28 წელიწადი ჩაითვლება გარდატეხის წელიწადად, როდესაც თვითღირებულება საგრძნობლად დაეშვა. წლის განმავლობაში თვითღირებულებამ 5,1 პროცენტით დაიკლო. ეს გარდატეხა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო მრეწველობაში დაბანდებულმა მრავალმილიარდიანმა თანხებმა პირველად გამოიღეს ნაყოფი, პირველად მივიღეთ რაციონალიზატორულ ღონისძიებათა შედეგები.

როგორ მოვიქცეთ შემდეგში? შესაძლებელია თუ არა მიმდინარე წელს თვითღირებულების დაკლების ტემპის შემცირება შარშანდელთან შედარებით? მეტიც. უნდა დავკმაყოფილდეთ თუ არა თვითღირებულების შემცირების ამ ხუთი პროცენტით? პასუხი უნდა იყოს მხოლოდ ერთი: არავითარ შემთხვევაში. თვითღირებულების საქმეში ბოლო უნდა მოეღოს განვითარების ტემპის იმ თეორიას, რომლის მიხედვითაც ამ განვითარების მრუდე დაბლა იწევს. პირიქით, საბჭოთა მეურნეობაში მხოლოდ ახლა იშლება სოციალისტური მშენებლობის უპირატესობა. ეს უპირატესობა პრაქტიკაში თანდათან უფრო და უფრო იჩენს თავს.

თუ შარშან სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება 5 პროცენტს უდრიდა, წელს ეს შემცირება სულ ცოტა 7 პროცენტს მაინც უნდა უდრიდეს. აქეთკენაა მიმართული უმაღლესი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილება.

მთელი მუშათა კლასისა და მთელი ქვეყნის ძალ-ღონით ჩვენ ვალდებულნი ვართ უზრუნველვყოთ თვითღირებულების შემცირება შვიდი პროცენტით მაინც, რადგან ჩვენ ვერ დავუშვებთ ინდუსტრიალიზაციის მიღწეული ტემპის შენელებას.

მრეწველობაში კაპიტალური სამუშაოების დიდი გეგმის განხორციელება მჭიდროდ არის დაკავშირებული თვითღირებულების შემცირებასთან. თვითღირებულების შემცირება წარმოადგენს ასეთი გეგმის განხორციელების წინასწარ პირობას. გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ გვაქვს ასეთი შემცირების შესაძლებლობანი. მრეწველობის საწარმოო - ტეხნიკური ბაზის რეკონსტრუქციით და მუშათა კლასის კულტურული დონის აწევით ჩვენ შეგვიძლია რეალურად უზრუნველვყოთ მუშაობის ისეთი გაუმჯობესება მრეწველობაში, რომ თვითღირებულება შემცირდეს არა ნაკლებ 7 პროცენტისა.

ამ ამოცანის შესრულება მოითხოვს პარტიისა და მუშათა კლასის მთელი ძალ-ღონის მოკრებას. ამ ამოცანის შესრულებისათვის საჭიროა რაციონალიზატორული მუშაობის შემდგომი გადამჭრელი გაფართოვება და გაღრმავება. მხოლოდ ფართოდ გატარებული სოციალისტური რაციონალიზაციით შევსძლებთ თვითღირებულების შვიდპროცენტით შემცირების განხორციელებას. უნდა მიღწეულ იქნას შემდგომი არსებითი გაუმჯობესება შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგში, რათა უკეთ და უფრო სრულად იქნას გამოყენებული სამუშაო დღე, უფრო ეკონომიურად დაიხარჯოს ნედლეული, სათბობი და საწარმოო მასალა, უკეთ მოეწყოს წარმოება, მართვა-გამგეობა და სხვ. მაგრამ ყოველივე ამის განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ სამეურნეო მშენებლობის საქმეში ბევრად უფრო სრულად და ენერგიულად იქნებიან ჩაბმულნი მუშათა კლასის ფართო ფენები. საწარმოო თათბირებმა, რომელთა დანიშნულებას შეადგენს ამის განხორციელება, ბევრად უფრო უნდა ასწიონ, გააფართოონ და გააღრმავონ მთელი ეს მუშაობა.

ყოველ წუთს უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი სამეურნეო წარმატება უშუალოდ დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად იზრდება და ფართოვდება მუშათა და გლეხთა მრავალმილიონიანი მასების ჩაბმა საამშენებლო მუშაობაში.

თვითღირებულების შემცირებისათვის წარმოებულ ბრძოლაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს შრომის ნაყოფიერების გადიდება.

განვლილ წელს შრომის ნაყოფიერების ზრდამ პირველად გაუსწრო სამუშაო ხელფასის ზრდას და ამით შეამცირა შრომაზე გაწეული ხარჯების წილი პროდუქციის ერთეულის ღირებულებაში. მიმდინარე წელს ჩვენ შვიდი პროცენტით შევამცირებთ თვითღირებულებას, თუ 17 ნახ. პროცენტით გავადიდეთ შრომის ნაყოფიერება ჩვენ უნდა ვცდილობდეთ მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ გაუმჯობესებას, სამუშაო ხელფასის შემდგომ გადიდებას. მაგრამ ამავე დროს აუცილებლად უნდა უზრუნველვყოთ შრომაზე გაწეული ხარჯების წილის შემცირება პროდუქციის ერთეულის ღირებულებაში. ამის განხორციელება შეიძლება შრომის ნაყოფიერების შემდგომი მნიშვნელოვანი გადიდებით.

მიმდინარე წელს მრეწველობას ძნელი და რთული ამოცანები ეკისრება. ასეთ უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს თვითღირებულების შემცირება არა ნაკლებ 7 პროცენტისა. საერთო სამეურნეო მდგომარეობის სირთულე მოითხოვს მრეწველობისათვის დაკისრებული ამოცანების სავსებით შესრულებას. თვითღირებულების შემცირების წარმატებით მსვლელობა თავის მხრივ ხელს შეუწყობს იმ სიძნელეთა და დაბრკოლებათა გადალახვას, რომელნიც მიმდინარე წელს წამოიჭრნენ სოციალისტური მშენებლობის გზაზე.

„პრავდა", 11 ნოემბერი.

პუანკარემ შეადგინა „რესპუბლიკანური თანხმობის" მთავრობა

იაპონია ნანკინის მთავრობისაგან მოითხოვს მანჯურიაში მიღებულ პრივილეგიების დადასტურებას

ლიბერალების მთავრობის დამხობა რუმინეთში.-გლეხთა ნაციონალური პარტიის მთავრობის შედგენა

პუანკარემ შეადგინა ახალი მთავრობა

პუანკარეს ახალი კაბინეტი

პარიზი, 11 ნოემბერი. პუანკარემ შეადგინა საფრანგეთის ახალი კაბინეტი, რომელშიაც შედიან: პრემიერი უპორთფელოთ **პუანკარე** (რესპუბლიკანური კავშირი), და ფინანსთა მინისტრი **შერონი** (პუანკარეს წინანდელ კაბინეტში იყო ვაჭრობის მინისტრად), იუსტიციის მინისტრი **ბარტუ** (რესპუბლიკანური კავშირი, იგივე თანამდებობა ეჭირა წინანდელ კაბინეტში), საგარეო საქმეთა მინისტრი **ბრიანი**, შინაგან საქმეთა მინისტრი—**ტარდიე** (მემარცხენე დემოკრატი, წინანდელ მთავრობაში იყო საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრად), სამხედრო — **პენლევე** (რესპუბლიკანელი სოციალისტი), საზღვაო მინისტრი **ლეიგი** (მემარცხენე რესპუბლიკანელი), ავიაციის მინისტრი **ლორან - ეინაკი** (სამივე შედიოდა პუანკარეს წინანდელ კაბინეტში), ვაჭრობის მინისტრი **ბონეფუ** (რესპუბლიკანურ - დემოკრატიული კავშირი), საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრი **ფორჟე**, შრომის — **ლუშერი**, განათლების — **მარო**, პენსიების — **ანტერიუ**, კოლონიების **მაჟინო** (ეგრ. წოდებულ დემოკრატიული მოქმედების მემარჯვენე ჯგუფის წარმომადგენელი, პუანკარეს ერთ-ერთი წინანდელ კაბინეტში სამხედრო მინისტრად იყო), მიწათმოქმედების მინისტრი —**ენესი**.

რადიკალები მთავრობის შედგენაში არ იღებენ მონაწილეობას

პარიზი, 12 ნოემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„რადიკალების პარტიამ აუკრძალა **ლამოროს, კეილს** (ყოფ. მიწათ-მოქმედების მინისტრი), **ალბერ საროს** (ყოფ. შინაგან საქმეთა მინისტრი) და **ესოუს** პუანკარეს კაბინეტში მონაწილეობის მიღება. აღნიშნულმა პირებმა პუანკარეს აცნობეს, რომ სწყვეტენ მასთან მოლაპარაკებას ახალი მთავრობის შედგენის შესახებ". (ადს)

„კრიზისი მხოლოდ დროებით გადასწყდა"

პარიზი, 12 ნოემბერი. სოციალისტური გაზეთი „სუარი" ეხება საფრანგეთის ახალი მთავრობის შემადგენლობას და ფიქრობს, რომ „კრიზისი მხოლოდ დროებით გადასწყდა", რადგან მთავრობის მარჯვნივ გადახრა ხელს შეუწყობს დეპუტატთა პალატაში შემარცხენე უმრავლესობის შექმნას სოციალისტების მონაწილეობით. ამავე დროს გაზეთი ხაზს უსვამს რადიკალების რიგებში ჩამოვარდნილ უთანხმოებას და აღნიშნავს: „რადიკალების ფრაქციის მხოლოდ ორი მესამედი დარჩა იმ პროგრამის ერთგული, რომელიც [illegible]ჟერში იქნა მიღებული; დანარჩენი რადიკალები მზად არიან დაუთმონ პუანკარეს". (ადს.

გერმანია-რუმინეთის მოლაპარაკება

ბერლინი, 11 ნოემბერი. როგორც ვოლფის სააგენტო იუწყება, ბერლინში ხელი მოაწერეს საბოლოო შეთანხმებას გერმანიასა და რუმინეთს შორის არსებული სადაო ფინანსიური საკითხების საბოლოო მოგვარების შესახებ. შეთანხმების ძალით გერმანია 4 წლის განმავლობაში იხდის 75,5 მილიონ მარკას რუმინეთი გერმანიას უბრუნებს გერმანიის ქვეშევრდომთა კუთვნილ ქონებას, რომლის ლიკვიდაციაც არ მომხდარა შეთანხმების დადებამდე, იწყებს პროცენტების გადახდას და ომის წინადროინდელი სესხების გამოსყიდვას. მოელიან, რომ ამ შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით ახლო მომავალში დაიწყება მოლაპარაკება გერმანიისა და რუმინეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. (ადს).

სპარსეთის პრესა ოქტომბრის 11 წ. თავის შესახებ

თეირანი, 11 ნოემბერი. სპარსეთის გაზეთებმა ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავის შესახებ მოათავსეს ვრცელი წერილები. გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის უდიდეს მიღწევებს სახალხო მეურნეობასა და სოციალური პოლიტიკაში; აღნიშნავენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის ბრძოლას მშვიდობიანობისა და განიარაღებისათვის. (ადს)

ოპოზიციის დევნა სამხრეთ სლავიაში

ვენა, 11 ნოემბერი. ბელგრადიდან მიღებული ცნობების თანახმად, **სამხრეთ-სლავიის მთავრობა თანდათან აძლიერებს რეპრესიებს გლეხთა დემოკრატიული კოალიციის** (ბლოკია იმ ოპოზიციონური პარტიებისა, რომლებიც ბოიკოტს უცხადებენ დღევანდელი შემადგენლობის პარლამენტს). წინააღმდეგ.

ბელგრადის გაზეთები, რომლებშიაც კოალიციის ბელადების განცხადებები იბეჭდება, გაძლიერებულ ცენზურას დაუმორჩილეს. **სასამართლოში აძლევენ მაჩეკს, პრიბიჩევიჩს და ოპოზიციის სხვა ბელადებს, რადგან, შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით „პრესაში გამოქვეყნებული თავიანთ სიტყვებითა და განცხადებებით, მათ კანონი დაარღვიეს".**

პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ მთავრობამ კოალიციას დევნა დაუწყო მას შემდეგ, რაც მარცხით დამთავრდა მთავრობის ცდა შეუთანხმდეს კოალიციას. (ადს).

უშედეგო ჩხრეკა.

ვენა, 11 ნოემბერი. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, ზაგრებში პოლიციამ გაჩხრიკა ისინი, ვინც, მისი აზრით, მონაწილეობას იღებდა ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავის გამო მოწყობილ დემონსტრაციაში. პოლიცია არაფერს იუწყება ჩხრეკის შედეგების შესახებ. როგორც ეტყობა ჩხრეკას უშედეგოთ ჩაუვლია. ბელგრადის მთავრობის პრესა აცხადებს, რომ ზაგრებში გამართულ დემონსტრაციის გამო, მთავრობამ გადასწყვიტა „ენერგიული ზომები მიიღოს მუშათა მემარცხენე მოძრაობის წინააღმდეგ". (ადს).

ბონკურის შიში

პარიზი, 11 ნოემბერი. როგორც „ევრ"-ი იუწყება, განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარემ **ლოუდონმა** წინადადება მისცა **პოლ ბონკურს**—ერთა ლიგის სექტემბრის რეზოლიუციის თანახმად, მომავალი წლის 21 იანვრისათვის მოიწვიოს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისია. ბონკური უარყოფითად შეხვდა ამ წინადადებას იმ საბაბით, რომ შეიარაღების შემცირების შესახებ კონვენციის შემუშავებას ხელს უშლიან სერიოზული პოლიტიკური დაბრკოლებანი, რომელნიც გამომდინარეობენ იქიდან, რომ საზღვაო სახელმწიფოები კმაყოფილნი არ არიან ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმებით.

გაზეთების ცნობით, პოლ ბონკურს ეშინია, რომ ასეთ პირობებში, „რუსები და გერმანელები ხელს მოითბობენ განიარაღების კომისიის ახალ უნაყოფო სესიაზე". (ადს).

ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობა

რას მოითხოვს იაპონია

შანხაი, 11 ნოემბერი. იაპონიის კონსულმა შანხაიში იადამ განაცხადა, რომ მისი ნანკინში ჩასვლის მიზანია გაჰფანტოს ნანკინის მთავრობის ეჭვები, თითქოს იაპონიის მთავრობა არ აპირებს მოლაპარაკების გაგრძელებას ჩინეთთან.

იადამ ინახულა ფინანსთა მინისტრი სუნ-ცზე-ვენი, რომელსაც გააცნო იაპონიის მთავრობის შეხედულება ჩინეთის საბაჟო ავტონომიის გამოცხადებასთან დაკავშირებულ სადაო საკითხებთან.

იადა ესაუბრა აგრეთვე ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს ვან-ჩჟენ-ტინს. საუბარი შეეხებოდა იმ ნოტების შინაარს, რომლებიც იაპონიისა და ნანკინის მთავრობებმა უნდა გაუგზავნონ ერთ-მანეთს. იაპონია-ჩინეთის სავაჭრო ხელშეკრულების გადათვალიერებისა და ნანკინის ინცინდენტის მოწესრიგების შესახებ.

იაპონიის სააგენტოს ტოხოს ცნობით, **იადას საუბარმა ვან-ჩჟენ-ტინთან ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო. როგორც იუწყებიან, იაპონია თანახმაა დაუთმოს ჩინეთს ზოგი რამ იმ საკითხებში, რომელიც შეეხება იაპონია-ჩინეთის სავაჭრო ხელშეკრულების გადათვალიერებასა და ცზინანის ინცინდენტის მოწესრიგებას, მაგრამ ამავე დროს იაპონია ნანკინის მთავრობისაგან მოითხოვს ყველა იმ პრივილეგიის ცნობას, რომელიც მან მიიღო ჩან-ძოლინისაგან. ეს პრივილეგიები შეეხება,** რკინის გზების მშენებლობას და მიწის იჯარით აღებას მანჯურიაში.

ჩინეთის გაზეთები კომენტარიებს უკეთებენ ამ ცნობებს და აცხადებენ, **რომ თუ იაპონიას მიეცა ნებართვა გაიყვანოს მანჯურიაში 5 ახალი რკინისგზა და იჯარით აიღოს მიწის ნაკვეთები, მაშინ იაპონიის გავლენა და ფაქტიური კონტროლი გავრცელდება მთელს მანჯურიაზეო.** (ადს)

შეერთებული შტატების საზღვაო ნაწილების „გაწვევა" ჩინეთიდან

ვაშინგტონი, 11 ნოემბერი. როგორც შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, ახლო მომავალში ჩინეთიდან გაწვეული იქნებიან შეერთებული შტატების დამატებითი საზღვაო ნაწილები. ამავე დროს ცნობაში აღნიშნულია, რომ ტიანძინსა და შანხაიში ჯარი ისევ დარჩებაო. (ადს)

ჩინეთ- ჰოლანდიის წინასწარი ხელშეკრულება

შანხაი, 11 ნოემბერი. გაზეთ „სინ-ვენ-ბაო"-ს ცნობით, ჰოლანდიასა და ნაციონალურ მთავრობას შორის დაიდო წინასწარი ხელშეკრულება მხარეების თანასწორუფლებიანობის ნიადაგზე. (ადს)

კომუნისტური უჯრედების აღმოჩენა

შანხაი, 11 ნოემბერი. ჩინური პრესა ამტკიცებს, რომ კანტონში, ფუჯოუში და კაიფინში აღმოაჩინეს კომუნისტური უჯრედები, კონფისკაცია უყვეს კომუნისტურ ლიტერატურას და დააპატიმრეს ბევრი ხალხი. გაზეთ „ტაიმს"-ის ცნობით, სტუდენტები სტოვებენ გომინდანს და უახლოვდებიან ჩინეთის კომპარტიას. გაზეთი დიდ მნიშვნელობას აძლევს სტუდენტთა წრეების განწყობილებას და აღნიშნავს, რომ „სტუდენტობა ჯერ კიდევ ამას წინად ეხმარებოდა ნაციონალურ მთავრობას გომინდანის კომუნისტებისაგან განწმენდაში". (ადს).

რუმინეთის ახალი მთავრობა

ტიტულესკუს მარცხი.

ვენა, 11 ნოემბერი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, მას შემდეგ, რაც ნაციონალური კონცენტრაციის მთავრობის შედგენის ცდა უშედეგოთ დამთავრდა, **ტიტულესკუმ უარი სთქვა ახალი კაბინეტის შედგენაზე. ტიტულესკუს განცხადებით, სარეგენტო საბჭომ ახალი კაბინეტის შედგენა მიანდო გლეხთა ნაციონალური პარტიის ბელადს, მანიუს.**

პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ლიბერალები ყოველმხრივ წინააღმდეგობას გაუწევენ გლეხთა ნაციონალური პარტიის კაბინეტის შედგენას, მაგრამ ასეთ კაბინეტს მხარს დაუჭერენ ინგლისის კაპიტალთან დაკავშირებული ჯგუფები. (ადს).

რუმინეთის ახალი კაბინეტი.

ვენა, 11 ნოემბერი. რუმინეთიდან მიღებულ ცნობით, **სარეგენტო საბჭომ დაამტკიცა გლეხთა ნაციონალური პარტიის ბელადის მანიუს მიერ შედგენილი მინისტრთა სია. ახალი კაბინეტი მხოლოდ გლეხთა ნაციონალური პარტიის ბელადებისაგან შესდგება. მინისტრებმა უკვე მიიღეს ფიცი.** (ადს).

ინგლისის ზეგავლენით.

ვენა, 11 ნოემბერი. რუმინეთში ახალი კაბინეტის შედგენის გამო, რუმინეთის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ **ლიბერალები უკანასკნელ მომენტში დათმობაზე წავიდნენ ინგლისის ენერგიული ჩარევის გამო მანიუს სასარგებლოდ** (გლეხთა ნაციონალური პარტია).

იუწყებიან, მანიუმ ლიბერალებს, კომპენსაციის სახით, პირობა მისცა, რომ საფინანსო, ეკონომიურ და საგარეო პოლიტიკაში არ შეიტანს საგრძნობ ცვლილებებს. მთელი პრესის აზრით, მთავრობა საგარეო პოლიტიკის საკითხებში დაიცავს ინგლის-საფრანგეთის ორიენტაციას, ამასთან შეეცდება დაუხლოვდეს გერმანიას და უნგრეთს.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებას, ზემოდაღნიშნულ საგარეო-პოლიტიკური ფაქტორები ალბათ ხელს შეუწყობენ პოლონეთთან სამხედრო კავშირის გაფართოებას. (ადს).

რუმინეთის ახალი მთავრობის პოლიტიკა

ვენა, 12 ნოემბერი. ბუქარესტიდან იუწყებიან: რუმინეთის ახალმა მთავრობამ გადასწყვიტა: დათხოვნილ იქნას პარლამენტი, დაინიშნოს პალატის არჩევნები 12 დეკემბრისათვის, ხოლო სენატისა—15 დეკემბრისათვის. ახალი პრემიერის მანიუს სიტყვით, მთავრობა განაგრძობს ბრატიანუს მთავრობის მიერ დაწყებულ მოლაპარაკებას. სესხის შესახებ, იგი ზომებს მიიღებს ვალიუტის სტაბილიზაციისათვის და კერძო, მეტადრე, სოფლის მეურნეობის გაჯანსაღებისათვის. მანიუს სიტყვით, მთავრობა განიხილავს ყველა საკითხს ნაციონალურ უმცირესობათა შესახებ და მოაწესრიგებს მათ განსაკუთრებული კანონით".

მთავრობას,—განაცხადა შემდეგ მანიუმ,—განზრახული აქვს განაგრძოს რუმინეთის წინანდელი საგარეო პოლიტიკა, აღიაროს და განამტკიცოს რუმინეთის კავშირი სხვადასხვა სახელმწიფოებთან, საუკეთესო ურთიერთობა იქონიოს თავის მეზობლებთან და ზომები მიიღოს ფორმალური ურთიერთობის დასამყარებლად ყველა სხვა სახელმწიფოებთან.

ვაჭრობის მინისტრის მაჯსარუს განცხადებით, მთავრობას განზრახული აქვს გადაათვალიეროს 1924 წლიდან გამოცემული ყველა კანონი, რომელიც აწესრიგებს ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას და უცხოეთის კაპიტალის მიანიჭოს ისეთივე უფლებანი, როგორიც რუმინეთის კაპიტალს აქვს, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას საწარმოო ძალების განვითარება. ამავე მიზნით მთავრობა აპირებს საბაჟო ტარიფების შემცირებას. (ადს).

კელოგის პაქტი და კოლუმბია

ნიუ-იორკი, 11 ნოემბერი. კოლუმბიის სენატმა დაამტკიცა ის დადგენილება, რომლითაც კოლუმბია კელოგის პაქტს უერთდება. დადგენილებას დართული აქვს შენიშვნა იმის შესახებ, რომ კოლუმბია იტოვებს უფლებას ებრძოლოს ინტერვენციას, მოვალე სახელმწიფოების საბაჟო ნავთსადგურების ოკუპაციას და სხვა. ეს შენიშვნა ეხება შეერთებული შტატების მოქმედებას ლათინურ ამერიკაში. (ადს)

წყნარ ოკეანეს პროფკავშირთა კონფერენცია

შანხაი, 11 ნოემბერი. ამერიკული ჟურნალის „ჩაინა უიკლი რევიუს" ცნობით, შანხაიში გაიმართა წყნაროკეანეს პროფკავშირების საბჭოს კონფერენცია. ჟურნალის სიტყვით, კონფერენციას დაესწრნენ ბევრი ქვეყნის, მათ შორის, იაპონიის, ჩინეთის, საბჭოთა კავშირის, ინგლისის, ჩრ. ამერ. შეერთ. შტატების, იავას, ფილიპინის, ავსტრალიის, კორეის და ინდოეთის წარმომადგენლები. (ადს).

მთავრობის კრიზისი ლატვიაში

რიგა, 11 ნოემბერი. პრესის ცნობით სეიმის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, რომელსაც დავალებული აქვს ახალი მთავრობის შედგენა, რესპუბლიკის პრეზიდენტს მიმართა თხოვნით ახალი მთავრობის შედგენის ვადის 13 ნოემბრამდე გაგრძელების შესახებ. სოციალ-დემოკრატები თხოვნას ასაბუთებენ იმით, რომ პარლამენტის ფრაქციებთან მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს.

საპროტესტო მიტინგი

პარიზი, 11 ნოემბერი. სტრასბურგში გაიმართა საპროტესტო მიტინგი ვიკლენისა და როსესთვის სადეპუტატო მანდატების ჩამორთმევის გამო. სიტყვების შემდეგ მიტინგის მონაწილეებმა მოაწყეს დემონსტრაცია, რომელიც პოლიციამ გაფანტა. (ადს–

„კრასინის" ექსპედიციის მონაწილენი ბაქოში

ბაქო, 12 ნოემბერი. 10 ნოემბერს ბაქოში ჩამოვიდნენ „კრასინ"-ის ექსპედიციის მონაწილენი—პროფესორი სამოილოვიჩი და მფრინავი სტრაუბე.

გაჩირაღდნებულ სადგურზე, რომელიც მორთული იყო მისასალმებელი ლოზუნგებით, მოხდა სტუმრების შეხვედრა.

„კრასინ"-ის გმირებს შეეგება მუშებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მრავალი დელეგაცია და თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების რაზმების საპატიო ყარაული. შეხვედრა გადაიქცა დიდ მიტინგად, რომელზედაც ბაქოს მუშები სამოილოვიჩისა და სტრაუბეს სახით პატივისცემით მიესალმნენ „კრასინ"-ის მთელ ეკიპაჟს.

სადგურიდან „კრასინ"-ის ექსპედიციის მონაწილენი გაემართნენ საოპერო თეატრში, სადაც გამოვიდნენ განათლების მუშაკთა კავშირის საღამოზე.

ბაქოში ამხ-ები სამოილოვიჩი და სტრაუბე დარჩებიან 14 ნოემბრამდე და მოხსენებებს გააკეთებენ მუშათა კრებებზე და რაიონებში, წითელი არმიისა და ფლოტის სახლში, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გაფართოვებულ პლენუმზე, თურქული კულტურის სასახლეში, აგრეთვე მოწაფეების, პროფესორების, ინჟინრების, ექიმების და მასწავლებლების კრებაზე.

14 ნოემბერს „კრასინ"-ის ექსპედიციის მონაწილენი ესტუმრებიან განჯას. მფრინავი ჩუხნოვსკი ბაქოში რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვა.

პროფესორმა სამოილოვიჩმა და მფრინავმა სტრაუბემ 11 ნოემბერს დილით დაათვალიერეს „აზნავთ"-ის სარეწავები და ქარხნები. ამხ. სამოილოვიჩმა და სტრაუბემ მოხსენებები გააკეთეს მუშათა კრებებზე ძერჟინსკის სახელობის ქარხანაში, სურახანაში, პარიზის კომუნის სახელობის სახლში, წითელი არმიის სახლში, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას ცენტრალურ საბჭოს გაფართოვებულ პლენუმზე და თურქული კულტურის სასახლეში. „კრასინ"-ის ექსპედიციის მონაწილეთ ყველგან აღფრთოვანებით ეგებებოდნენ. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

პოლონეთის დამოუკიდებლობის 10 წ. თავი

ვარშავა, 12 ნოემბერი. გუშინ პოლონეთის დამოუკიდებლობის 10 წ. თავის შესრულების გამო გაიმართა ჯარების აღლუმი. ომის ყოფილ მონაწილეთ წინ მიუძღოდა ცხენით თეთრგვარდიელი გენერალი ბულაკ-ბალახოვიჩი. ომის ყოფილ მონაწილეთა ფედერაციის თავმჯდომარემ—გენ. გულევსკიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც მიუთითა, რომ გერმანია მიზნად ისახავს პოლონეთის დასავლეთ საზღვრების გადასინჯვას, განსაკუთრებით კი „დანციგის კორიდორის" ლიკვიდაციას. ამიტომ, გულევსკის სიტყვით, ომის ყოფილ მონაწილეთა ფედერაციის ლოზუნგი უნდა შეიქნეს: „ხელები შორის პოლონეთის წმიდა მიწა-წყლიდან". არც ერთ გაზეთს, გარდა სამხედრო სამინისტროს ორგანო „პოლსკა ზბროინა"-სა არ მოუთავსებია გულევსკის სიტყვა. ზეიმში მონაწილეობას იღებდა ესტონეთის დელეგაცია გენერალ ლაიდონერის მეთაურობით. დანციგში პოლონელებმა ნაციონალური დროშები გამოჰკიდეს რკინის გზის შენობებზე—თავისუფალი ქალაქის ტერიტორიაზე და მატარებლებზე, რომლებიც ამ ტერიტორიით მიდიოდნენ. ექსცესების თავიდან აცილების მიზნით ხელისუფლება იძულებული შეიქნა მცველები დაეყენებინა შენობებთან, სადაც პოლონეთის დროშები იყო გამოკიდული.

საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის ცენტრ. კომიტეტის სესიის დახურვა

ბერლინი, 12 ნოემბერი. ჟენევაში დამთავრებულმა საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის ცენტრ. კომიტეტის სესიამ უარჰყო საბჭოთა დელეგაციის წინადადება თანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ ერთა ლიგის ორგანოებთან. ალიანსის მომავალი მოღვაწეობის პროგრამის შემუშავების საკითხის გამო საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენლებმა წინადადება შეიტანეს, რომ ალიანსის პოლიტიკა დაფუძნებული იყოს კოოპერაციის თანამშრომლობაზე მთელ მუშათა მოძრაობასთან. სესიამ დაადგინა—დაევალოს ალიანსის აღმასკომს პროგრამის პროექტის დამუშავება.

რემედასის მიტინგი-დემონსტრაცია

ლონდონი, 12 ნოემბერი. რემედასის ინგლისურმა სექციამ მოაწყო მიტინგი-დემონსტრაცია, რომელმაც თავი მოუყარა დაახლოებით 10.000 მონაწილეს. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც იგი მოითხოვს ინგლისის პოლიციის საგანგებო (პოლიტიკური) განყოფილების დაშლას და პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ უკანასკნელ ხანებში გახშირდა პოლიციის გამოსვლები მუშების წინააღმდეგ. (ადს).

მოწოდება

ბერლინი, 11 ნოემბერი. „როტე ფანე" აქვეყნებს გერმანიის კომპარტიის ცეკას მიმართვას, რომელიც გერმანიის მუშათა კლასს მოუწოდებს—მხარი დაუჭირონ რურის ლოკაუტგამოცხადებულ მელითონეებს. (ადს).

დაიბნენ

ვარშავა, 11 ნოემბერი. პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია იმ ცნობამ, რომ ამერიკის ფინანსიური მეთვალყურე ვარშავაში დიუი მოსკოვში მიემგზავრება. დიუი მოსკოვში ორშაბათს წავა. (ადს).

როსე თავის ნებით გამოცხადდა

პარიზი, 11 ნოემბერი. ჰავასის ცნობით, ელზასელი ავტონომისტი როსე, რომელსაც სასამართლომ მის დაუსწრებლად მიუსაჯა 15 წლის პატიმრობა და აუკრძალა საფრანგეთში ცხოვრება 20 წლის განმავლობაში, თავისი ნებით გამოცხადდა სასჯელის მოსახდელად. (ადს).

პ. ისტრატის და კაზანსაკის გამგზავრება

12 ნოემბერს თბილისიდან გაემგზავრნენ ცნობილი მწერალი პანაიტ ისტრატი და ბერძნი პოეტი კაზანსაკი.

მოსკოვის და ასტრახანის გზით ისტრატი და კაზანსაკი წავლენ ურალზე. ურალიდან ისინი გაემგზავრებიან ციმბირში და ზამთარს გაატარებენ იაკუტის რესპუბლიკაში.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

ამხ. ტოლოკონცევის წერილი

მოსკოვი, 12 ნოემბერი. ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხისათვის ხელის შემწყობი ცენტრალური კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ტოლოკონცევმა რესპუბლიკანურ კომისიებს მიმართა წერილით, რომელშიაც, სხვათა შორის ნათქვამია:

„ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის კამპანია მთავრდება. კოლექტიური ხელმოწერა ქალაქებში დიდი წარმატებით ჩატარდა. ამჟამად საჭიროა ქალაქში განთავისუფლებული საზოგადოებრივი ძალები გამოვიყენოთ მუშაობის გაძლიერებისათვის სოფლად. რადგან სოფლად რეალიზაციის ვადა გაგრძელებულ იქნა 1 დეკემბრამდე, ხელისშემწყობმა კომისიებმა ხელახლა უნდა განავითარონ სოფლად მასიური პოლიტიკური კამპანია, რათა განუმარტონ გლეხობას სესხის მიზნები, მნიშვნელობა და ის, რომ იგი ხელსაყრელია გლეხობისათვის. ამ მუშაობაში ხელისშემწყობი კომისიები უნდა ეყრდნობოდნენ ღარიბ გლეხობას და უნდა იყენებდნენ გლეხკომებს და ხელმოკლე გლეხობის კომიტეტებს. ღარიბმა გლეხობამ ფართოდ უნდა შეუწყოს ხელი სესხის გავრცელებას. ამავე ნიადაგზე საჭიროა მუშაობა გლეხობის დანარჩენ ჯგუფებში, განსაკუთრებით საშუალო გლეხობაში. სესხის გავრცელების დროს საგიტაციო მიზნებისათვის ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს სესხს ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. უნდა მივუთითოთ გლეხობას, რომ სესხის რეალიზაციის გადიდებით იზრდება 10 პროცენტიანი ანარიცხის თანხა, რომელიც მოხმარდება ადგილობრივ კომუნალურ, სასკოლო, საგზაო და საავადმყოფოთა მშენებლობას. საჭიროა ფხიზელი თვალყურის დევნება, რომ სესხის განაწილების დროს არ მოხდეს რაიმე ძალდატანება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლექტიური ხელმოწერის განვითარებას, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, რესპუბლიკანურმა კომისიებმა დაუყოვნებლივ უნდა მოუწოდონ საგუბერნიო და საოლქო ორგანიზაციებს, გააძლიერონ სოფლად სესხის რეალიზაციის კამპანია და დააწესონ კონტროლი და ხელმძღვანელობა ქვედა საფეხურის კომისიების მუშაობაზე". (ადს)

სესხი საბინაო მშენებლობისათვის

მოსკოვი, 12 ნოემბერი. ტეხნიკური კომუნალური ბანკის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე დამუშავებული იქნა მრეწველობას საბინაო მშენებლობისათვის სესხის მიცემას გეგმა 1928—29 წელს.

ამ სესხის საერთო ჯამი, რომელიც სამრეწველო მუშათა საბინაო მშენებლობას უნდა მიეცეს, უდრის 88 მილიონ მანეთს. საბინაო მშენებლობისათვის ქვა-ნახშირის მრეწველობა მიიღებს 24 მილიონ მანეთს, აქედან „დონუგოლ"-ი—18.500.000 მან., „კუზბასუგოლ"-ი—2 მილ. მან., „კიზილტრესტ"-ი—1.600.000 მან., „კუზბასტრესტ"-ი — 900,000 მანეთს, „ჩერემხასტრესტ"-ი—200.000 მანეთი, ნავთის მრეწველობას მიეცემა — 1.700.000 მან., აქედან „აზნეფტ"-ს—1 მილ. მანეთი და „გროზნეფტს"—700.000 მან. ლითონის მრეწველობა მიიღებს— 16.990.000 მანეთს, აქედან „ურალმეტ"-ი—4 მილ. მანეთს, „იუგოსტალ"-ი—5.100.000 მან. რესპუბლიკურ და ადგილობრივ მრეწველობას საბინაო მშენებლობისათვის მიეცემა 14.900.000 მანეთი, აქედან ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკას—1.300.000 მან.

ცენტრალური კომუნალური ბანკის გამგეობამ გადასწყვიტა, დაუყოვნებლივ შეუდგეს ავანსების გაცემას საშენებელი მასალის წინასწარ დასამზადებლად (ადს).

ჭიათურის მრეწველობის გამოკვლევა

მოსკოვი, 12 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლ. საბჭოს პრეზიდიუმმა გამოჰყო სპეციალური კომისია პრეზიდიუმის წევრის ამხ. არალოვის მეთაურობით ჭიათურის შავი ქვის ბუდობების გამოსაკვლევად. გამოკვლევის მიზანია—შავიქვის მადნის ამოღებისა და ექსპორტის მაქსიმალური განვითარების შესაძლებლობის გამორკვევა. კომისიამ სხვათა შორის უნდა გამოარკვიოს, თუ რამდენად მიზანშეწონილია მადნის გასარეცხი ახალი ფაბრიკებისა და ფერომარგანეცის ქარხნის აგება, კომისია უნდა გაეცნოს აგრეთვე ჭიათურის ტრესტის სატრანსპორტო მეურნეობას და გამოარკვიოს მისი გაფართოებისათვის საჭირო ზომები. (ადს).

გარყვნილი ეპისკოპოზის და მღვდლების საქმე

ბაქო, 12 ნოემბერი. 10 ნოემბერს დაიწყო გარჩევა ეპისკოპოს-არსენის და ადგილობრივი ეკლესიების მღვდლების საქმისა. მათ ჰბრალდებათ გარყვნილი ცხოვრება, მცირეწლოვანთა გახრწნა და მამათმავლობა. საქმე ირჩევა უზენაეს სასამართლოში, რომლის შემადგენლობაშიაც ოთხი ბაქოელი მუშაა. ბრალდებულთა შორის, ეპისკოპოსს არსენისა და მღვდლების გარდა, რამდენიმე სტუდენტია. ხელ სამართალში მიცემულია 15 კაცი.

პირველი დღე მოუნდა საქმის ფორმალურ მხარის და საბრალმდებლო დასკვნის წაკითხვას. მთავარ ბრალდებულებს—არსენს, ვირიპაევს და სურინს ჰბრალდებათ მცირეწლოვანთა გახრწნა და მამათმავლობა. მალაშკინს ბრალად ედება ეკლესიასთან გარყვნილების ბუდის შექმნა. ბრალდებულთა უმრავლესობა გამოტყდა წინასწარი გამოძიების დროს, როგორც საბრალმდებლო მასალიდან სჩანს, სამღვდელოების შორის საზიზღარი გარყვნილება ყოფილა გამეფებული.

11 ნოემბერს დაიწყო ბრალდებულთა დაკითხვა. პირველად დაჰკითხეს კასტროვს და მღვდელ ვირიპაევს, რომელთაც არ უარყვეს თავიანთი დანაშაული. მათ დაწვრილებით უამბეს სასამართლოს ის ქეიფი და თავაშვებული გარყვნილება, რომელსაც მისდევდნენ ღვდელმსახურთა ჯგუფი და მათთან დაახლოვებული ყმაწვილი კაცები. ვირიპაევის ჩვენების თანახმად, წმინდა მამები გარყვნილებს ეძლეოდნენ როგორც თავიანთ ბინებზე, ისე ეკლესიის სადგომში, კერძოდ იმ ოთახში, სადაც ეკლესიის გუნდი მოსამზადებლად იკრიბებოდა. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ახალგაზრდობის ჩაბმა კოოპერაციაში.

მოსკოვი, 12 ნოემბერი. 20 ნოემბერს მოსკოვში გაიხსნება სამომხმარებლო კოოპერაციის პირველი საკავშირო თათბირი. კოოპერაციაში ახალგაზრდობის ჩაბმის შესახებ.

ბრძოლა ბავშთა უპატრონობასთან.

მოსკოვი, 12 ნოემბერი. შრომის კომისარიატის წარმომადგენელმა საუბარში განაცხადა, რომ ბავშთა უპატრონობასთან ბრძოლამ ფაბრიკა-კომუნების მოწყობის საშუალებით დადებითი შედეგები გამოიღო. 4 ფაბრიკა-კომუნა სხვადასხვა ქალაქში სრული დატვირთვით მუშაობს. შემუშავებულია გეგმა ფაბრიკა-კომუნების ქსელის მოსაწყობათ მთელ საბჭოთა კავშირში.

„იზვესტია" ნაციონალური ოპერის მიღწევების შესახებ.

მოსკოვი, 12 ნოემბერი. ს. ჩემოდანოვი „იზვესტიაში" ეხება რა მუსიკალური საქმის განვითარებას საბჭ. კავშირში ოქტომბრის თერთმეტი წლის თავისათვის, აღნიშნავს, დიდ მიღწევებს, რომელიც ნაციონალურ ოპერას აქვს ამ ხნის განმავლობაში, კერძოთ კი კომპ. ზაქარია ფალიაშვილის ოპერას—„დაისის" დადგმას.

პროფგანათლების მთავარმმართველობის რეორგანიზაცია.

მოსკოვი, 12 ნოემბერი. პროფგანათლების მთავარმმართველობა გადაკეთებულ იქნება სასწავლო საქმის მეთოდიურ ხელმძღვანელ ორგანოდ და ახლო ხანში შეუდგება უმაღლეს სასწავლებელთა ქსელის გადასინჯვას და კავშირის დამყარებას მრეწველობასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. კ. პროფსაბჭოს მეორე პლენუმი

ხელფასის მდგომარეობა, კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიის შედეგები და პერსპექტივები

პლენუმის მეორე სხდომაზე (10 ნოემბერს საღამოს) მოსმენილი იქნა ამხ. ოდილავაძის მოხსენება ხელფასის მდგომარეობის და კოლხელშეკრულებათა კამპანიის შედეგების და პერსპექტივების შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სამრეწველო მუშების ხელფასი გასული წლის განმავლობაში მთელ ამიერ-კავკასიაში გაიზარდა 8,5 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდამ გაუსწრო ხელფასის ზრდას: შრომის ნაყოფიერება გასული საოპერაციო წლის 9 თვის განმავლობაში გაიზარდა 16—18 პროცენტით. ხელფასის ზრდა ამიერ-კავკასიაში უფრო ნელი ტემპით ხდებოდა, ვიდრე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში. ზოგიერთი წარმოებებში (ქვა-ნახშირის, სპილენძის, აბრეშუმის, ხის დამუშავება და სხ.) ამიერ კავკასიაში ხელფასი ამჟამად გაცილებით დაბალია, ვიდრე სხვა რესპუბლიკებში. ამიტომ მომხსენებლის აზრით საჭიროა ამ წარმოებებში ხელფასის გადიდება.

ხელფასის გადიდებასთან ერთად საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას. ამ მიზნით მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ახალ კოლხელშეკრულებათა დადების კამპანია, რომლის დროსაც მუშა-მოსამსახურეებს უნდა განემარტოს, თუ რამდენად არის დამოკიდებული მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ შრომის მოწესრიგების საქმე ამიერ-კავკასიაში არა სდგას სათანადო სიმაღლეზე და საჭიროა, რომ სამეურნეო ორგანოებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ ამ საქმის გასაჯანსაღებლად.

ახალ კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიაში,— მომხსენებლის აზრით,—საჭიროა შენარჩუნებული და განმტკიცებული იქნეს მიღწეული მდგომარეობა; კოლხელშეკრულებებში შეტანილი უნდა იქნეს გარკვეულობა და ის საკითხები, რომლებიც გაუგებრობას იწვევდნენ, ჩამოყალიბებული იქნენ გარკვეულ ფორმებში. კოლხელშეკრულებათა დადების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიზნობრივ თანხების გადადებას შრომის დაცვის საქმის გაუმჯობესების მიზნით და ამ თანხების მიზანშეწონილად გამოყენებას.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობა კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიებში წინეთ არ იყო დამაკმაყოფილებელი; სამეურნეო ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ სატარიფო რეფორმის ჩატარებას და ჯეროვანი დახმარება ვერ აღმოუჩინეს ამ საქმეში პროფესიონალურ კავშირებს. მომავალში საჭიროა ამ დეფექტის აღმოფხვრა.

მომხსენებლის აზრით კოლხელშეკრულებების დადება დამთავრებული უნდა იქნეს 1929 წლის 15 იანვრისათვის.

ამხ. ოდილავაძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. გოდაბრელიძემ, იარიგინმა; იაკუბოვმა; კაროვმა; პოლოსიანმა; იაშვილმა; გალდევსკიმ; შახბაზოვმა; კასიგინმა, და სხ.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოოპერაციის მიერ მუშებისათვის საჭირო საქონლის მიწოდებას, კოლხელშეკრულებათა კამპანიაში ჩაბმული უნდა იქნეს მუშათა მთელი მასა, რომელიც კოლხელშეკრულებებს უნდა გაეცნოს არა მისი დადების შემდეგ, არამედ კამპანიის განმავლობაში და სხ.

11 ნოემბრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ოდილავაძის მოხსენების გარშემო, რის შემდეგ მოსმენილი იქნა ა.-კ. საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ. სმირნოვის მოხსენება სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების შესახებ.

მუშათა დაწინაურების საქმე ა.-კავკასიაში

12 ნოემბრის დილის სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. ხარაბაძის მოხსენება მუშათა დაწინაურების შესახებ.

ამხანაგმა ხარაბაძემ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მმართველობაში მუშების ჩაბმის ყველაზე უკეთესი ფორმა არის მუშათა დაწინაურება, როგორც სახელმწიფოებრივ, აგრეთვე სამეურნეო და კოოპერატიულ თანამდებობებზე.

მიუხედავათ იმისა, რომ სადირექტივო ორგანოების მიერ ამის შესახებ მიცემულია არა ერთი და ორი დირექტივა და ინსტრუქცია, ზოგიერთ პროფესიონალურ კავშირებს ჯერ კიდევ ვერ შეუთვისებიათ ამ საქმის უდიდესი მნიშვნელობა, რის გამო დაწინაურების საქმე ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე.

მომხსენებელმა ამასთანავე აღნიშნა, რომ დაწინაურების საქმე არ უნდა ამოიწუროს მხოლოდ დაწინაურებით, არამედ დაწინაურებულ მუშას უნდა გაეწიოს დახმარება ახალ საქმის გაცნობაში და შემდეგშიაც საჭიროა განუწყვეტლივ თვალყურის დევნება მისი მუშაობისათვის, საჭირო რჩევა-დარიგების მისაცემად მისთვის,

ამხ. ხარაბაძის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. იარიგინმა, მამედოვმა, ხიხარულიძემ და სხვებმა.

დასასრულ გამოყოფილი იქნა კომისიები რომლებსაც დაევალათ რეზოლიუციების შემუშავება.

უკანასკნელი სხდომა

ა.-კ. პროფსაბჭოს უკანასკნელ სხდომაზე, გუშინ საღამოს, განხილული და დამტკიცებული იქნა კომისიების მიერ შემუშავებული რეზოლიუციები და პრაქტიკული წინადადებები.

დასასრულ მოხდა არჩევნები.

ა.-კ. პროფსაბჭოს თავმჯდომარეთ, ამხ. ხ. იაკუბოვის ა.-კ. ცაკის მდივნათ დანიშვნის გამო, არჩეული იქნა ამხ. პ. კუზნეცოვი.

ამხ. გ. ყურულაშვილის ნაცვლათ პროფსაბჭოს პრეზიდიუმში არჩეული იქნა ამხ. ბ. მაჩაიძე და პროფსაბჭოს წევრათ ამხ. ს. გუტინი (აზერბეიჯანის სამთამადნო მუშათა პროფესიონალური კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე), კანდიდატებათ არჩეული იქნენ: ამხ. იარიგინი და ანთიძე.

არჩევნების შემდეგ პლენუმი დაიხურა.

ამხ. პ. კუზნეცოვი

ა.-კ. პროფსაბჭოს თავმჯდომარეთ ახლათ არჩეული ამხ. პ. კუზნეცოვი დაიბადა 1894 წელს ქალაქ ნახიჩევანში (არაქსზე). აქვე მიიღო დაბალი განათლება (დაამთავრა სამკლასიანი სასწავლებელი) და 1908 წელს შევიდა მოწაფეთ საზეინკლო სახელოსნოში. 1909 წელს ამხ. კუზნეცოვი გადმოვიდა თბილისში, სადაც მუშაობდა სხვადასხვა სახელოსნოებში. 1914 წელს ამხ. კუზნეცოვი, როგორც ზეინკალი მუშაობდა თავრიზში (სპარსეთში).

იმპერიალისტური ომის დაწყებისთანავე იგი გაწვეული იქნა ჯარში, სადაც დაჰყო 1918 წლამდე. 1918 წელს ამხ. კუზნეცოვი შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში და მუშაობდა ჯარში.

1918 წელს ის არჩეული იქნა რკინის გზის მუშათა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის წევრად, მუშაობდა ლენინაკანში, სადაც მალე არჩეული იქნა კავშირის საუბნო კომიტეტის თავმჯდომარეთ.

1924 წლიდან ამხ. პ. კუზნეცოვი არჩეული იქნა სომხეთის პროფსაბჭოს თავმჯდომარეთ და ამ პოსტზე მუშაობდა დღემდე.

ამხ. კუზნეცოვი უახლოეს მონაწილეობას ღებულობდა პროფორგანიზაციების მუშაობაში, როგორც ამიერ-კავკასიაში, აგრეთვე ცენტრში (მონაწილეობდა პროფინტერნის მესამე კონგრესზე), გარდა ამისა იგი არის ა.-კ. ცაკის წევრი, საკავშირო ცაკის კანდიდატი და საკავშირო პროფსაბჭოს წევრი.

ხანძარი კინოში

ვორონეჟი, 12 ნოემბერი. ხოდინეცის სადგურზე კინო-სეანსის დროს ლენტი აინთო. ცეცხლი სწრაფად მოედო მთელ დარბაზს, სადაც მრავალი ბავშვი იყო. თეატრის მახლობლად ბავშვების მომლოდინე მშობლები ეშურნენ მათ გადასარჩენად და გამოსავალი შეჰკრეს. მეხანძრეები გვიან მოვიდნენ, თეატრი მთლად დაიწვა. ნანგრევებში აღმოჩენილია დამწვარი გვამები. მსხვერპლის რაოდენობა ჯერ არ არის გამორკვეული. (ადს).

თბილისის საბჭოს პლენუმი

გუშინ წითელ თეატრში შესდგა თბილისის საბჭოს მორიგი პლენუმი. დღის წესრიგში დასმული იყო მოხსენება კომუნალური მეურნეობის შესახებ. მომხსენებლებად გამოვიდნენ თბილისის აღმასკომის კომუნალური განყოფილების გამგე ამხ. ახრიევი და კომუნალური სექციის თავმჯდომარე ამხ. ს. დოლიძე.

თბილისის კომუნალური მეურნეობა

კომუნალურ განყოფილების მუშაობა,— ამბობს მომხსენებელი,—საანგარიშო წელში მიმდინარეობდა სამი მთავარი მიმართულებით: საზოგადო სასარგებლო წარმოებათა მშენებლობის, კეთილმოწყობის და საბინაო მშენებლობის ხაზით.

1926 — 1927 წელთან შედარებით კომუნალურ განყოფილების შემოსავალი გაიზარდა: თუ მაგ. 1926—27 წელს შემოსავალი უდრიდა 11.439.000 მანეთს, ხოლო გასავალი 14.575.000 მანეთს (ამაში შედის ზაჰესის საამშენებლო ხარჯები), 1927—28 წ. შემოსავალი შეადგენდა 13.686.000 მანეთს, ხოლო გასავალი 12.000.000 მან.

ტრამვაი

თუ ავიღებთ მაგ. ტრამვაის მეურნეობას, საანგარიშო პერიოდში ტრამვაის ხაზი გადადებულია 12 კილომეტრით, ხოლო ვაგონთა რიცხვი 44 ახალ ვაგონით. იმატა აგრეთვე გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობამ. თუ 1926 წელს მათი რიცხვი წლის განმავლობაში შეადგენდა 54.560.000 სულს, საანგარიშო პერიოდში მგზავრთა რიცხვი 68.840 ათასამდე ავიდა. მიუხედავათ ქსელის გადიდებისა და ტრამვაის ტეხნიკური წარმატებისა, პროდუქციის თვითღირებულებამ მაინც არ დაიკლო, პირიქით გადიდდა, რაც იმ გარემოებით აიხსნება, რომ გადიდებულია მუშა-მოსამსახურეთა შტატი ისე, რომ თითო ვაგონზე მოდის ერთი კაცის მომატება.

წყალსადენი

მიუხედავათ იმისა, რომ გადაწყვეტილია ახალი წყალსადენის გამოყვანა ნატახტარიდან აუცილებელი საჭიროება მაინც გვაიძულებს გავაუმჯობესოთ ამჟამად მოქმედი წყალსადენი, რადგან ქალაქის მოთხოვნილება წყალზე დღითი-დღე მატულობს. დადგმულია ახალი მანქანები და გაფართოებულია მაგისტრალი—უმთავრესად ქალაქის განაპირა უბნებში. დადგმულია აგრეთვე ახალი წყალსაზომები, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში აღრიცხულია 390 მილიონი ვედრო წყლის ხარჯი. წყალსადენის შემოსავალი გასულ წელს შეადგენდა 1.122.000 მანეთს. მტკვრის წყალის ცუდმა ღირსებამ და წყალზე მოთხოვნილების შეუჩერებელმა ზრდამ გვაიძულა დღის წესრიგში დაგვესვა საკითხი ახალი წყალსადენის გაყვანის შესახებ, რადგან ძველი წყალსადენის შეკეთება და მისი გაფართოება ჯერ ერთი ძალიან დიდ თანხებს მოითხოვს და მეორე მხრით მისი გაფართოება შეუძლებელი აღმოჩნდა იმ დონემდე მაინც, რომ დააკმაყოფილოს ქალაქის მცხოვრებთა და ახალ წარმოება-დაწესებულებათა საჭიროება ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მაინც. ამიტომ აღმასკომი უკვე შეუდგა ამა წლის 1-ლი ნოემბრიდან ნატახტარის წყაროებიდან წყალსადენის გამოსაყვან მუშაობას, როგორც არა ერთხელ იყო აღნიშნული მიმდინარე წლის ბიუჯეტით აღმასკომს ამ საქმისათვის გადადებული აქვს 800 ათასი მანეთი, ხოლო სესხათ გამოთხოვილი აქვს ორი მილიონი.

თელასი

არ გამართლდა ზოგიერთ პესიმისტების შიშლოდინი, რომ ზაჰესი სრული დატვირთვით ვერ იმუშავებდა. თბილისის წარმოება-დაწესებულებების და კერძო აბონენტთა შეკეთებით ზაჰესი დღეს უკვე 65 პროცენტით არის დატვირთული და ახლო მომავალში, მისი დატვირთვა 80 პროცენტს მიაღწევს. ზაჰესის ენერგიის ექსპლოატაცია მინდობილი აქვს თელასს, რომელსაც ამჟამად უკვე ჰყავს 27 ათასი კერძო აბონენტი, (1927 წლის დამდეგს მას ჰყავდა 12.300 აბონიმენტი) ე. ი. აბონენტთა რიცხვი ერთი წლის განმავლობაში გაორკეცებულია. 40 პროცენტი მცხოვრებლებისა ჯერ კიდევ ვერ სარგებლობს ზაჰესის სინათლით. ცხადია მათი გადაყვანა აქ ახლო მომავალში ერთიორად გაადიდებს ენერგიის მოხმარებას. ჩვენი გამოანგარიშებით,— გასულ წელს ტელასს უნდა ჰქონოდა ორ მილიონამდი შემოსავალი, მაგრამ შემოსულია 1.900.000 მანეთი, რაც აიხსნება აბონენტთა დავალიანებით ტელასის მიმართ. კერძო ბინების ელექტროფიკაცია ძალიან დაბრკოლდა იმიტომ, რომ სიძვირის გამო მცხოვრებთა უმრავლესობისათვის მიუწვდომელი შეიქნა სახლებში ელექტროქსელის გაყვანა. კომუნალური განყოფილება შეცდომაში შეიყვანა „ელექტრო-სელსტროიმ", რომელმაც სისწორით ვერ გამოიანგარიშა ელექტრო-წერტის გაყვანის ღირებულება, რომელიც ნავარაუდევზე გაცილებით მეტი აღმოჩნდა. ამჟამად ეს საქმე მინდობილი აქვს სხვა დაწესებულებას, რომელიც შედარებით უფრო იაფ ფასში კისრულობს შეკეთების შესრულებას.

სასაკლაო

ერთად ერთი წარმოება, რომელსაც ჩვენს ხელში აღდგენა არ დასჭირვებია, არის სასაკლაო. მიუხედავათ ამისა, შემოსავალი ამ წარმოებიდან ყოველთვის ნაკლები იყო, ვიდრე გასავალი, რადგან სასაკლაოს დატვირთვა (მისი სიდიდის გამო) 50 პროცენტით ნაკლებია. მხოლოდ წელს სასაკლაომ დატოვა მცირეოდენი მოგება. მისი მუშაობა საკლავ საქონლის სიძვირის გამო, გასულ წელს შემცირებული იყო დაახლოვებით 9 პროცენტით. სასაკლაოს აქვს დიდი საცივარები, რომელიც დღემდე გამოუყენებელი იყო. ჩვენ გადავწყვიტეთ ამ საცივარების იმედით დავიწყოთ დაკლულ საქონლის შემოტანა, რაც გამოიწვევს ხორცის თვითღირებულების შემცირებას, საცივარები ამუშავებული იქნება ორი-სამი კვირის შემდეგ.

აბანოები

ჩვენი აბანოების ქსელი იმდენათ მცირეა, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს თბილისის მოსახლეობის ერთმესამედსაც კი. საშუალოთ ყოველ მცხოვრებს ორ თვეში ერთხელ უწევს ბანაობა. ცხადია, ეს დიდი ჩამორჩენაა და კომგანყოფილებას არ შეეძლო არ მიექცია ყურადღება აბანოების ქსელის გაფართოებისათვის. ამ მიზნით მირზოევის აბანოს მიემატა 8 ახალი ნომერი, აშენდა ახალი—გოგილოს აბანო და ამჟამად შენდება აბანო ნაძალადევში; მაგრამ ეს წვეთია ჩვენ საჭიროებასთან შედარებით. ჩვენი მიზანია ავაგოთ კიდევ ახალი აბანოები სხვადასხვა უბნებში, ხოლო გოგირდის აბანოების რაიონი ვაქციოთ ბალნეოლოგიურ სამკურნალოდ.

სახანძრო რაზმი

თბილისის მცხოვრებლები არც ერთი კომუნალური დაწესებულებებით ისეთი კმაყოფილი არ არიან, როგორც სახანძრო რაზმით, რომლის მუშაობა იმდენად არის გაუმჯობესებული, რომ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში ერთი მნიშვნელოვანი ხანძარისაც კი არ ჰქონია ადგილი. ყოველ რაიონში მუშაობს ერთი რაზმი; რომელიც აღჭურვილია ავტომანქანებით და სხვა ტეხნიკური მოწყობილობით. გადაწყვეტილი გვაქვს განაპირა რაიონში მოვაწყოთ კიდევ ერთი სახანძრო რაზმი.

ქალაქის კეთილმოწყობა

ჩვენი ქალაქის კეთილმოწყობა ვერ ვითარდება ისეთი ტემპით; როგორც ამას საჭიროება მოითხოვს. ყოველ წლიურათ ძველი ქუჩების მოკირწყვლაზე და ახალის გაყვანაზე იხარჯება 497 ათასი მანეთი; ანუ მთელი ჩვენი ქუჩების ღირებულების ნახევარი პროცენტი. საქმეს ართულებს ის გარემოება; რომ ამჟამად მიღებული წესი ქუჩების მოკირწყვლისა ძალიან მოძველებულია. ამ წესით დაგებული ქვაფენილები, რომელიც ნავარაუდევია ეტლებისა და სხვა მსუბუქ გადასაზიდ საშუალებებისათვის, ვერ უძლებს უზარმაზარი ავტობუსების და ავტო-მანქანების ტვირთზიდვას. გადაწყვეტილი გვაქვს შემოვიღოთ მოკირწყვლის ახალი წესი, რომელიც ქვაფენილების გამძლეობას ათი წლით მაინც უზრუნველყოფს. არასახარბიელო მდგომარეობაშია ქალაქის ბაღებიც. ქალაქში თითქმის არ მოიპოვება ისეთი ბაღი, სადაც მცხოვრებლებს დასვენების საშუალება ჰქონდეს, ახალი ბაღის გაშენება ჯერ კიდევ საოცნებო საქმეა: ჯერ ჩვენ იმის საშუალებაც არა გვაქვს რიგიანათ მოვუაროთ და დავიცვათ ძველი ბაღები.

შედარებით უფრო წინ მიდის თბილისის მაზრის კეთილმოწყობის საქმე. მთელ რიგ რაიონებში გაყვანილია ახალი წყალსადენები, აგებულია ელექტროსადგურები, შეკეთებულია და გაყვანილია გზატკეცილები და სხვ.

საბინაო მშენებლობა

საბინაო საკითხი ისევ მწვავე საკითხათ რჩება, ჯერ კიდევ 10 ათასი ოთახი გვჭირია, რომ დავაკმაყოფილოთ ჩვენი საჭიროება, მართალია, სახლებს ვაშენებთ; მაგრამ საბინაო ფონდი მაინც არ იზრდება, რადგან სიძველის გამო, ინგრევა მეტი; ვიდრე შენდება. სახლების მუნიციპალიზაციამ ოდნავადაც ვერ შეანელა საბინაო კრიზისი. მოველოდით ორი ათასი ოთახის განთავისუფლებას, მაგრამ მივიღეთ მხოლოდ 230. ამ უახლოეს ხანში ჩვენს ამოცანას წარმოადგენს დავიცვათ ის ფონდი მაინც, რომელიც გვაქვს. ამ მიზნით ვადიდებთ საბინაო ქირას. ამავე დროს რამდენათ სახსარი საშუალებას გვაძლევს, ვეწევით საბინაო მშენებლობასაც. საანგარიშო პერიოდში აღმასკომის მიერ აგებულია 8 სახლი 362 ოთახით; სამრეწველო დაწესებულებების მიერ აგებულია 19 ოთახი, ხოლო კოოპერაციის მიერ 80. ეს უმნიშვნელოა ჩვენს საჭიროებასთან შედარებით. ამ უახლოეს წლების განმავლობაში აღმასკომს საშუალება არ ექნება, რომ საგრძნობლათ გააფართოვოს საბინაო მშენებლობა. ეს საქმე უმთავრესად უნდა დავაკისროთ სახელმწიფო მრეწველობას, რომელიც, საბჭოთა კავშირის მთავრობის დადგენილებით, ახალ ფაბრიკა-ქარხნებთან ერთად, ვალდებულია აგოს მუშათა საცხოვრებელი ბინებიც.

დასასრულ მომხსენებელი ეხება კომუნალურ მშენებლობას მიმდინარე წლისათვის, რაზედაც ბიუჯეტით გათვალისწინებულია 4.600 ათას მანეთამდე დახარჯვა.

საბჭოს პლენუმი დასრულდა ამხ. ს. დოლიძის თანამოხსენებით. ამხ. დოლიძემ დაადასტურა ძირითადი მიღწევები კომუნალურ მშენებლობის დარგში და ხაზი გაუსვა მომხსენებლის მიერ აღნიშნულ საჭიროებათ.

კამათი გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

პარტიაში

სასოფლო პარტთათბირის პლენუმი

პლენუმის გახსნა

გუშინ გაიხსნა ს. კ. პ. (ბ) ცეკასთან არსებულ სასოფლო თათბირის პლენუმი. პლენუმი გახსნისას მოკლე შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ფილიპე მახარაძემ.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

სოფლად მუშაობას პარტია ყოველთვის დიდ მნიშვნელობას აძლევდა. ამჟამად კი, როდესაც სასოფლო მეურნეობის ზრდასთან დაკავშირებით გართულდა გლეხობის ჯგუფთა ურთიერთობა, ეს მუშაობა განსაკუთრებით რთული და მნიშვნელოვანი შეიქნა.

მიუხედავად იმისა, რომ პარტია და ხელისუფლება ღებულობს მკაცრ ეკონომიურ ზომებს კულაკის წინააღმდეგ, ეს უკანასკნელი მაინც იზრდება. კულაკი ზოგჯერ საკმაო გავლენით სარგებლობს ღარიბებსა და მოჯამაგირეებს შორისაც. ეს გარემოება გვავალებს მეტი ენერგიით მოვკიდოთ ხელი ღარიბთა ეკონომიური განმტკიცებისა და მათი დარაზმვის საქმეს.

ცხადია ამ დიდი ამოცანის გადასაჭრელად სოფლის პარტორგანიზაციამ უნდა დაძაბოს მთელი თავისი ძალღონე. ამავე დროს ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის ლენინური დებულება, რომ აუცილებელია კიდევ უფრო განვამტკიცოთ კავშირი საშუალო გლეხობასთან და ამ უკანასკნელთან ერთად ვაწარმოოთ გადამწყვეტი ბრძოლა კულაკის წინააღმდეგ.

სწორედ აღნიშნულ საკითხების გასარჩევად შეიკრიბა ჩვენი თათბირის პლენუმი, რომლის დადგენილებებიც სახელმძღვანელოდ უნდა გამოადგეს პარტიის ძირითად ორგანიზაციებს,

ბოლოს ამხ. მახარაძე აქვეყნებს თათბირის დღის წესრიგს: 1) სოფლად მუშაობის ამოცანები საკ. კ. პ. (ბ) ც.კ-ს გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, 2) ღარიბთა შორის მუშაობის ამოცანები, 3) მიწათმოწყობის მშენებლობა.

დღის წესრიგისა და თათბირის რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ სიტყვა პირველ საკითხზე მოხსენების გასაკეთებლად მიეცა ამხ. ბაქრაძეს.

სოფლად მუშაობის ამოცანები
(ამხ. ბაქრაძის მოხსენება)

მე-15 პარტყრილობის დადგენილებების საფუძველზე მიღებულმა ღონისძიებებმა, რომელიც კულაკის წინააღმდეგ შეტევისაკენ არის მიმართული, საგრძნობლად გაამწვავა კლასობრივი ურთიერთობა სოფლად. კულაკმა მეურნეობის კოლექტიურ ფორმებში საქართველოში დაინახა თავისი მტერი და დაიწყო მის წინააღმდეგ ბრძოლა. ეს ბრძოლა პირველ ხანებში ფარულ ხასიათს ატარებდა, კულაკები ცდილობდნენ კულაკური კოლექტივების შექმნას, ცდილობდნენ გამძვრალიყვნენ კოლმეურნეობების წევრად და ესარგებლებიათ იმ შეღავათებით, რომელიც კოლმეურნეობებს ეძლევა. პარტიის მიერ დროულად მიღებულმა ღონისძიებებმა კულაკს ამგვარი ბრძოლის საშუალება მოუსპო.

უკანასკნელი წლების განმავლობაში კულაკმა უკვე დაიწყო აშკარა ბრძოლა კოლმეურნეობათა მშენებლობის წინააღმდეგ. აი ამ ბრძოლის ფორმებიც: დუშეთის მაზრის ერთ-ერთ სოფელში კულაკებმა გაავრცელეს ხმა, რომ გლეხობას მიწა ჩამოერთმევა და კოლექტივებს გადაეცემათ. ამ საშუალებით მათ მოახერხეს ხელის მოწერის შეგროვება კოლექტივის დაარსების წინააღმდეგ. იმავე მაზრის სოფ. ნაოზაში კულაკებმა დათხარეს მიწათმოწყობის მიერ დასმული ნიშნები კოლმეურნეობის ადგილებში, შემდეგ კი თავს დაესხნენ კოლმეურნეობის წევრთ, და სცემეს მათ.

კულაკი იბრძვის მიწათმოწყობის ხაზითაც ამ საქმეში კულაკმა ღარიბ და საშ. გლეხობის უფრო მეტი რიცხვის გადაბირება შესძლეს. სოფ. ბაშკიჩეთში (ბორჩ. მაზრა) კულაკებმა ორჯერ ჩაშალეს კრება, რომელსაც მიწათმოწყობის საკითხი უნდა გაერჩია, სოფ. მჯადის-ჯვარში (გორის მაზრა) კულაკებმა ამხედრეს ღარიბი და საშ. გლეხობა მიწათმოწყობის ახალი სისტემის წინააღმდეგ.

რასაკვირველია, კულაკებს ამ საქმეში ხელი შეუწყო ადგილობრივ პარტორგანიზაციის შეცდომებმა. იყო შემთხვევა, როდესაც კრებაზე აშკარად გამოაცხადეს: „ღარიბებს უნდა მივსცეთ სოფლის ახლო მდებარე მიწები, საშუალო გლეხები კი—შორს გავაგზავნოთ", სოფ. ტეზერში (გორის მაზრა) დაარსდა კოლმეურნეობა ისე, რომ უჯრედს არავითარი ახსნა-განმარტება არ ჩაუტარებია. შემდეგ უცებად გამოაცხადეს: „ამა და ამ გლეხებს მიწები უნდა ჩამოვართვათ და კოლექტივს მივსცეთ"! ცხადია ასეთი ნაბიჯები უკმაყოფილებას იწვევდა საშუალო და ღარიბ გლეხობაშიაც.

კულაკურ ელემენტის წინააღმდეგ შეტევის გასაძლიერებლად პირველყოვლისა საჭიროა ადგილობრივი პარტორგანიზაცია ნათლად გაერკვეს სოფლის ფენებად დაყოფის საკითხში. ჩვენს პირობებში შეუძლებელია გლეხობის სოც. ჯგუფების განსაზღვრისათვის ისეთი კრიტერიუმის გამონახვა, რომელიც მთელი რესპუბლიკისა, ან მთელი მაზრისათვის იყოს გამოსადეგი. ზოგიერთი სამაზრკომები შეეცადნენ ასეთი სახელმძღვანელო ინსტრუქციის შედგენას, მაგრამ ცდამ მეტად სამწუხარო ნაყოფი გამოიღო. მაგალითისათვის მოვიყვანთ პუნქტებს ყოფ. სიღნაღის სამაზრკომის ინსტრუქციიდან, კითხვაზე, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს ღარიბათ, ინსტრუქცია უპასუხებს; „ღარიბათ ჩაითვლება გლეხები, რომლებსაც არა ჰყავს მუშა პირუტყვი და არც სახ. იარაღები აქვსო", საშუალო გლეხად, ამ ინსტრუქციის მიხედვით, „ითვლება ის, ვისაც ჰყავს 1 მუდმივი მოჯამაგირე, აქვს სამყოფი სახნავ-სათესი მიწა, ჰყავს 20-დე სხვილფეხა და 50-დე წვრილფეხა პირუტყვი, იწერს ჟურნალ-გაზეთებს და სხვ." კულაკი ინსტრუქციაში მეტად გამარტივებულად არის წარმოდგენილი: „კულაკს ჰყავს 2 ან მეტი მოჯამაგირე, სცხოვრობს მათი შრომით და თვითონ არ მუშაობს ან არა"-ო.

რასაკვირველია ასეთი „ინსტრუქცია" სახელმძღვანელოდ არ გამოდგება. ჩვენ მოგვეპოება საერთო პარტიული დებულებები, რომლის მიხედვითაც უნდა განვსაზღვროთ გლეხის სოც. მდგომარეობა ყოველ კონკრეტულ პირობებში.

ხშირია კულაკის როლის შეუფასებლობის შემთხვევაც. სოფ. ტეზერში უჯრედს კულაკები არც კი შეუმჩნევია სანამ ეს უკანასკნელნი კოლექტივს თავს არ დაესხნენ. პარტიის წევრები ხშირად ერიდებიან კულაკებთან ურთიერთობის გამწვავებას. სოფ. ძალისში (გორის მაზრა) საბჭოს წევრ კომუნისტებთან მივიდნენ კულაკები და სთხოვეს „კეთილსაიმედოობის" მოწმობა, რომ ამით შესძლებოდათ საარჩევნო ხმის უფლების დაბრუნება. კომუნისტებმა კულაკების თხოვნა შეასრულეს და ამავე დროს თემაღმასკომის თავმჯდომარეს მისწერეს: „ჩვენ რამდენიმე კულაკს ხათრით მივეცით მოწმობა „კეთილსაიმედოობის" შესახებ გთხოვთ ეს მოწმობა არ მიიღოთო".

კულაკის ღარიბთა ფენებზე გავლენის შესასუსტებლად საჭიროა ღარიბი გლეხობისათვის ეკონომიური დახმარების გაძლიერება ამ დარგში ჩვენ გვაქვს მიღწევები. ღარიბთა საკრედიტო ფონდი ერთი წლის განმავლობაში 315 ათასიდან 410.000 მან. გადიდდა სამწუხაროდ ადგილებზე კრედიტი მეტად დააწვრილმანეს და ამით მას ეფექტი დაუკარგეს. ღარიბთა წილი საერთო საკრ. ფონდში მცირეა, კრედიტის სოც. მიმართულება არ არის შესწავლილი კოოპერაციის ხელმძღვანელ სამუშაოებზე ხშირად სხედან კულაკები.

ღარიბთა კოოპერაციაში ჩასაბმელი ფონდი მთლიანად არ არის გამოყენებული, 1926—27 წელში მთელ საქართველოში გამოუყენებელი დარჩა 90 ათასი მანეთი.

კოლმეურნეობათა მშენებლობის დარგში ჩვენ საგრძნობი მიღწევები გვაქვს. თუ გასულ წელს ჩვენ გვქონდა 7 კომუნა და 19 სასოფ. სამეურნეო არტელი, ამჟამად გვაქვს 7 კომუნა და 188 სასოფლო-სამეურნეო არტელი. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ თვითეული კოლმეურნეობის წევრთა რიცხვი დიდათ გაიზარდა.

კოლმეურნეობათა მიწათმოწყობა ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, რაც ხელს უშლის მათ სამეურნეო განვითარებას. კოლმეურნეობები ხშირად დანიშნულებისამებრ ვერ იყენებენ მიცემულ სესხსაც.

საძოვრებისა და სათიბების საკითხი არ არის მოწესრიგებული. ბორჩალოს მაზრაში ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: ერთ სოფელს, რომელშიაც 180 კომლი სცხოვრობს, მისცეს 60 დესეტინა სათიბი, ასეთივე ნორმა მისცეს ამავე სოფელში მცხოვრებ 3 კულაკს.

ყველა ის შეცდომები, რომელიც ჩვენ გვაქვს სოფლად მუშაობაში გამოწვეულია ღარიბთა შორის მუშაობის სისუსტით. ღარიბები სათანადო მონაწილეობას ვერ ღებულობენ პარტიის ღონისძიებათა განხორციელებაში.

ამიტომაც ღარიბთა შორის მუშაობა აუცილებლად უნდა გაძლიერებულ იქნეს. ამისათვის კი საჭიროა ყურადღება მიექცეს ღარიბთა შორის მუშაობის აღრიცხვას, ღარიბთა ჯგუფების ჩამოყალიბებას და ღარიბთა კრებების გაჯანსაღებას. ჯგუფები ყველა არჩევით ორგანოსთან უნდა დაარსდეს, ღარიბთა კრებები კი არ უნდა გადაიქცნენ სოფლის საერთო კრებებად.

ჩვენ დღემდე სათანადო მუშაობას ვერ ვაწარმოებდით გლეხ ქალთა შორის, ვერ შევითვისებია, რომ გლეხი ქალები ისევე სხვა და სხვა სოც. ფენებს ეკუთვნიან, როგორც თვით გლეხები. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კულაკი ცდილობს ქალების გამოყენებას პარტიის ღონისძიებათა ჩასაშლელად. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია, დროა სოფლის პარტორგანიზაციამ სერიოზულად მოჰკიდოს ხელი გლეხ-ქალთა შორის მუშაობასაც.

მ. და გ. ქალთა განყ. 1-ლი ყრილობის 10 წ. თავი

16 ნოემბერს სრულდება ათი წელი მუშა და გლეხ ქალთა განყოფილებების პირველი ყრილობის მოწვევის დღიდან.

ს.კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებამ, ზემგომ პარტორგანოების დირექტივის მიხედვით, შეიმუშავა საიუბილეო კამპანიის ჩატარების გეგმა. დღესასწაულის ჩასატარებლად იქმნება რაიონული კომისიები ქალთა განყ. გამგეების თავმჯდომარეობით. კომისიებში შევლენ პარტ. რაიკომის საგ. საპროფ. განყ. გამგე, კომკავშირის და პიონერორგანიზაციის წარმომადგენლები.

პარტუჯრედების ღია კრებებზე (კომკავშირელებთან ერთად) წაკითხული იქნება მოხსენებები მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების 10 წლის თავის შესახებ. მოხსენებაში უნდა აღნიშნულ იქნეს ქალთა შორის მუშაობის მიღწევა-ნაკლოვანებანი ჩვენში.

დღესასწაულის ჩასატარებლად ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული, როგორც ცენტრალური გაზეთები, ისე ადგილობრივი კედლის გაზეთები.

ქალთა სადელეგატო კრებებმა თავის მეცადინეობაზე უნდა განიხილონ საკითხი ქალთა განყოფ. 1 ყრილობის 10 წლის თავის შესახებ. ეს საკითხი უნდა დაისვას მუშების საერთო კრებებზედაც.

16 ნოემბერს კლუბებში ქალთა ფართო მასებისათვის იმართება სათანადო წარმოდგენები. ეწყობა საქალაქო საზეიმო სხდომა დელეგატ ქალებისა, პროფორგანოებისა და სხვ. წარმომადგენლების თანდასწრებით. ამ სხდომაზე რაიონული კომისიები აქვეყნებენ დაწინაურებულ ქალთა სიებს.

10 წლის თავთან დაკავშირებით სწარმოებს აქტიურ მუშა ქალების მიღება პარტიის რიგებში.

ამავე დღისათვის სამეურნეო ორგანიზაციები ხსნიან ყოფა-ცხოვრებით დაწესებულებებს, აგრეთვე ეწყობა საჩვენებელი „გასამართლებანი" დახავსებული ჩვეულებებისა და ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მაზრაში დღესასწაულის ჩასატარებლად იქმნება სათემო კომისიები, რომლებშიაც შევლენ: თემკომის მდივანი, აღმასკომის თავმჯდომარე, პროფორგანოს და კომკავშირის წარმომადგენლები. ტარდება მოხსენებები უჯრედებზე, ეწყობა საუბრები სამკითხველოებში, სწარმოებს აქტიურ ღარიბ და მოჯამაგირე ქალთა მიღება და გადარიცხვა პარტიაში და სხვ.

შრომის სკოლების დასახმარებლად

პირველი დღე

კვირას, 4 ნოემბერს, კომკავშირის თბილისის ორგანიზაციამ ადგილობრივ ფაბრიკა-ქარხნებში ჩაატარა შრ. სკოლის დახმარების საკავშირო შაბათობა.

დილის 6 საათზე კვლავ ჩვეულებრივად გაისმა ფაბრიკა-ქარხნების საყვირის ხმა.

კომკავშირელები, და უპარტიო მუშა-ახალგაზრდები მოზრდილ მუშებთან ერთად დაზგებთან დგანან და ნიშანს უცდიან, ყველას სახე უღიმის, ყველა მხიარულადაა; მათ მშვენივრად ესმით, რომ საბჭოთა შრომის სკოლას ეხმარებიან.

გაისმა უფროს ხელოსნის ხმა:

— ფრთხილად! ელდენი გაშვებულია!—და მანქანაც ამოძრავდა, ახმაურდნენ ქარხნები, გაჩაღდა მუშაობა.



ამხ. სტალინის სახ. ორთქლმავ. შემკეთებელ ქარხანაში

ტყავეულობის ქარხანაში

ტყავეულობის ქარხანაში საკავშირო შაბათობა ჩატარებულ იქნა შაბათს, 3 ნოემბერს ზედმეტი საათების მუშაობით, გარდა ამისა ასეთივე მუშაობა ჩატარებული იქნება 10 ნოემბერს.

მუშაობის დაწყებამდე წარმოებაში მოწყობილ იქნა მფრინავი მიტინგები; სამუშაოზე თავის დროზე გამოცხადდა თითქმის ყველა მუშები.

გარდა წარმოებაში ჩაბმულ მუშებისა, რადიო-ლეგიონიდან გამოცხადდა 60 წითელ არმიელი, ექვსი საათის განმავლობაში წითელი არმიელები შეუსვენებლივ მუშაობდნენ, ამ ხნის განმავლობაში მათ ბევრი რამ გააკეთეს; საწყობებში გადატანილ იქნა 800 ფუთი ტყავი, გარდა ამისა წითელ არმიელებმა ძველი შენობის ნანგრევებიდან გაწმინდეს ადგილი და წესრიგში მოიყვანეს სხვადასხვა სამუშაოები.

შაბათობის დასასრულს ყველა მუშები წითელ არმიელებთან ერთად გაემართნენ კლუბში, სადაც მოსმენილ იქნა მოხსენება საკავშირო შაბათობის მოწყობის და მისი მნიშვნელობის შესახებ.

ლენრაიონში

ლენ-რაიონში შაბათობა ჩატარებულ იქნა დეპოში და სავაგონო პარკში, სულ შაბათობაში მონაწილეობა მიიღო 825 კაცზე მეტმა. ამ წარმოების თავისებურმა პირობებმა შეუძლებელი გახადა, რომ მუშაობაში აღნიშნულ ხელზე მეტს მიეღო მონაწილეობა.

მუშებმა, გარდა დაკისრებულ სამუშაოსა, შეაგროვეს სავაგონო პარკის გარშემო გადაყრილი ძველი რკინის ნაჭრები და სხვ.

მუშების უმრავლესობას შეადგენდა მოზრდილი მამაკაცები და მუშა-ქალები. ხალისით მუშაობდნენ აგრეთვე მცირეწლოვანი ახალგაზრდებიც.

გარდა ამისა, შაბათობაში მონაწილეობა მიიღო კომკავშირის „სამშენის" უჯრედმა; კომკავშირელები 8 საათის განმავლობაში მუშაობდნენ დისპანსერის, ტრამვაის მუშების ბინებსა და სხვა შენობებზე.

ნავთლუღში, რკინის გზის ხაზზე, მოწყობილი იქნა საზოგადო-სასარგებლო მუშაობა გზის გასაწმენდათ. ამ მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 300ზე მეტმა მუშამ.

„26" კომუნართა სახელობის რაიონში კომკავშირელებისა და სკოლის მოწაფეების ძალებით გასუფთავდა უდაბნო ადგილი, სადაც მოწყობილ იქნა სარაიონო-სასპორტო მოედანი.

ხსენებული შაბათობით კომკავშირელებმა ღირსეულად შეასრულეს საკავშირო ცეკას მიერ დაკისრებული ამოცანა.



ტრამვაის სახელოსნოები, პიონერები აგროვებენ ლითონის ნამსხვრევებს

მეორე დღე

11 ნოემბერს სკოლის სასარგებლო საკავშირო შაბათობა ჩატარებულ იქნა იმ წარმოებებში, რომლებმაც ასეთები ვერ მოაწყო გასულ კვირას.

ამხ. სტალინის სახელობის რკინის გზის ორთქლმავლებისა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში გამოცხადდა მუშების მთელი რაოდენობა. დაახლოებით სამუშაოზე გამოცხადდა 2015-დე მუშა-მოსამსახურე.

გარდა ამისა მუშაობა სწარმოებდა სატელეგრაფო სახელოსნოში ამხანაგ კალინინის სახელობის ქარხანაში, ტრამვაიში, სახკინმრეწვში და სხვა.

სულ რკინის გზის წარმოებებში მუშაობდა 2.600 კაცამდე. ამ დღის მუშაობამ მოგვცა დაახლოებით 5.500 მანეთამდე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოზრდილი მუშები დიდი ხალისით და ინტერესით მუშაობდნენ, კომკავშირელებმა კი ამ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს. სამუშაოზე გამოცხადდა კომკავშირელთა ასი პროცენტი.

ის წარმოებები, რომლებიც სხვადასხვა საპატიო მიზეზების გამო შაბათობა ვერ მოაწყვეს შაბათობას ჩაატარებენ მომავალ კვირას.

ა. ქ—ძე.

ლიკვიდატორები გერმანიის კომპარტიაში

მემარჯვენეებისა და უკიდურეს მემარცხენეთა ბლოკი

(წერილი გერმანიიდან)

> „გერმანიის კომპარტია, თავისი არსებობის ათი წლის თავზე, უფსკრულის პირას იმყოფება".
>
> „დღეს კაპიტალისტები და სოციალ-დემოკრატები დღესასწაულობენ: პლებისციტის შედეგებმა გამოაშკარავა, რომ ჯერ ჯერობით მათ არავითარი წინააღმდეგობა არ მოელით პროლეტარიატის მხრივ". (პაუზენის და გალმის განცხადება ტალჰაიმერის ჯგუფის სახელით გერმ. კომპ. ცეკას სხდომაზე 1928 წლის ოქტომბრის 19).

სიტყვა „ლიკვიდატორობა" ნიშნავს მოსპობას, გაუქმებას. მუშათა მოძრაობის თვალსაზრისით ლიკვიდატორები ის ადამიანები არიან, რომლებიც რევოლიუციური ბრძოლის გაუქმება, ლიკვიდაცია უნდათ და რომლებიც უარყოფენ, რომ ბოლშევიკური პარტია პროლეტარიატის ხელმძღვანელია. უკანასკნელი დროის ამბები ნათლად გვიჩვენებს, რომ ჩვენს პარტიაში გერმანიის კომპარტიაში ლიკვიდატორული ფრაქცია არსებობს, რომელმაც დაჰკარგა გერმანიის პროლეტარიატის რევოლიუციური კლასობრივი ბრძოლის რწმენა და ჩვენს პარტიას მუშათა კლასის ავანგარდათ კი არ სთვლის, არამედ შინაგანათ დაავადებულ, მომაკვდავ ორგანიზმათ. ეს ფრაქცია შესდგება ბრანდლერის და ტალჰაიმერის მიმდევართა პატარა ჯგუფისაგან, ამ ფრაქციის უკანასკნელი განცხადებანი მის პოლიტიკურ პლატფორმას გამოხატავენ. ამ წერილის თავში მოყვანილი ციტატები ამჟღავნებს ტალჰაიმერის და ბრანდლერის რწმენას, რომ ჩვენი პარტია თითქო უფსკრულის პირას იმყოფება. მაგრამ ლიკვიდატორებს არ ძალუძთ რაიმე საბუთი მოგვცენ თავიანთი რწმენის დასამტკიცებლად, მათს პლატფორმას, ისევე როგორც შემრიგებელთა ჯგუფის პლატფორმასაც ახასიათებს გასაოცარი იდეური სილატაკე, სრული უქონლობა რაიმე გარკვეული წინადადებისა რევოლიუციური მუშაობის გასაძლიერებლად და გასამდიდრებლად. მთელი მათი სულიერი ავლადიდება შესდგება პარტიის უარყოფითი „კრიტიკისაგან", რომელიც უფრო ლანძღვა-გინებაა, ბრალდებებს, ცილისწამებასა და მტრულ დებულებებში გამოიხატება.

კომინტერნის VI მსოფლიო კონგრესმა აღიარა გერმანიის კომუნისტური პარტიის დიდი წარმატება; არაჩვეულებრივი გაძლიერება კომუნიზმის გავლენისა მუშათა მასებში, რაიცა სხვათა შორის იმაში გამოიხატა, რომ პარტიამ სამი მილიონ მეოთხედი ხმა მიიღო რეიხსტაგის არჩევნებში; წითელი ფრონტის მებრძოლთა კავშირის აღორძინება, მისი გადაქცევა უმნიშვნელოვანეს მასიურ ორგანიზაციად; რევოლიუციური ოპოზიციის გაფართოვება პროფკავშირებში; პარტიის შინაგანი განმტკიცება; ლენინბუნდის და სხვა უკიდურეს მემარცხენე ჯგუფების სრული დაშლა და სხ., აქედან კომინტერნმა დასკვნა გააკეთა: „გერმანიის კომუნისტური პარტია საერთაშორისო პროლეტარული არმიის საუკეთესო ნაწილია" (VI მსოფლიო კონგრესის ტეზისები, § 47) ლიკვიდატორები სწორედ კომინტერნის საწინააღმდეგო თვალსაზრისს იცავენ. ზემოთ აღნიშნულ განცხადებაში ისინი ლაპარაკობენ „პარტიის იზოლიაციის ზრდაზე მუშათა კლასის მიმართ". და რათა არავის ეჭვი არ შეეპაროს, რომ ისინი მთელი პარტიის და არა მარტო ხელმძღვანელების წინააღმდეგ იბრძვიან, ხაზგასმით „მთელი პარტიის იზოლიაციაზე" ლაპარაკობენ, ბრანდლერისა და ტალჰაიმერის აზრით გერმანიის კომპარტია „უკულმართ პოლიტიკას" აწარმოებს. ისეთ პოლიტიკას „რომელიც უშინაარსო ყვირილით განისაზღვრება და რეფორმიზმს რეალურად კი არ ებრძვის, არამედ, პირიქით, აძლიერებს".

როგორაა შესაძლებელი, რომ ასეთმა პარტიამ 3 მილიონ მეოთხედი ხმა შეაგროვა, რომ მისი ავტორიტეტი და გავლენა შეუჩერებლივ იზრდება მუშათა კლასში? როგორაა შესაძლებელი, რომ ბურჟუაზიასა და მის პრესას ეშინია ამ პარტიისა, რომ ისინი განუწყვეტლივ კომუნისტურ საფრთხეზე ლაპარაკობენ, რომ მრეწველები გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ თვითეული კომუნისტის წინააღმდეგ, რათა თავიანთი წარმოებანი რევოლიუციური „გადამდები სენისაგან" დაიცვან? რით აიხსნება, რომ რეფორმისტები იძულებულნი არიან უალერსად ტლანქ ზომებს მიმართონ ადგილობრივი ორგანიზაციების გახათიშავად და გასაშლელად, რათა შეაფერხონ კომუნიზმის გავლენის გაძლიერება პროფესიულ, სასპორტო და კულტურულ ორგანიზაციებში? ბრანდლერსა და ტალჰაიმერს ვერავითარი პასუხი ვერ უპოვიათ ამ კითხვებზე. ისინი თავსაც არ იწუხებენ ფაქტიურ მდგომარეობის შესამოწმებლად. ისინი აბუჩათ იგდებენ ფაქტებს. მთელი მათი ენერგია ერთი მიზნისკენაა მიმართული; გერმანიის კომპარტია დასახონ „უაზრო ყვირილის", „იზოლიაციის", „უფსკრულის პირას მდგარ" პარტიათ, რომელსაც ნიჭი არ შესწევს პროლეტარიატი ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველად აამხედროს და სწორედ ამაშია ლიკვიდატორობის არსება.

კომუნისტური პარტიის ასეთი დაფასებიდან ძალაუნებურად განისაზღვრული ლოგიკური დასკვნები გამომდინარეობს. თუ გერმანიის კომპარტია ათი წლის არსებობის შემდეგ უილაჯო, უიმედოთ დაღუპულ ქმნილებად იქცა, თუ მას „უკონტროლოდ, იდეურად და ნაწილობრივ მატერიალურადაც გარყვნილი ბიუროკრატია ხელმძღვანელობს", როგორც ეს იმავე განცხადებაშია ნათქვამი, ვინღა უნდა იდგეს მუშათა მოძრაობის სათავეში? მაშინ ალბათ სოციალ-დემოკრატია წარმოადგენს მატერიალურ და იდეურ სიწმინდეს „კომუნისტური გარყვნილების" წინააღმდეგ, მაღლიან დემოკრატიულ აღმშენებლობის „კომუნისტური ღრიანცელის" წინააღმდეგ, ისტორიულ მომავალის „კომუნისტური უფსკრულის წინააღმდეგ".

ლიკვიდატორობის აუცილებელი პოლიტიკური შედეგია კავშირის გაწყვეტა კომუნისტურ პარტიასთან და სოციალ-დემოკრატიის მხარეზე გადასვლა. ეს, გზა პაულ ლევის ჯგუფმა შედარებით ჩქარა განვლო, ფრისლანდის ჯგუფი მას კიდევ მეტის სისწრაფით გაჰყვა ამავე მენშევიზმის გზაზე იმყოფება ტალჰაიმერის და ბრანდლერის ჯგუფიც, როგორც მათი პლატფორმა უცილობლად ამტკიცებს.

როგორც გამოცდილებიდან ვიცით, ლიკვიდატორობა არასოდეს არ დაკმაყოფილებულა კომუნისტური პარტიის უარყოფით, არამედ თავისი შემდგომი განვითარების გზაზე იგი ყოველთვის პროლეტარული რევოლიუციის უარყოფამდე, კლასობრივი ბრძოლის შეძლების სურვილამდე და თვით მუშათა კლასის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლამდე მისულა. ლიკვიდატორობის ეს დამახასიათებელი თვისებები გამოაშკარავდა არა მარტო გერმანიის, არამედ რუსეთის და მსოფლიოს მუშათა მოძრაობაში. საკმაოა ზერელედ თვალი გადავავლოთ ჩვენი გერმანელი ლიკვიდატორების პოლიტიკურ პლატფორმას, რომ იგივე ხაზები აღმოვაჩინოთ. ტალჰაიმერს და ბრანდლერს მარტო კომუნისტური პარტია როდი სძულთ, მათ არავითარი რწმენა არა აქვთ გერმანიის მუშათა კლასისა, უბრალო ფაქტი, რომ დრედნოუტის აშენების საკითხში პლებისციტმა არა საკმაო ხმა მიიღო, მათ საკმაოდ მიაჩნიათ რათა სრულიად მიუღებელი დებულება წამოაყენონ, რომ გერმანელ იმპერიალისტებს „დღეს დღეობით არავითარი სერიოზული წინააღმდეგობა არ ელით პროლეტარიატის მხრიდან". ეს ნიშნავს, რომ მუშათა კლასი უძლურია და მან უარი სთქვა ყოველივე წინააღმდეგობაზე მრეწველების წინააღმდეგ, ყოველგვარ ბრძოლაზე ომის საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ეს თვალსაზრისი მოასწავებს გერმანიის რევოლიუციის ლიკვიდაციას და ხელის აღებას იმპერიალიზმის საწინააღმდეგო ბრძოლაზე.

ამრიგად ჩვენ დავახასიათეთ ლიკვიდატორების პოლიტიკური პლატფორმა. პლატფორმა ამჟღავნებს მისი მიმდევრების გამოთიშვას კომუნისტური პარტიისა და რევოლიუციური მუშათა კლასისაგან. ამიტომ იგი მძაფრ, შეურიგებელ წინააღმდეგობაში იმყოფება საერთაშორისო კომუნიზმის პროგრამასა და პრინციპებთან.

ტალჰაიმერის ფრაქცია პარტიის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებს არა აშკარად, არამედ იგი თავის პლატფორმას მალავს ისევე, როგორც წინანდელი ლიკვიდატორები, მაგ. ლევი, ფრისლანდი, მასლოვი, ურბანსი თავიანთ ნამდვილ მიზნებს „კომუნისტური" ფრაზების კორიანტელში ახვევდნენ. ტალჰაიმერი სცდილობს დაგვაჯეროს თითქო იგი წინანდებურათ ერთგული იყოს კომუნისტური პარტიისა, ხოლო სოციალ-დემოკრატიას შეურიგებელ მტრათ სთვლიდეს. თუმცა იგი იდეოლოგიურათ უკვე სოციალ-დემოკრატიის ბანაკში იმყოფება, მაგრამ მას სურს ჯერჯერობით თავის თავს და თავის ფრაქციას პარტიული ლეგალობა შეუნარჩუნოს, რათა კომპარტიის წევრების წინაშე გამოვიდეს როგორც „პარტიის მხსნელი".

მაგრამ დროა ლიკვიდატორებს პარტიული ერთგულების ნიღაბი ჩამოეხსნას და მათი ნამდვილი, პარტიისადმი მტრულად განწყობილი სახე გამომჟღავნდეს.

ბრანდლერის, ტალჰაიმერის, ფროელიხის, ჰაუზენის ჯგუფი დღემდე მუდამ უარყოფდნენ, რომ მათ გამორიცხულ უკიდურეს მემარცხენეებთან „სამხედრო კავშირი" აქვთ შეკრული გერმანიის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. ამის წინააღმდეგ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ მემარჯვენე ლიკვიდატორული ფრაქცია თავისი პოლიტიკური პლატფორმის შინაგანი ლოგიკით იძულებული არის მხარში ამოუდგეს უკიდურეს მემარცხენეებს, წვრილ ბურჟუაზიულ-კონტრ-რევოლიუციურ ტროცკიზმს, რომელიც არსებითად სოციალ-დემოკრატიის აგენტურას წარმოადგენს.

უკანასკნელი დროის ფაქტებმა სავსებით დაადასტურა ჩვენი თანაგრძნობა. გასაოცარი სისწრაფით შეიკრა კავშირი ლიკვიდატორებსა და უკიდურეს მემარცხენეებს შორის. იმ დროს როცა ტალჰაიმერის ჯგუფი ამ ანტიკომუნისტური ბლოკის არსებობას უარჰყოფს, უკიდურესი მემარცხენე რენეგატები, რომლებიც არავითარ ვალდებულებას აღარ გრძნობენ პარტიის წინაშე, ყოველთვის გულახდილად აღიარებენ.

თავის პროკლამაციაში, რომელიც ოქტომბრის 8-ით არის დათარიღებული, ტალჰაიმერი სწერს:

„იმ მწვავე ბრძოლაში, რომელიც დღეს მამელუკიზმისა და გარყვნილების წინააღმდეგ უნდა გავაჩაღოთ, ჩვენ მრავალ პატიოსან, მარცხნივ გადახრილ პროლეტარს ნაღდ მოკავშირეთ ვხედავთ. ჩვენ ყველგან მეგობრულად უნდა მოვკამათოთ ამ ამხანაგებს და მათ დავუმტკიცოთ, რომ სიტყვები „მარჯვნივ" და „მარცხნივ" სრულიად უშინაარსონი არიან".

ყოველმა კომუნისტმა იცის, რომ ურბანსის ჯგუფში უკვე დიდი ხანია არც ერთი „პატიოსანი მემარცხენე პროლეტარი" აღარ მოიპოვება. რევოლიუციონერმა მუშებმა, რომელნიც ერთხანს ურბანსისა და მასლოვის მემარცხენე ფრაზებს მიჰყვებოდნენ, კარგა ხანია ყოველი კავშირი გასწყვიტეს ამ ვაჟბატონებთან. ამ მუშების უდიდესი ნაწილი ისევ კომუნისტურ პარტიას დაუბრუნდა; პატარა ჯგუფი კიდევ განზე სდგას, მაგრამ მისი დაბრუნება პარტიაში დროის საკითხია. ურბანსს და მასლოვს დღეს მხოლოდ გახრწნილი წვრილ ბურჟუაზიული ელემენტები და სოციალ-დემოკრატიის აშკარა ელემენტები უმშვენებენ მხარს.

თუმცა ტალჰაიმერის ჯგუფი ბედავს თავისი თავი „დემოკრატიულ ცენტრალიზმის" მომხრეთ, „გახრწნის მკურნალათ" და „რუტ ფიშერის პოლიტიკის მოწინააღმდეგეთ" მოგვაჩვენოს, მაგრამ ნამდვილად იგი მხარ და მხარ იბრძვის უკიდურეს მემარცხენე რენეგატებთან ერთად და იმასაც კი არ თაკილობს, რომ „პლებისციტის" შედეგები თავისი ფრაქციული მიზნებისთვის გამოიყენოს.

რასაკვირველია, ურბანსმა, და მისმა, ტროცკისტულმა „ლენინ-ბუნდმა" სიამოვნებით მიიღეს ტალჰაიმერის ჯგუფის წინადადება კავშირის შეკრების შესახებ. „ლენინ-ბუნდმა" თავის მიმდევრებს მთელს გერმანიაში შემდეგი ცირკულიარი გაუგზავნა:

„შესაძლებელია, რომ ახლო მომავალში მემარჯვენეებიც გაილაშქრებენ კომპარტიის გახრწნის წინააღმდეგ და პოლიტიკურ დისკუსიას მოითხოვენ. ჩვენ მათ მხარს დავუჭერთ ამ საქმეში პოლიტიკური აზროვნების სხვადასხვაობის მიუხედავად. მაგრამ ტაქტიკურ შეთანხმებას, რომელიც ამ შემთხვევაში ძალაუნებურათ მყარდება, რასაკვირველია არავითარი გავლენა არ ექნება ჩვენ მიერ იმ შეხედულებების დაფასებაზე, რომელიც მემარჯვენეებს აქვთ, მაგ. სოციალ-დემოკრატიასა, წარმოების კონტროლსა, სახელმწიფოზე და სხვ.".

„ლენინ-ბუნდის" წევრები, ეს „პატიოსანი უკიდურეს მემარცხენე პროლეტარები" ურბანსისა და გრილევიჩის ყაიდისა, ეს კომუნიზმის გამობრძმედილი გამცემლები, სიამოვნებით გვერდში უდგებიან ტალჰაიმერს, როგორც მისი „ნაღდი მოკავშირეები". ისინი სულის ნათესაობას გრძნობენ მემარჯვენე ლიკვიდატორებთან, ისინი მათი წინამორბედნი არიან, მზად არიან „ტაქტიკური შეთანხმება" დაამყარონ, მიტომ რომ ეს უკანასკნელი მათვე პლატფორმაზე სდგას: ესაა ცილისწამებისა და ლიკვიდატორული ლანძღვა-გინების „პლატფორმა", კომუნისტური პარტიისა და მისი ხელმძღვანელების წინააღმდეგ მიმართული, რევოლიუციური მუშების გაწირვა, კაპიტულიაცია რეფორმიზმის წინაშე, კავშირის გაწყვეტა კომინტერნთან და საბჭოთა კავშირთან. ურბანსი ტალჰაიმერს ემხრობა, მიტომ რომ ორივენი თავიანთ მიზნებს ერთი და იმავე მაცდური ლოზუნგების შემწეობით ფარავენ: „გაწმენდა გარყვნილებისაგან", „საყოველთაო დისკუსიის თავისუფლება" და სხვ.

ჩვენი პარტიული მასები მწვავე ბრძოლებში საკმაოდ მომწიფდნენ და გამოიბრძმედნენ, რათა ეს უბადრუკი ჯამბაზობა განსჭვრიტონ. გახრწნილია არა ჩვენი პარტია, ეს რევოლიუციის ავანგარდი, გახრწნილია არა კომინტერნი, ეს მებრძოლი მსოფლიო პროლეტარიატის შტაბი, **არამედ ტალჰაიმერი და ურბანსი, რომლებიც ფარული გზებით სოციალ-დემოკრატიის საქმეს აკეთებენ და თავიანთ ნამდვილ ზრახვებს ცილისწამებისა და ლანძღვა-გინების კორიანტელში მალავენ.**

რამდენიმე დღის წინად „ლენინ-ბუნდის" კონფერენცია შესდგა, იქ მიულერმა „ლენინ-ბუნდის" ცეკას სახელზე შეკითხვა შეიტანა, მართალია თუ არა, რომ „ლენინ-ბუნდს" განზრახვა აქვს გერმანიის კომპარტიის მემარჯვენე ფრაქციას შეუთანხმდესო. ამ შეკითხვაზე ურბანსმა უპასუხა:

„თუ მემარჯვენეები სტალინისტების წინააღმდეგ ბრძოლის დროს ლენინბუნდს მოგვმართავენ, ხოლო ჩვენ მემარჯვენეებთან შეთანხმება კომპარტიის დაპყრობის მიზანს დაგვაახლოვებს, არათუ უარს არ ვიტყვით მემარჯვენეებთან შეთანხმებაზე, არამედ უნდა შევეცადოთ, რომ ჩვენს შორის ფრაქციული კავშირი შეიკრას. ლენინ-ბუნდის წევრებათ კი, რასაკვირველია, მხოლოდ ადამიანების მიღება შეიძლება, რომლებიც სავსებით ჩვენი ორგანიზაციის ნიადაგზე სდგანან".

ამრიგად ყვითელი „ლენინ-ბუნდი" „ფრაქციულ კავშირს მოითხოვს მემარჯვენეებთან" თავის რეფერატში, რომელიც ურბანსმა ოქტომბრის 24-ს გაზეთ „ფოლკსვილლეში" გამოაქვეყნა, იგი გარკვევით ლაპარაკობს „მიზანთა ერთობაზე" ტალჰაიმერის ჯგუფთან.

ტალჰაიმერის მიმდევრების პაწია ჯგუფი დღემდე უარჰყოფდა, რომ მასა და პარტიიდან განდევნილ ტროცკისტებს შორის კავშირი არსებობს, დღეს ოფიციალური განცხადებებით და საბუთებით დავამტკიცეთ, რომ ეს უპრინციპო კავშირი უკვე ფაქტია. რაც არ უნდა ვუწოდოთ ამ კავშირს, „ტაქტიკური შეთანხმება", „თანამშრომლობა", „მიზნობრივი გაერთიანება", თუ „ნაღდი მოკავშირეების შეძენა", ეს არსებითად არაფერს შესცვლის და ვერც ვერავის მოატყუებს.

კომუნისტმა მუშებმა ახლა კარგად იციან, სად არიან მათი მტრები, ვინ არიან ისინი, როგორია მათი პოლიტიკური პლატფორმა და რომელ პოლიტიკურ მიმდინარეობას ენათესავებიან. ახლა ჩვენი ვალდებულებაა ულმობლად ბოლშევიკური ხელით აღმოფხვრათ მემარჯვენე ლიკვიდატორობა. და გვწამს, რომ პარტია ამ ვალდებულებას ჩქარა შეასრულებს.

რ. ფ.

ბერლინი, ოქტომბერი.

წერილი პარიზიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პარაგრაფები 70 და 71.—პროვინციალური არჩევნები. — გაფიცვების ტალღა. — კაპიტალიზმის მსხვერპლთა დაკრძალვის გამო.—ფაშისტები კომბას ძეგლის წინააღმდეგ. — პუანკარეს აგრესიულობა.—კაპიტალისტური ყოფა-ცხოვრება

კეთილშობილ ნაციონალისტურ ოჯახში დიდი სკანდალი მოხდა. საპარლამენტო არდადეგების დროს მომუშავე საბიუჯეტო კომისიამ ისარგებლა კომისიის მემარცხენე წევრების არყოფნით და მიიღო ორი სახიფათო პარაგრაფი, რომელიც მთავრობამ თვალთმაქცურათ შეაჩურა ბიუჯეტის ტექსტში და რომელიც, არსებითად, მას არ შეეხება; ამ ორი პარაგრაფის დედა - აზრი ის არის, რომ გაბათილებულ იქნას კანონი სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორების შესახებ, ეს პარაგრაფები №№ 70 და 71 ამიერიდან ერთგვარ შესანიშნავ მოვლენად იქცნენ. როგორც ვიცით, დრეიფუსის საქმის დროს (მე-19 საუკუნის დამლევს და მე-20 საუკ. დამდეგს) კათოლიკე პატერების აგრესიულ პოლიტიკას შეებრძოლნენ მემარცხენე რადიკალები და გაერთიანებული სოციალისტები; ამ შებრძოლებამ გამოიწვია იეზუიტებისა და სხვა კლერიკალური მებრძოლი კავშირების (კონგრეგაციების) გაძევება. და აი, 1929 წლის ბიუჯეტის პროექტში აღმოჩნდა §§ 70 და 71, რომლებმაც ფანჯრიდან უნდა შემოაპარონ კარიდან გაგდებული მებრძოლი კლერიკალები.

რადიკალები აფუსფუსდნენ და შეშფოთდნენ. პროტესტი — პროტესტს მიყოლებ. მოითხოვენ განმარტებანი, რადიკალური პარტიის ერთ - ერთმა ბელადმა, მინისტრმა ეროომ საჭიროდ სცნო ბოდიში მოხადა თავისი პარტიის წინაშე და განაცხადებინა, რომ მან სრულიად არ იცოდა ამ პარაგრაფების არსებობის ამბავი. დემოკრატიული პრესა ენერგიულად მოითხოვდა ან მე-70 და 71 პარაგრაფების უარყოფას, ან რადიკალური მინისტრების გამოსვლას პუანკარეს კაბინეტიდან.

პუანკარე არ სთმობს. რადიკალები კიდეც რომ გამოვიდნენ მთავრობიდან, ამით მდგომარეობა არ შეიცვლება, ისინი ბოლოს და ბოლოს, ცხადია, იარაღს დაყრიან.

* *

ამას წინათ საფრანგეთის ადგილობრივ „თვითმართველობათა" არჩევნები მოხდა. თუმცა ამ არჩევნებს უშუალო პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ რამდენიმე მაინც გვიჩვენებენ საზოგადოებრივი აზრის ორიენტაციას და შეუძლიათ გავლენა მოახდინონ სენატის შემადგენლობაზე. ამ არჩევნების შედეგები გვიდასტურებენ, ერთის მხრით, რომ საშუალო ამომრჩეველი გაბატონებულ პოლიტიკური კურსის ერთგულია, მეორეს მხრით, იმას, რომ იზრდება გულგრილობა არჩევნებისადმი. ნაწილობრივ ამ უკანასკნელი გარემოებით აიხსნება ისიც, რომ კომუნისტებმაც რამდენიმე ათეული ათასი ხმა დაჰკარგეს. სამაგიეროთ საფრანგეთის კომპარტიამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა ნაწილობრივი არჩევნების დროს პარიზის მიდამოებში. ამხ. კლამამიუსი, რომელიც არჩეულ იქნა ამა წლის 29 აპრილს ერთის ხმის უმრავლესობით და რომლის არჩევნები გააუქმეს, ახლა ისევ აირჩიეს 800 ხმის უმრავლესობით, მიუხედავად ჩვენი მტრების გააფთრებული კამპანიისა. ამ კამპანიაში, სხვათა შორის, მონაწილეობას იღებდა ვინმე ლაპორტი, რომელმაც თავი მიჰყიდა კაპიტალს; იგი საფრანგეთის ახალგაზრდობის ყოფილი წარმომადგენელია და ერთ დროს კომკავშირელიც კი იყო. კაპიტალისტებს არასოდეს არ მოუხდენიათ თავისი ძალების ასეთი მობილიზაცია კომუნისტების წინააღმდეგ, როგორც ამხ. კლამამიუსის საარჩევნო კამპანიის დროს, მათ, ალბათ, უნდოდათ დაენახვებიათ, რომ საფრანგეთის კომპარტიის ძალები სუსტდება. შედეგი საწინააღმდეგო გამოდგა.

* *

ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ჩრდილოეთში პროლეტარული უმცირესობის გმირული გაფიცვა, რომელიც, როგორც მე გწერდით; მეტად მძიმე პირობებში მიმდინარეობს რეფორმისტული უმრავლესობის ღალატის გამო. ამავე დროს კი უკვე ჩაღდება საფრანგეთის პროლეტარიატის, უკეთ რომ ვსთქვათ, მისი მოწინავე ფენების ახალი ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რომელიც განსაკუთრებით გათავხედდა სწორედ იმის გამო, რომ მას ყოველთვის მხარს უჭერენ რეფორმისტები და ბურჟუაზიული მთავრობა. კერძოდ ენერგიულად იბრძოდნენ სატრანსპორტო მუშები მარსელში. საერთოდ საფრანგეთის პროლეტარიატის მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდება, რასაც სხვათა შორის; ხელს უწყობს პროფესიონალური ორგანიზაციების სისუსტე.

* *

მთავრობა და მისი მომხრე რეფორმისტები იქამდე გათავხედდნენ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა მთელი არმია დააყენა ფეხზე იმ მიზნით, რომ არ დაეშვა მუშების მონაწილეობა სახლის ჩამონგრევის დროს დაღუპულ 19 ამხანაგის დაკრძალვაში. ამ ბოლო დროს მეტად გახშირდა ასეთი კატასტროფები. ეს მოვლენა უმთავრესად დანაშაულებრივი გაუფრთხილებლობით და კაპიტალისტური სიხარბით აიხსნება, მთავრობას ეშინოდა მუშების პროტესტისა კაპიტალისტურ მკვლელობათა წინააღმდეგ და კაპიტალიზმის მსხვერპლთა ასვენებდნენ მარტოოდენ პოლიცია და ერთი მუჭა რეფორმისტები ფაშიზმის ოფიციალურ წარმომადგენელთა თანდასწრებით (დაღუპულ მუშათა უმეტეს ნაწილს იტალიელები შეადგენდნენ). მრავალი ათასი მუშა, რომლებსაც სურდათ მონაწილეობის მიღება დაკრძალვაში, დააპატიმრეს ყოველგვარ კანონიერ საბაბის გარეშე მხოლოდ იმისათვის, რომ მათ პროტესტის ნიშნად დაკრძალვაში მონაწილეობის მიღება განიზრახეს. აი როგორ გამოიყურება ბურჟუაზიული დემოკრატია პუანკარესი და ეროოს საფრანგეთში, სკანდალურია ის გარემოება, რომ „სოციალისტურმა" პრესამ იმის ნაცვლად, რომ პროტესტი განეცხადებინა ბურჟუაზიული მთავრობის მიერ პროლეტარიატზე მოხდენილ გაუგონარ თავდასხმის გამო, გააფთრებით გაილაშქრა კომუნისტების წინააღმდეგ; რომლებიც მასებს პროტესტისაკენ მოუწოდებდნენ.

* *

ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ ფაშისტებმა თავი აიშვეს, რადგანაც [illegible]—ჩვენთვის დღესასწაული დადგა. ფაშისტებმა გამოაჩინეს თავისი ნამდვილი ხაზი კომბისათვის ძეგლის გახსნის დროს. კომბი ეკუთვნოდა იმ იშვიათ დემოკრატიულ მოღვაწეთა ჯგუფს, რომლებიც პატიოსნად ცდილობდნენ თავის საკუთარი პროგრამის განხორციელებას. მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში კომბი ენერგიულად ებრძოდა კლერიკალიზმს, სხვადასხვა ხასის იეზუიტურ და სხვა კლერიკალურ კავშირებს, ჟორესის დახმარებით მან ჩაატარა სახელმწიფოს ჩამოშორება ეკლესიისაგან და განდევნა კლერიკალური პატერები საერო სკოლიდან. ამას არასოდეს არ აპატიებს მას კათოლიკური ეკლესია, როდესაც გაიგეს, რომ კომბს ძეგლს უდგამენ მის მშობლიურ ქალაქში, მთელ ქვეყანაში გააფთრებული კლერიკალური ღმუილი ატყდა, რადიკალები, რა თქმა უნდა შეშინდნენ, ისინი სიხარულით აიღებდნენ ხელს თავის განზრახვაზე, მაგრამ გვიანღა იყო, პუანკარეს ერთგულმა მეგობარმა, რადიკალების ბელადმა ეროომ ფრიად მკრთალი სიტყვა წარმოსთქვა ძეგლის გახსნის დროს, იგი თითქმის ბოდიშს იხდიდა რეაქციონერების წინაშე სახელოვანი დემოკრატის ასეთი უდროო პატივისცემისათვის, ფაშისტები მიცვივდნენ ძეგლს და დაამახინჯეს იგი, მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც მოჰკლეს ერთი ფაშისტი. ამჟამად ფაშისტებს რესპუბლიკანელები [illegible]. აღსანიშნავია, რომ ფაშიზმის გმირები ჯერ ვერ ბედავენ კომუნისტებზე თავდასხმას, რადგანაც იციან, რომ სათანადო პასუხს მიიღებენ მათ მხრივ.

* *

პუანკარე, ხედავს რა რადიკალების სისუსტეს და ლაჩრობას, სულ თავის და თავისი ფინანსიური პოლიტიკის ქება-დიდებაშია. მან თითქმის გადაარჩინა საფრანგეთი დაღუპვას, 1926 წელს, მისი სიტყვით, საფრანგეთი უფსკრულის პირს იდგა, მან გაკოტრება მოელოდა, მაგრამ პუანკარე მოევლინა საფრანგეთს მხსნელადო, ეს ფრანკის მხსნელი არაფერს ამბობს, რომ სწორედ მანვე დაადასტურა ქვეყნის გაკოტრება; როდესაც ფრანკის ღირებულებაზე ხუთჯერ უფრო ნაკლები დააწერა (4 სუ 20-ის ნაცვლად). მართალია ის, რომ მან იხსნა კაპიტალისტები პროგრესიულ საშემოსავლო გადასახადისაგან და ყოველდღე ძარცვავს მუშებსა და გლეხებს აუტანელი გადასახადებით, ისიც ფაქტია; რომ მან შექმნა ფაშისტური ატმოსფერო; გახრწნა რადიკალების პარტია; სახელი გაუტეხა სოციალისტებს და სინდიკალისტ-რეფორმისტებს; განუწყვეტლივ ებრძოდა თავის საკუთარ გარეშე საქმეთა მინისტრს; საგრძნობლად გააუარესა გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობა და ყოველთვის ილაშქრებდა საბჭოების წინააღმდეგ, სწორედ პუანკარეს დროს გამოეცალა საძირკველი რუსეთ-საფრანგეთის ვალების მომწესრიგებელ კომისიას.

* *

კაპიტალისტური ზნე - ხასიათის ველურობას ადასტურებს შემდეგი ინციდენტი უმაღლეს პოლიტეხნიკურ სკოლაში, რომელიც სამხედრო უწყების გამგებლობაში იმყოფება. როგორც ვიცით, იქ შედიან უმაღლესი მათემატიური განათლებით აღჭურვილი პირები. აი ამ დაახაკებულ და მეცნიერულად განათლებულ პირებს, დიდი ხნის შემოღებული ველური ჩვეულების ძალით, ნამდვილ წამებას აყენებენ, როგორც „მოუმწიფებლებს". მათ მუცლით აფოფხებენ და მუხლით ახოხებენ, ზურგზე ასხდებიან, თვალ - დახუჭულებს ატუნავებენ ხრამებზე. ამ ჩვეულებას სამხედრო ხელისუფალნი თავს არ ანებებენ იმ ინციდენტების შემდეგაც, რომლებსაც ადამიანის სიკვდილი მოჰყვება. მაგალითად, ამ დღეებში პოლიტეხნიკური სკოლის ახალი სტუდენტი ორმოში ჩავარდა და თავის ქალა გაიტეხა, საინტერესოა, რომ ახლანდელმა სამხედრო მინისტრმა „დამოუკიდებელმა სოციალისტმა" პენლევემ არამც თუ არ გააუქმა ასეთი წამებანი ახლად შესულ სტუდენტებისათვის, არამედ იგი ყოველმხრივ ცდილობს ზურგი გაუმაგროს სამხედრო კრეტინიზმს და აახალგაზრდოს ძველი კაპრალური სული.

ხ. რაპოპორტი.

პარიზი; 1928 წ. 2 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მომავალი არჩევნები

თათბირი საქართველოს ცაკთან

კამათი ამხ. ფ. მახარაძის და ამხ. ი. ვარძიელის მოხსენებათა გარშემო

ამხ. ვარძიელის მოხსენების დამთავრების შემდეგ დაიწყო კამათი მომავალი საარჩევნო კამპანიის საკითხების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს როგორც აღმასკომების საორგანიზაციო განყოფილების გამგეებმა, ისე სახ. კომისარიატ., პარტიულ პროფესიულ, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ამხ. ქიქავა
(რემედასი)

როგორც სხვა დანარჩენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს,—ამბობს ორატორი, ისე რემედასს წელს პირველად უხდება საარჩევნო კამპანიაში აქტიური მონაწილეობის მიღება. რემედასის ცენტრალურმა ორგანიზაციამ უკვე მიიღო წინასწარი ზომები, რომ რემედასის ძირითადმა უჯრედებმა ადგილებზე გამოიმუშაონ საარჩევნო გეგმა და შეუთანხმონ იგი სხვა დანარჩენ ორგანიზაციებს. რემედასის ცენტრალურ კომიტეტს უკვე გამომუშავებული აქვს ასეთი გეგმა (ორატორი დაწვრილებით აცნობს თათბირს ამ გეგმას).

ამხ. ზოიძე
(აჭარისტანის ცაკი)

ორატორი აღნიშნავს ნეპმანური და კულაკური ელემენტების გამოცოცხლებას სოფლად და ითვალისწინებს იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიღებული უნდა იქნეს მათი აქტივობის ალაგმვისათვის მომავალ საარჩევნო კამპანიაში. კერძოთ იგი ეხება ხოჯა-მოლების მოსალოდნელ პროვოკაციულ მოქმედებას. შარშანდელი მაგალითების მსგავსად, მოლები შეეცდებიან არჩევნების ჩაშლას მორწმუნეთა მეჩეთში მიწვევით იმ დროს, როცა ჩვენ საარჩევნო კრებები გვექნება დანიშნული. ორატორი მოითხოვს, რომ მოლების ასეთი ოინის წინააღმდეგ ამთავითვე იქნეს ზომები მიღებული. შემდეგ ორატორი ჩერდება არჩევნების ჩატარებაზე და მოითხოვს ადგილებზე სახელმძღვანელოდ მომზადებული პირების დაგზავნას. საარჩევნო კომისიის წევრები სოფლად არ იცნობენ ინსტრუქციებს და მათ არ იციან, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ამა თუ იმ შემთხვევაში. არ ექცევა ყურადღება ღარიბებისა და მოჯამაგირეების დარაზმვას, ამის გამო ეს ელემენტები ხშირად არჩევნების დროს კულაკების დასაყრდენ ძალას წარმოადგენენ. ორატორის აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აჭარელ ქალთა მონაწილეობას არჩევნებში, იმ მიზნით, რომ უზრუნველვყოთ ქალთა რაც შეიძლება მეტი მონაწილეობა, საჭიროა ქალთა საარჩევნო კრებების ცალკე მოწვევა. მართალია, ჩადრის ახდის კამპანია დაიწყო, მაგრამ ჯერ კიდევ შორსა ვართ იმისგან, რომ ქალი მამაკაცებთან ერთად გამოცხადდეს კრებებზე.

ამხ. ნინო მახარაძე
(თბ. აღმასკომის განათ. სექცია)

მართალია,—ამბობს ორატორი,—სათემო აღმასკომებთან მოწყობილია სექციები, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ისინი სრულ უმოქმედობას იჩენენ. ეს, რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ სოფლად მათი მუშაობისათვის ასპარეზი არ არსებობდეს, არამედ იმიტომ, რომ სექციის წევრებმა ხშირად არ იციან სექციის ამოცანები. სექციებს კი ბევრი რამ სარგებლობა შეუძლიათ მოუტანონ სოფელს; ბევრი საქმე, მაგ. როგორიც არის,—სასკოლო შენობების შეკეთება, გზების გაყვანა, ჯანმრთელობის საკითხების მოგვარება—მოითხოვს სექციების აქტიურ ყურადღებას. სექციების უმოქმედობაში თვით საბჭოების ხელმძღვანელებსაც მიუძღვის ბრალი, არა თუ სოფლად, არამედ თვით თბილისში არ არსებობს კავშირი სექციებისა და საბჭოს პრეზიდიუმს შორის. ხელმძღვანელობაზე ლაპარაკი კი მეტია. არც სექციები იცნობენ ერთი მეორის მუშაობას, არ არის გამოცდილების გაზიარება მათ შორის და სამუშაო გეგმის ერთი მეორესთან შეთანხმება. პრესაც ნაკლებ ყურადღებას აქცევს სექციების საქმიანობას, მხოლოდ კონკურსის დროს მიიპყრო სექციებმა მისი ყურადღება და შემდეგ ისევ მიივიწყა.

თბილისის სექციების მუშაობის გაშუქებას დიდი აღმზრდელობითი და სანიმუშო საჩვენებელი მნიშვნელობა აქვს საქართველოს დაბა-სოფლების სექციებისათვის.

ამხ. კაკაბაძე
(ქუთ. სამ. აღმასკომის საორგ. განყ.)

ორატორი ეხება ძირითად საბჭოთა აპარატის მუშაკთა მოუმზადებლობას და ამბობს, რომ ჯერ კიდევ დიდი დროა საჭირო, რომ სოფელმა მოგვცეს პოლიტიკურად და კულტურულად გათვითცნობიერებული მუშაკი. საბჭოების ღირსების ასამაღლებლად ჯერჯერობით უმჯობესი იქნება, თუ ქალაქიდან გავგზავნით მუშებს საბჭოებისა და თემაღმასკომების ხელმძღვანელებად. მეორე მხრივ უნდა ვიზრუნოთ ძირითად აპარატის მუშაკთა ხელფასის გაუმჯობესებაზე, თუ გვინდა, რომ ამ საქმეზე მივამაგროთ ცოტათ თუ ბევრად კვალიფიციური ამხანაგები, ეხება რა საარჩევნო კამპანიის პრაქტიკულ საკითხებს, ორატორი ამბობს, რომ მოჯამაგირეთა და ღარიბთა ფენების აქტივობისთვის საკმაო არ არის მათი დარაზმვა მხოლოდ არჩევნების პერიოდში. საჭიროა მათ შორის სისტემატიური მუშაობა სწარმოებდეს თვეობით და წლობით. ორატორი წინააღმდეგია საარჩევნო უბნების დაქუცმაცებისა, რადგან, მისი აზრით, ეს გაართულებს საქმეს. მრავალი საარჩევნო უბნის ხელმძღვანელობისათვის ძალები არ გვეყოფა.

ამხ. შ. მათიკაშვილი
(იუსტ. სახ. კომისარი)

ორატორი ეხება სახალხო მსაჯულთა არჩევის საკითხს. 1927 წლამდე,—ამბობს იგი,—სახალხო მსაჯულთა მიერ ამრჩევლების წინაშე ანგარიშების წარდგენა და ათვით მათი არჩევა სწარმოებდა პროფკავშირთა მიერ მოწვეულ კრებებზე. შარშანწინ პირველად ჩატარდა სახალხო მსაჯულთა არჩევა საბჭოთა საარჩევნო კამპანიის დროს. საბჭოებთან ერთად ამრჩევლებს თავიანთი მუშაობის ანგარიშს უდგენდნენ სახალხო მსაჯულნიც. მიმდინარე წელს საბჭოთა არჩევნებს და ამასთან დაკავშირებულ საანგარიშო კამპანიას ისეთი ფართო ხასიათი ეძლევა, რომ მოსალოდნელია, სახალხო მსაჯულთა საანგარიშო მოხსენებები და თვით მათი არჩევის საკითხი სრულიად დაიჩრდილოს, მასაში სათანადო ყურადღება და ინტერესი ვერ გამოიწვიოს. თითქოს უმჯობესი იქნება, თუ სახალხო მსაჯულთა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია ჩატარდება საბჭოების არჩევნების შემდეგ. მაგრამ აქ მრავალი დაბრკოლება გვეღობება წინ. საბჭოთა არჩევნების დამთავრებისთანავე მსაჯულთა არჩევის ორგანიზაცია ძნელი საქმეა, ხოლო გაზაფხულზე, როცა საველე მუშაობა იწყება, გლეხობა მოუცლელობის გამო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. გარდა ამისა, ეს გამოიწვევს დიდ ხარჯებს. საკითხი ასე სდგას; და საჭიროა თათბირმა გამოიტანოს გარკვეული დასკვნა, თუ როგორ მოვიქცეთ.

ამხ. ვარო ჯაფარიძე
(ს. კ. პ. (ბ) ც.-კომიტეტი)

კლასთა ბრძოლის გამწვავების გამო,—ამბობს ორატორი,—ამ არჩევნების დროს ადგილი ექნება დიდ შებლა-შემოხლას საბჭოთა და ანტისაბჭოთა ელემენტებს შორის, როგორც გამოცდილებით ვიცით, ნეპმანები და კულაკები ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლაში ემყარებიან ჩამორჩენილ, ნაკლებ გათვითცნობიერებულ მასას. ბევრ ალაგას ასეთ მასას წარმოადგენენ ქალები. წარსული არჩევნების დროს ჩვენმა მტრებმა სწორედ ქალები აამოქმედეს საბჭოების წინააღმდეგ. ეს რომ არ განმეორდეს, ჩვენ ამ თავითვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ ქალთა დარაზმვას და მათ შორის მუშაობის გაცხოველებას. საბჭოებში ქალებს უფრო მეტი ადგილი უნდა დაეთმოს. ჩვენ უკვე მოგვეპოვება მომზადებულ ქალთა საკმაო კადრი, მათ შეუძლიათ გაუძღვენ და უხელმძღვანელონ ჩვენ მრავალ დაწესებულებათა მუშაობას, მაგრამ ქალთა დაწინაურებას წინ ეღობება გულგრილობა და კონსერვატიზმი, რომელიც ქალთა მიმართ არსებობს არა მარტო გლეხობაში, არამედ პარტიის მოწინავე ელემენტებშიც. უნდა აღინიშნოს, ქალთა ამოქმედებაში უფრო მეტ აქტივობას იჩენენ ჩვენი მოწინააღმდეგენი, ვიდრე ჩვენი ამხანაგები. მაგ., შარშანწინდელი არჩევნების დროს ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა არ დასტოვეს არც ერთი ოჯახის წევრი—ქალი რომ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არ მოეყვანათ, მაშინ, როცა ზოგ ჩვენ პასუხისმგებელ ამხანაგების ცოლები, დები და ქალიშვილები სახლში იყვნენ კარჩაკეტილნი. განსაკუთრებით ძალიან მცირეა მოჯამაგირე და ღარიბ ქალთა მონაწილეობა არჩევნებში, შარშან ეს მონაწილეობა 2 პროც. არ აღემატებოდა. მოჯამაგირე ქალთა რიცხვი კი სოფლად ათასებს უდრის. არჩევნებს ქალები ვერ ესწრებიან ოჯახური მოუცლელობის გამო, მაგრამ, გარდა ამისა, ქალთა დასწრებას საარჩევნო კრებებზე აფერხებს თვით საარჩევნო უწყებების დარიგების წესი. ჩვეულებრივ უწყება იგზავნება ოჯახის უფროსს, რომელიც ხშირად არც კი აცნობს ამ უწყებას თავის ოჯახის წევრ ქალებს. უწყებები ისე უნდა დარიგდეს, რომ აუცილებლად უშუალოთ ქალს მოხვდეს ხელში. შემდეგ ორატორი ეხება რა დეპუტატ ქალთა აქტივობას, მოითხოვს, რომ საანგარიშო კრებებზე ანგარიშების წარსადგენად იგზავნებოდნენ აგრეთვე ქალებიც. საჭიროა საარჩევნო კომისიებში აგრეთვე შეყვანილ იქნენ ქალები.

ამხ. აკოპოვი
(თბ. აღმასკომის საორგ. განყ.)

ეს პირველი შემთხვევაა,—ამბობს ორატორი, როცა საბჭოთა არჩევნებში ასე ფართო მონაწილეობას ღებულობენ პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, განსაკუთრებით პროფორგანიზაციებს მართებთ მეტი ყურადღებით მოეპყრან საარჩევნო კამპანიას და ამ არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხების გადაწყვეტაში მეტი მონაწილეობა მიიღონ პროფორგანიზაციების ხელმძღვანელებმა.

დიდი სიფრთხილე გვმართებს შავი სიების შედგენის დროს. სწორედ აქ გვჭირია პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციების დახმარება. შავი სიები უნდა ვეცადოთ შედგენილ იქნეს 80 პროც. სისწორით მაინც.

საბჭოების გამოცოცხლებაზე ლაპარაკი განსაკუთრებით ძლიერდება მაშინ, როცა არჩევნები იწყება, ხოლო თვით საბჭოების მუშაობას პროცესში ამ საკითხს ნაკლები ყურადღება ექცევა. ხშირად იმ ხარჯებს, რომლებიც საჭიროა ამ მუშაობის გასაცხოველებლად, სთვლიან ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯებათ და როგორც ასეთს, საშინლად კვეცავენ. თუ ეს ასე გაგრძელდა, საბჭოების გამოცოცხლება სწრაფი ტემპით ვერ წავა. ეს ეხება აგრეთვე საბჭოების ღარიბთა შორის მუშაობასაც, რომელიც განსაკუთრებით სუსტი იყო გასულ წლამდე. რამდენადაც ჩვენი მიზანია ღარიბთა და მოჯამაგირეთა წრიდან მოვამზადოთ აქტიური მუშაკები საბჭოებისათვის, იმდენად ამ საკითხს უფრო მეტი გულისყურით უნდა მოვეკიდოთ. ამხ. კაკაბაძის მოსაზრება, რომ თემის აღმასკომებს ქალაქიდან მივაწოდოთ მუშები, შეცდარია. ეს არ არის ჩვენი ძირითადი გზა. საბჭოებისათვის მუშაკები უნდა მომზადდეს ადგილობრივ ღარიბ გლეხთა ფენებიდან.

შემდეგ ორატორი ეხება საანგარიშო კამპანიის ჩატარებას და უმჯობესად მიაჩნია მრავალ ორგანიზაციის წარმომადგენელთა მოხსენების ნაცვლად საანგარიშო კრებაზე გაკეთებულ იქნეს ერთი, ყველა ორგანოების მუშაობის შემცველი მოხსენება. დასასრულ ამხ. აკოპოვი მოითხოვს, რომ ცაკთან მოეწყოს საბჭოთა აღმშენებლობის კაბინეტი, სადაც უნდა დაგროვდეს მასალები თემსაბჭოების მრავალფეროვან მუშაობის შესახებ.

ამხ. მელიქაძე
(მიწა-ტყის მუშაკთა კავშირი)

ამხ. მელიქაძე ეხება მოჯამაგირეების მდგომარეობას სოფლად და მათი მონაწილეობის საკითხს საბჭოთა არჩევნებში. სოფლის საბჭოებში,—ამბობს იგი,—ხშირად უმოქმედობას იჩენენ მოჯამაგირეთა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხში. სოფლად არსებული მომრიგებელი კომისიები არაფერს აკეთებენ. პრაქტიკული მუშაობა მათ ჩასაბმელად საბჭოთა მუშაობაში არ სწარმოებს და ხშირად ასეთ მუშაობას დროს დაკარგვად სთვლიან. თუ რამდენათ ნაკლები ყურადღება ექცევა მოჯამაგირეობას, სჩანს იქიდან, რომ მომავალ საარჩევნო კამპანიის დროს გასაკეთებელ საარჩევნო-საანგარიშო მოხსენებებში, შეტანილი არ არის მუხლი მოჯამაგირეობის შესახებ, არც მოჯამაგირეთა წარმომადგენლის საარჩევნო კომისიაში შეყვანაა გათვალისწინებული. მიწა-ტყის კავშირი ამ თავითვე ღებულობს ყოველგვარ ზომებს, რომ მოჯამაგირეების მონაწილეობა არჩევნებში, რაც შეიძლება აქტიური იქნეს. კავშირს უკვე შემუშავებული აქვს გეგმა და ამავე დროს გადაწყვეტილი აქვს არჩევნების ჩასატარებლად მოჯამაგირეებს შორის ადგილებზე გაგზავნოს თავისი წარმომადგენლები.

ამხ. ვ. ცაგარელი
(კოლმეურნეობათა ცენტრი)

წინანდელი საბჭოთა არჩევნებისაგან ეს არჩევნები განირჩევა იმით, რომ საარჩევნო კამპანიაში წელს მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი სამეურნეო პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მათ შორის კოლმეურნეობათა ცენტრი. კოლმეურნეობათა აქტიურ ჩაბმას არჩევნებში დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან კოლმეურნეობებში, სადაც შეკავშირებულია 12 ათასამდე გლეხი, აერთიანებენ ღარიბებს (80 პროც.) და მოჯამაგირეებს (20 პროც.) იმ დროს, როდესაც ასეთ გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა სოფლად, ისეთი ორგანიზაციის მონაწილეობა, რომელიც უმთავრესად ღარიბთა მასას ეყრდნობა, დიდი დახმარებაა შეუძლიან აღმოუჩინონ საბჭოთა არჩევნების ჩასატარებლად მომუშავე ორგანიზაციებს, მაგრამ ამავე დროს ამ არჩევნებში საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს თვით კოლმეურნეობათა მდგომარეობას, რომლის შესახებაც აუცილებლად გაკეთებული უნდა იქნეს ცალკე მოხსენება. კოლმეურნეობათა წევრები საანგარიშო მოხსენების დროს აუცილებლად წამოაყენებენ საკითხს მათთვის იარაღების მიწოდების, სახელოსნოების მოწყობის, კონტრაქტაციის და სხვა საჭიროებათა შესახებ, რაზედაც მიცემული უნდა იქნეს ამომწურავი პასუხი.

ამხ. ზაუტაშვილი
(განსახკომი)

ამ არჩევნების ჩასატარებლად ცენტრალურმა ორგანოებმა მაზრებში უნდა გაგზავნონ ის ამხანაგები, რომელთაც ჩვეულებრივ ამ ორგანოებს დავალებით უხდებათ ადგილებზე მუშაობა. ამ ამხანაგებმა საანგარიშო კრებებზე უნდა გააკეთონ მოხსენებები ჯანმრთელობის, განათლების, სასოფლო მეურნეობის შესახებ. შეიძლება ყოველ თემში ასეთი მოხსენების გაკეთება ტექნიკურათ მოუხერხებელი გახდეს, მაგრამ სამაზრო ცენტრებზე ეს შესაძლებელია და ასეთი მოხსენებები აუცილებლად უნდა გაკეთდეს. ორატორს მიზანშეწონილად არ მიაჩნია საარჩევნო უბნების გადაჭარბებული დეცენტრალიზაცია, რადგან,—მისი აზრით,—გლეხობა უფრო ხალისით მიდის იმ პუნქტებზე, სადაც ამრჩეველთა მეტი რიცხვი იკრიბება. შემდეგ ორატორი ეხება განსახკომის მონაწილეობას არჩევნებში და ამბობს, რომ ამ უწყებამ უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი ამ მიმართულებით. უკვე დაგზავნილია წერილობითი ცირკულიარები შრომის სკოლებში, ტექნიკუმებში, კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებში და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომელთაც ამ ცირკულიარით მიცემული აქვთ გარკვეული სამოქმედო პროგრამა არჩევნების ჩასატარებლად. ამ ცირკულიარით გათვალისწინებულია, რომ საარჩევნო უწყებების დაგზავნა ჩატარდეს შრომის სკოლების უფროსი ჯგუფების მოწაფეთა საშუალებით. ამავე ცირკულიარით მასწავლებლებს ევალებათ დაეხმარონ საარჩევნო კომისიებს არჩევნებთან დაკავშირებულ პრაქტიკული საკითხების მოგვარებაში. სასოფლო სამკითხველოებს და კლუბებს ევალებათ გამოუშვან კედლის გაზეთები და მოაწყონ ჩვენი სოფლის დღევანდელი მდგომარეობის ამსახველი ინსცენიროვკები. განსახკომის საარჩევნო გეგმა მრავალმხრივია და მისი სისწორით და უნაკლოთ შესრულება ამ არჩევნებში იქნება ამავე დროს სოფლად მომუშავე განათლების მუშაკთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი მომზადების გამოცდაც.

ამხ. აბრამაშვილი

წინანდელ არჩევნებში ცენტრიდან გაგზავნილი ამხანაგები ასრულებდნენ მხოლოდ ინსტრუქციის მიმტანის როლს და საკმაო ხელმძღვანელობას ვერ უწევდნენ ადგილობრივ ამხანაგებს. აუცილებლად საჭიროა, რომ აქედან გაგზავნილი ამხანაგი არა მარტო ერკვეოდეს საარჩევნო ინსტრუქციებში, არამედ შეეძლოს უნარი გაერკვეს ადგილობრივ პირობებში და ამის მიხედვით მეტი ყურადღება მიაქციოს იმ რაიონის განსაკუთრებულ საჭიროებას, სადაც იგი იგზავნება. შემდეგ ორატორს მიზანშეწონილად მიაჩნია რაიონის საარჩევნო უბნებათ დაქუცმაცება და ცალკე რაიონებისათვის ასარჩევ დეპუტატების რიცხვის განსაზღვრა. მისი აზრით სარევიზიო კომისიებს უნდა მიეცეს არა მარტო საბჭოს ფინანსიური მდგომარეობის შემოწმების, არამედ საბჭოს ყოველმხრივი მუშაობის შემოწმების უფლება. მიუღებელია ამ საარჩევნო კამპანიის დროს პარალელურად ჩატარებული იქნეს აგრეთვე სახალხო მსაჯულთა არჩევა, რადგან არჩევნებს ასეთი შეთავსებით ერთიც და მეორეც ისე სუსტად ჩატარდეს.

ამხ. ანთიძე
(საქ. პროფსაბჭო)

შეცდარია ამხ. აკოპოვი, როცა ამტკიცებს, რომ პროფკავშირები მონაწილეობას არ ღებულობდნენ წარსულ არჩევნებში. პროფკავშირების აქტივობა გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე სხვა დანარჩენ ორგანიზაციების. მიმდინარე არჩევნებშიაც პროფკავშირები წინ უსწრებენ დანარჩენებს. მაგ. ამ თათბირზე პროფკავშირებიდან წარმოდგენილია 17-მდე დელეგატი, მაშინ, როდესაც დელეგატების რიცხვი საორგანიზაციო განყოფილებიდან, რომელთა უშუალო საქმეს შეადგენს არჩევნების ჩატარება, ექვს არ აღემატება. პროფსაბჭომ უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები, გამოუშვა მოწოდება საკავშირო მასისადმი, შეადგინა კავშირების მონაწილეობის გეგმა, დაუგზავნა ინსტრუქციები სამაზრო განყოფილებებს. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ უკვე მიიღო ზომები, რომ კლუბებში მოეწყოს სპეციალური საღამოები ინსცენიროვკებით, წარმოებებმა გამოუშვან კედლის გაზეთები, რომლებიც სპეციალურად არჩევნებისადმი იქნება მიძღვნილი. ერთი სიტყვით კავშირები გააკეთებენ ყველაფერს, რომ ქალაქებში საკავშირო მასის მონაწილეობა არჩევნებში 95 პროცენტით უზრუნველვყოთ. შედარებით უფრო ძნელია არჩევნების ჩატარება სოფლად, მაგრამ, თუ ყველა ორგანიზაციები მიიღებენ მონაწილეობას საარჩევნო მუშაობაში და ეს მუშაობა კისრათ არ დაეწვება მხოლოდ საარჩევნო კომისიას, სოფლადაც მეტ წარმატებას მივაღწევთ, ვიდრე გასულ წელს. ამრჩევლების, რაც შეიძლება მეტი რიცხვის მოსაზიდათ საარჩევნო კრებებზე, აუცილებელია საარჩევნო უბნების დეცენტრალიზაცია, რომლის გატარებასაც მოითხოვს ქალების განსაკუთრებული მდგომარეობა, ოჯახური პირობები მათ საშუალებას არ აძლევს დიდი ხნით და დიდ მანძილზე მოშორდნენ თავიანთ კარმიდამოს. ორატორის აზრით განაწესი უნდა დგებოდეს წინდაწინ სიფრთხილითა და მდგომარეობის აწონდაწონვით იმ მიზნით, რომ ისინი იყოს რეალური და განსახორციელებელნი. არ უნდა მოხდეს ის, რომ საანგარიშო მოხსენების დროს გლეხობის მიერ დაპირების შემოწმების დროს დაპირებათა 90 პროცენტი შეუსრულებელი აღმოჩნდეს.

ამხ. მინასოვი
(ახალციხის სამაზრო აღმასკომი)

საბჭოთა დეპუტატების შერჩევაში ალაგ-ალაგ ადგილი აქვს მავნე გადახრას. ირჩევენ მხოლოდ ღარიბებს, ასეთი პოლიტიკა ხელისუფლებას საბოლოოდ ჩამოაშორებს საშუალო შეძლების გლეხობას და გაამრუდებს ჩვენი პოლიტიკის სწორ ხაზს სოფლად. საანგარიშო მოხსენების დროს გლეხობის მიერ გამოთქმულ საქმიან შენიშვნებს და პრაქტიკულ მითითებებს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აუცილებლად წერილობით უნდა იქნეს აღნიშნული მათი საქმიანი გამოსვლა და შემდეგ შემოწმებული, თუ რამდენად იქნა იგი მიღებული მხედველობაში. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ხშირად დეპუტატად წამოყენებული გლეხი უარს აცხადებს დეპუტატობაზე იმის გამო, რომ მას კარგად არ ესმის დეპუტატის მოვალეობა და ჰგონია, რომ ამით მას რაღაც შეჭირვებული თანამდებობა ეკისრება. საჭიროა წინასწარ განემარტოთ გლეხებს დეპუტატის უფლება-მოვალეობანი. შემდეგ ორატორი ეხება რა ზოგიერთ პროვინციალურ ქალაქის საბჭოებისა და სათემო აღმასკომების გაერთიანებას, ამბობს, რომ ასეთმა გაერთიანებამ ახალციხის მაზრაში შეასუსტა სოფლად მუშაობა.

ამხ. მიმინაშვილი
(სიღ. მაზრ. აღმასკომი)

ორატორი წინააღმდეგია, რომ არჩევნების წინ იმართებოდეს ცალ-ცალკე კრებები ღარიბებისა, მოჯამაგირეებისა და საშუალო გლეხებისა. უმჯობესია გლეხობის ამ ჯგუფების გაერთიანებული კრებების მოწვევა, სადაც უნდა დაისვას და გაირჩეს სოფლის საჭირბოროტო საკითხები და გამომუშავდეს განაწესი. ორატორი სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ წელს არჩევნები უფრო წარმატებით ჩატარდება, რადგან გლეხობა წელს ეკონომიურათ უფრო უზრუნველყოფილია. მეორე მხრივ ამ არჩევნებში დიდი ყურადღება ექცევა თვითკრიტიკას, რაც ჩვენს გლეხობაში, რომელიც საერთოდ კრიტიკის დიდი მოყვარულია დიდ ინტერესს და აქტივობას იწვევს. შემდეგ მომხსენებელი ეხება რა საანგარიშო კრებების დღის წესრიგს, აუცილებლათ მიაჩნია დღის წესრიგში დაისვას სასურსათო ბაზრის მდგომარეობა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკითხები. საარჩევნო კრებები ორატორის აზრით აუცილებლათ დახურულ შენობებში უნდა მოეწყოს, რასაც გვიკარნახებს განსაკუთრებით ქალების არჩევნებში მოზიდვა.

ამხ. ხოშტარია
(ს.კ. პ. ცკას სოფლად მუშაობის განყ.)

ორატორი წინააღმდეგია საანგარიშო კრებებზე გაკეთებული იქნეს რამდენიმე ორგანიზაციის მოხსენება. მისი აზრით საკმაოა მხოლოდ ერთი მოხსენება, რომელიც სოფლად მუშაობის ყოველ დარგს უნდა შეეხებოდეს. მრავალ მოხსენებების დროს გლეხობის ყურადღება გაიფანტება და საბჭოს მუშაობა მიიჩქმალება, ამის გამო ამომრჩეველი ვერ გაუწევს სათანადო კრიტიკას საბჭოს საქმიანობას. ორატორი არ ემხრობა ამხ. ვარძიელს, რომელიც წინააღმდეგია მოხსენებაში ზოგადი ხასიათის საკითხების შეტანისა. ისეთი საკითხები, როგორიც არის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, კონტრაქტაცია, ინდუსტრიალიზაცია სოფლის სხვა პრაქტიკულ საკითხებთან ერთად აუცილებლათ უნდა დაისვას და ამ ძირითადი ამოცანების თვალსაჩინოთ გაშუქდეს სოფლის სხვა საჭირბოროტო საკითხები. ქალაქიდან მივლინებული ამხანაგები ორატორის აზრით უნდა იგზავნებოდნენ არა ხელმძღვანელობისათვის, არამედ დახმარების გასაწევად.

ამხ. ნესტოროვი
(კომკავშირი)

წარსულ არჩევნებში კომკავშირი აქტიური მონაწილე და არჩევნების ჩამტარებელ კომისიების დამხმარე იყო. წელს მას მოუხდება თავის მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება, განსაკუთრებით კომკავშირელთა იმ ფენებში, რომელნიც კლასიური შეგნების დაბალი დონის გამო შარშან ანტისაბჭოთა ელემენტების გავლენის ქვეშ მოჰყვენ. კომკავშირს მოუხდება წინასწარი ახსნა-განმარტება თავის აქტივს შორის, თუ როგორ შეხვდეს მიმდინარე არჩევნებს. კომკავშირს, რომელსაც საკმაო გამოცდილება აქვს თვითკრიტიკის გატარების საქმეში, მოუხდება დაუზოგავი და ენერგიული შეტევა ჩვენი სოფლის დაწესებულებათა უარყოფით მხარეებზე. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ 85 ათასიანი კომკავშირის მონაწილეობა არჩევნებში სრული 100 პროცენტით, რაც დიდ პოლიტიკურ ეფექტს მოგვცემს. ამჟამად კომკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ცოცხალ კავშირის განმტკიცებას თავის ძირითად ორგანოებთან, რომლებიც არჩევნებთან დაკავშირებული საკითხების დამუშავებას აწარმოებენ ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად. კომკავშირელ დეპუტატებს ევალებათ საანგარიშო მოხსენებით გამოსვლა საბჭოების მუშაობის შესახებ, როგორც საერთო-საანგარიშო კრებებზე, ისე უჯრედების ღია სხდომებზე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კანდიდატთა სიის გამომუშავებას კომკავშირის წრიდან. გადაწყვეტილი გვაქვს საბჭოებში გავიყვანოთ შრომის უნარიანი ახალგაზრდები, რომელნიც ნამდვილად მუშავებენ.

ამხ. ტაგიევი

ამ ორი წლის განმავლობაში ღარიბთა და მოჯამაგირეების ორგანიზაციულ შეკავშირებას წარმატება ეტყობა, მაგრამ ამავე დროს კულაკობის ხვედრითი წონის ზრდაც ფაქტია, ამიტომ მიმდინარე არჩევნებში უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მოჯამაგირეების გავლენის ზრდას ჩვენს საბჭოებში. საარჩევნო კომისიებში აუცილებლათ შეყვანილი უნდა იქნენ მოჯამაგირეთა და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები.

ხმის ჩამორთმევის გამო გასაჩივრების ვადის განსაზღვრა ერთი კვირით საკმაო არ არის. გლეხმა, რომ თავისი უფლებები აღიდგინოს, საჭიროა ორი კვირა მაინც. საკმაო არ არის აგრეთვე საარჩევნო კრების კანონიერებისათვის ამრჩეველთა 35 პროცენტი. მით უმეტეს, რომ წარსულ არჩევნებში ა.-კ. ყველა რესპუბლიკებში საარჩევნო კრებებს ამ პროცენტზე მეტი ესწრებოდა. შემდეგ ორატორი ეხება ქალთა მონაწილეობას არჩევნებში და მოითხოვს მიღებულ იქნეს ღონისძიებები, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს ქალების რაც შეიძლება მეტმა რიცხვმა. ამ მიზნით საარჩევნო კრებები უნდა გაიმართოს დახურულ შენობებში, დასახლებულ რაიონებთან ახლო პუნქტებზე. უწყებები უშუალოთ უნდა ჩაბარდეს ქალებს და სხვა. განაწესი ორატორის აზრით წინდაწინ უნდა იქნეს შედგენილი და შემდეგ განხილული და შესწორებული გლეხების შენიშვნის მიხედვით.

ამხ. გეგელია
(აფხაზეთის ცაკი)

აღნიშნავს კულაკობის ზრდას სოფლათ და მათ გავლენის გაძლიერებას ღარიბ გლეხობაზე. მისი გადმოცემით, შეძლებული გლეხობა ეკონომიურად იმორჩილებს ღარიბებს, აწვდის რა მათ სესხს ფულად თუ ნატურით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გლეხობის ჩამოშორებას კულაკობისაგან, რაც შეუძლებელია, თუ სასოფლო-სამეურნეო, სამომხმარებლო კოოპერაციამ და აგრეთვე სასოფლო-საკრედიტო ამხანაგობამ მეტი დახმარება არ გაუწიეს ღარიბ გლეხებს, რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში დღეს უნდობლათ ეპყრობიან. შემდეგ იგი ეხება ქალთა სუსტ მონაწილეობას საზოგადოებრივ მუშაობაში და ხსნის მას ყოფა-ცხოვრების პირობებით.

ამხ. ფრანგულიანი
(ჯანსახკომი)

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს პირველათ უხდება ასეთი ფართო მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში. კომისარიატის მიერ უკვე მიღებულია შესაფერი ზომები, რომ მისი ორგანოები სოფლათ ამ არჩევნებში, რაც შეიძლება აქტიურათ გამოვიდნენ. ჯანმრთელობის ძირითად უჯრედებს დავალებული აქვთ გამოვიდნენ სასოფლო კრებებზე მოხსენებებით და ამრჩევლებს გააცნონ არა მარტო მათ რაიონში მიღებული ღონისძიებები, არამედ ჯანმრთელობის კომისარიატის საერთო პოლიტიკა მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების საქმეში. ჩვენს უჯრედებს სოფლათ დავალებული აქვს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ისეთი საჭირბოროტო საკითხების გაშუქებას, როგორიც არის მალარიასთან, პელაგრასთან და ეპიდემიებთან ბრძოლა. გლეხობა ჩვენს წარმომადგენელთა მოხსენებებით გაეცნობა არა მარტო მიღწევებს ჯანმრთელობის დარგში, არამედ ჩვენი მუშაობის უახლოეს პერსპექტივებსაც.

ამხ. კოხტაშვილი
(კახეთის მაზრა)

ორატორი წინააღმდეგია, რომ საარჩევნო უწყებების დარიგება დაეკისროს მილიციელებს, რადგან ეს მისი აზრით ადმინისტრატიულ ზეგავლენის შთაბეჭდილებას მოახდენს. შემდეგ ეხება რა სოფლის საბჭოების საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მოჯამაგირეების გაყვანას, ამბობს, რომ აუცილებლათ სხვა ფენებთან შედარებით უპირატესობა უნდა მიეცეს, თუნდაც წერა-კითხვის უცოდინარ მოჯამაგირეებს, რომელნიც, მართალია, განათლების მხრივ ჩამორჩენილი არიან, მაგრამ სხვებზე უკეთ ატარებენ კლასიურ ხაზს. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, თუ გვინდა, რომ მათ მუშაობას არ ახლდეს შეცდომები.

ამხ. მაისურაძე
(სამომხმარებლო კოოპერაცია)

კოოპერაცია, რომელიც მოსახლეობის 80 პროცენტს აერთიანებს, ყველა ორგანიზაციაზე უფრო ახლოს სდგას ჩვენს გლეხობასთან, მიუხედავათ ამისა, იგი სათანადო მონაწილეობას არ ღებულობდა ისეთ მასიურ არჩევნებში, როგორიც საბჭოთა არჩევნებია. აქ ბრალი ცენტრალურ კომისიასაც მიუძღვის, რადგან მისგან არასოდეს კოოპერაციას არ მიუღია დირექტივები იმის შესახებ, თუ რა უნდა ეკეთებია არჩევნების დროს კოოპერაციას. კოოპერაციის წარმომადგენელი არც კი შედის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ეს შეცდომაა და უნდა გამოსწორდეს. მიმდინარე არჩევნებში კოოპერაცია უკვე აღარ იქნება წინანდებურათ პასიური. კოოპერაციის ცენტრმა უკვე დაუგზავნა ადგილებს სათანადო ინსტრუქციები იმის შესახებ, რომ კოოპერაციის ძირითადი ქსელი, მისი ტექნიკური აპარატი, სავსებით გამოყენებულ იქნეს არჩევნებისათვის. გადაწყვეტილია აგრეთვე, რომ სამომხ. კოოპ. ცენტრის ბეჭდვითი ორგანოს ორი ნომერი მიეძღვნება არჩევნებს, ხოლო ადგილებზე კედლის გაზეთები მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში მხოლოდ არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს გააშუქებენ.

ამხ. ს. დოლიძე
(თბ. საბჭოს კომ. სექცია)

თბილისში,— ამბობს იგი, — ორშაბათი დაწესებულია საბჭოთა დღეთ. ორშაბათობით უნდა იმართებოდეს საბჭოს პლენუმისა და საბჭოს სექციების სხდომები, მაგრამ ხშირათ ეს ასე არ ხდება. და ორშაბათობით იწვევენ პარტიულ და პროფესიონალურ ხაზით სხვადასხვა კრებებს. ამის გამო, ხშირათ პარტიულ და პროფესიონალურ მუშაობაში ჩაბმული ამხანაგები საბჭოებისა და სექციების სხდომებს ვერ ესწრებიან. ორშაბათი უნდა დარჩეს და ფაქტიურათ გახდეს საბჭოთა დღეთ. შემდეგ ორატორი ეხება განაწესების შედგენას და ამბობს, რომ განაწესი დგებოდეს ბიუჯეტთან შეფარდებით, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს ყველა ის ხარჯები, რომელსაც გულისხმობს განაწესი სხვადასხვა წვრილმანი სამუშაოებისათვის. შემდეგ ორატორი მოითხოვს გაუქმებულ იქნეს საბჭოს საპატიო წევრობა და საქმეებით დატვირთულ პასუხისმგებელ ამხანაგების ნაცვლად არჩეულ იქნენ მუშები, რომელთაც დრო და მოცალეობა საშუალებას აძლევს აქტიური მონაწილეობა მიიღონ საბჭოების საქმიანობაში.

ამხ. სტეფანოვი
(საშეფო საზოგადოება)

პროფკავშირთა და საშეფო საზოგადოების შორის წასულ არჩევნებში არ ყოფილა არავითარი შეთანხმება. ცხადია, ასეთი შეუთანხმებლობა გავლენას ახდენდა საშეფო საზოგადოების მუშაობაზე საარჩევნო კამპანიის დროს. აუცილებლათ საჭიროა, რომ იმ ამხანაგების შერჩევაში, რომელნიც საშეფო საზოგადოების მიერ პროვინციებში საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლათ იგზავნებიან, დაგვეხმარონ პროფკავშირები. ცენტრალურმა კომისიამაც უნდა იზრუნოს, რომ საშეფო საზოგადოების მიერ მივლინებულ ამხანაგებს ადგილობრივი მუშაკები უფრო მეტი ყურადღებით მოეპყრან და მათ მუშაობის საშუალება მისცენ. გასულ წელს იყო შემთხვევა, რომ ადგილებზე ჩვენი წარმომადგენელი არ დაუშვეს. მიმდინარე წლის არჩევნებისათვის საშეფო საზოგადოება სოფლათ გზავნის 21 კაცს ორი თვის ვადით. ამ ხნის განმავლობაში ისინი შესძლებენ მოსამზადებელი მუშაობის წარმატებით ჩატარებას, თუ წინასწარ იქნება შეთანხმება სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის.

ამხ. ზასოხოვი
(სამხრეთ-ოსეთი)

ორატორი აღნიშნავს, რომ საარჩევნო ინსტრუქციის ძალით წვრილმან მოვაჭრე ებრაელებს, როგორც არამშრომელ ელემენტებს ერთმევა ხმის უფლება, რაც კანონიერი არ არის. ებრაელების დიდი ნაწილი წვრილმან ვაჭრობასთან ერთად მისდევს სასოფლო მეურნეობას და იმიტომ, რომ ისინი წვრილმან ვაჭრობას ეწევიან, ხმა არ უნდა წაერთვათ, მით უმეტეს, რომ ინსტრუქციის ძალით ხმის უფლება ეძლევა ინვალიდებს და ყველა იმ პირებს, რომელნიც სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის უფასო პატენტით ვაჭრობენ.

ამხ. ვარსამაშვილი
(ველისციხის აღმასკომი)

ამხ. ვარსამაშვილი ეხება კულაკების აქტივობის გაძლიერების საკითხს სოფლად და ამბობს, რომ ისინი ათასგვარ ხრიკებს მიმართავენ, რომ შეინარჩუნონ ზედმეტი მიწა და ამავე დროს ხმის უფლებაც არ წაერთვათ. ასევე იქცევიან სოფლის ვაჭრები, რომელთაც აქვთ დუქნები, წისქვილები და შემოსავლის სხვა წყაროები და ამავე დროს მიწასაც ებღაუჭებიან. როცა სათემო აღმასკომის მუშაკები ართმევენ მათ მიწას, არ აძლევენ გასაქანს, ისინი ეხვევიან ღარიბი გლეხის ტანისამოსში, საჩივლელად მოდიან თბილისში და ხშირათ თავისას გააქვთ. სათემო აღმასკომების თავმჯდომარეები მიუხედავათ იმისა, რომ ხშირად წერა-კითხვის უცოდინარნი არიან, სწორად ატარებენ კლასიურ ხაზს.

ამხ. ს. მამულია
(ს.კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი)

უპირველეს ყოვლისა საარჩევნო კამპანია უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ მოსახლეობაში განვამტკიცოთ საბჭოთა წყობილების იდეა. ამ მხრივ გასაკეთებელი ქალაქშიაც ბევრია, მაგრამ სოფლად უფრო მეტია. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება სოფლად—ფაქტია. ფაქტია ჩვენი სოფლის ფენებათ დაყოფა, მისი დიფერენციაცია, მაგრამ ფართო ფენებში ამის სათანადო შეგნება არ არის. ეკონომიურათ კულაკი მტერია ღარიბი გლეხობის და მოჯამაგირეების, მაგრამ ღარიბებსა და ამ მდიდარ გლეხებს შორის ხშირათ ისეთი დამოკიდებულებაა, რომ გლეხობა ამას ვერ გრძნობს. ჩვენ უნდა დაუმტკიცოთ გლეხობას, ცოცხალი მაგალითებით უჩვენოთ მას, თუ ვინ არის მისი მოყვარე და ვინ მტერი. საბჭოთა ორგანოების მუშაობა უნდა გავაკრიტიკოთ იმ თვალსაზრისით, თუ როგორია მათი მოქმედება ღარიბთა და მოჯამაგირეთა ინტერესების დაცვის საქმეში. მხოლოდ ასეთი თვითკრიტიკით შეგვიძლია აღვძრათ ინტერესი გლეხობაში საბჭოთა არჩევნებისადმი და საერთოდ საბჭოთა მუშაობისადმი. ჩვენი ვალია მუშაობა ისეთი ხაზით ვაწარმოოთ, რომ საშუალო გლეხებს შორის აღმოვფხვრათ შეხედულება, თითქოს მთავრობა ზრუნავდეს მხოლოთ ღარიბთა და მოჯამაგირეთა ინტერესებისათვის და უყურადღებოთ სტოვებდეს საშუალო გლეხების ინტერესებს. კავშირი ღარიბსა და საშუალო გლეხობას შორის პარტიის ძირითადი ხაზია, რომელიც მტკიცედ უნდა იქნეს დაცული ამ არჩევნების დროსაც. ჩვენი ძირითადი ამოცანაა აგრეთვე გავაძლიეროთ ქალთა მონაწილეობა ამ არჩევნებში. მათი რიცხვი საბჭოებში და აგრეთვე საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არ შეეფერება არა თუ ქალთა მოსახლეობის საერთო რიცხვს, არამედ იმ აქტიურ ქალთა რიცხვსაც, რომელნიც ამჟამად მოქმედებენ საბჭოთა პროფესიონალურ და პარტიულ საზოგადოებრივ ხაზით. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დაცვას და მათი წარმომადგენლებით საბჭოების შევსებას. საანგარიშო კრებების ჩატარების დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმ სიძნელეებს, რომელიც წინ ეღობება ხელისუფლებას ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ეკონომიურ აღორძინების საქმეში. მომხსენებლებმა ვრცლად უნდა განუმარტონ ამრჩევლებს, თუ რით არის გამოწვეული სურსათ-სანოვაგის, მანუფაქტურის ნაკლებობა და სხვა.

ამხ. ჭეიშვილი
(განათ. მუშაკთა კავშირი)

სხვა დანარჩენ პროფკავშირებთან შედარებით განათლების მუშაკთა კავშირი, განსაკუთრებით სოფლად მომუშავე მასწავლებლობა, უფრო აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა წინანდელ არჩევნებში. საერთოდ ჩვენი მასწავლებლობის საზოგადოებრივი როლი ჩვენს ცხოვრებაში თანდათან იზრდება, რასაც ხაზი გაუსვეს ამხ. მახარაძემ, ამხ. ენუქიძემ და მამია ორახელაშვილმა მასწავლებელთა მე-7 ყრილობაზე. ამ არჩევნებშიაც განათლების მუშაკთა კავშირი თავისი აქტივობის მხრივ დაიჭერს ერთ პირველ ადგილს. სამისოთ უკვე მიღებულია პრაქტიკული ზომები. მიეცათ ინსტრუქციები და რჩევა-დარიგებები ჩვენ კავშირის წევრებს, თუ როგორ უნდა ჩაატარონ საარჩევნო კამპანია. ის გარდატეხა, რომელიც მასწავლებლობაში მოხდა ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მასწავლებლობა ამ არჩევნებშიაც ბრწყინვალეთ ჩააბარებს გამოცდას.

* * *

ამხ. ჭეიშვილის სიტყვით დამთავრდა ორატორების გამოსვლა. საბოლოო სიტყვა ეძლევა მომხსენებლებს ამხ. ფ. მახარაძეს და ამხ. ვარძიელს.

ამხ. ფ. მახარაძის საბოლოო სიტყვა

როდესაც მე აღვნიშნე, — ამბობს ამხ. მახარაძე, ზოგიერთ თემაღმასკომის მუშაობის ნაკლოვანებანი, მხედველობაში არ მქონია, რომ თითქოს ეს ნაკლი მიეწერებოდეს თავმჯდომარეთა წერა-კითხვის უცოდინარობას. შეიძლება თავმჯდომარე განათლებული კაცი არ იყოს, მაგრამ სწორათ ატარებდეს პარტიის პოლიტიკას. კლასიური შეგნება, თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულება, ყოველი მუშაკისათვის და განსაკუთრებით სოფლათ მომუშავე მუშაკისათვის აუცილებელია. მე აღვნიშნე, რომ სწორეთ ზოგიერთი თემაღმასკომის თავმჯდომარე მოკლებულია ასეთ თვისებებს. რომ ეს ასეა, ამის მტკიცებას გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული ექიმთა კონფერენციის ანგარიში, სადაც მოყვანილია მრავალი ფაქტი ზოგიერთი თემაღმასკომის თავმჯდომარის უკანონო მოქმედებაზე და ხშირათ სისხლის სამართლის დანაშაულზე. ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ აღმასკომის თავმჯდომარეები არა თუ თვითონ სჩადიან სიყალბეს, არამედ ავალებენ სიყალბე და ბოროტმოქმედება ჩაიდინონ სოფლათ მომუშავე კულტურულ მუშაკებმა, მაგ. ექიმებმა, რომლებსაც დევნიან იმისათვის, რომ ისინი ამა თუ იმ თავმჯდომარის მიერ გაცემულ უკანონო განკარგულებას არ ასრულებენ. სწორედ ამ არჩევნების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შეგნებული, უმწიკვლო გლეხების შერჩევას საბჭოების ხელმძღვანელებათ.

შემდეგ ამხ. ფ. მახარაძე ხაზს უსვამს პარტიის პოლიტიკის გატარების საჭიროებას საშუალო გლეხების მიმართ, რომელთა ინტერესებს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ ამ არჩევნებში. ქალთა მო-

---

წინასწარი სამზადისი

იმ გეგმის მიხედვით, რომელიც უკვე მიიღო ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, საარჩევნო კამპანიის ჩატარება დაყოფილია სამ ძირითად პერიოდათ: 1. არჩევნების ორგანიზაციულ-ტექნიკური სამზადისი, 2. საბჭოების ანგარიშგება და 3. თვით არჩევნები.

არჩევნების ძირითად პოლიტიკური ამოცანების წარმატებით გადაჭრა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ და რამდენად სერიოზულად იქნება ჩატარებული მოსამზადებელი ორგანიზაციული მუშაობა, რომელიც 1 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე გაგრძელდება.

საარჩევნო კამპანიის პირველ-მოსამზადებელ პერიოდში განხორციელებულ უნდა იქნეს შემდეგი ღონისძიებანი: 1. მოწყობა ყველა საარჩევნო კომისიებისა, 2. შედგენა საარჩევნო უფლების მქონე და ასეთ უფლებას მოკლებულ პირთა სიებისა, 3. საარჩევნო უბნების გამოყოფა, 4. საარჩევნო კომისიების საინსტრუქციო თათბირების ჩატარება, 5. ღარიბი გლეხობისა, მოჯამაგირეებისა, საშუალო გლეხობის აქტივისა, პროფკავშირებისა, ქალთა სადელეგატო კრებებისა, წითელ არმიელებისა, ყოფ. წითელ არმიელთა, ტერარმიელებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების წინასწარი კრებების ჩატარება, 6. უწყებების დამზადება.

საარჩევნო კომისიები

ადგილობრივ დაარსებენ სამაზრო, საქალაქო, სარაიონო (ქალაქებში), სათემო და სასოფლო საარჩევნო კომისიებს.

საარჩევნო კომისია არსებითად წარმოადგენს იმ ორგანოს, რომელსაც აწევს ფაქტიურად საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული მთელი პრაქტიკული მუშაობის სიმძიმე, აგრეთვე საარჩევნო კომისიებზეა დამოკიდებული საარჩევნო კამპანიის პოლიტიკური ამოცანების და პარტიის ხაზის სისწორით გატარება.

ამისათვის საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ადგილობრივ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მხრივ ადგილობრივ საარჩევნო კომისიების შემადგენლობის შერჩევას შეგნებულ და ავტორიტეტულ პირებისაგან.

საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შეყვანილ უნდა იქნენ ყველა იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც გათვალისწინებულია საარჩევნო ინსტრუქციაში იმ აუცილებელი პირობის დაცვით, რომ კომისიების შემადგენლობა უზრუნველყოფილ იქნენ პროლეტარული და გლეხური ელემენტებით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან წარმოებასთან და სოფლის მეურნეობასთან.

ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებმა უნდა მოაწყონ საარჩევნო კომისიები ისე, რომ არ ქონდეს ადგილი ხშირად წინა წლებში შემჩნეულ დაუშვებელ მოვლენას, როცა ფორმალობის შესასრულებლად ისეთი წარმომადგენელს აგზავნიდნენ საარჩევნო კომისიაში, რომლის მოცდენა დაწესებულებიდან შეაფერხებდა ამ დაწესებულების მუშაობას. საჭიროა, რომ თვითეული ორგანიზაცია, რომელიც წარგზავნის საარჩევნო კომისიაში თავის წარმომადგენელს. და განსაკუთრებით, ამ ორგანიზაციის კომუნისტური ფრაქცია გრძნობდეს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას თავისი წარმომადგენლის მუშაობისათვის და ყოველმხრივ ხელი შეუწყოს.

აგრეთვე აუცილებლად საჭიროა პოლიტიკურ პასუხისმგებლობას გრძნობდეს საარჩევნო კომისიის თვითეული წევრი საარჩევნო კომისიის მთელი მუშაობისათვის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ახალი მომენტი, რომელიც გათვალისწინებულ იქნება წელს საარჩევნო ინსტრუქციაში, თუ წინა არჩევნების დროს სამაზრო ქალაქებში არჩევნებს ატარებდა და ხელმძღვანელობდა სამაზრო საარჩევნო კომისია, წელს ამ ქალაქებში უნდა დაარსდეს ცალკე საარჩევნო კომისიები, რათა საბჭოთა არჩევნებს ქალაქებში საკუთარი სახე ქონდეს და უზრუნველვყოთ ქალაქების საბჭოების როლი არჩევნების ხელმძღვანელობაში. ეს მოგვცემს უკეთეს შედეგებს და ადგილობრივ გადაუხვევლად უნდა იქნეს გატარებული.

ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა აღრიცხვა

საარჩევნო კომისიების ფრიად საპასუხისმგებლო ამოცანას შეადგენს საარჩევნო ხმის მქონე და ასეთ უფლებას მოკლებულ პირთა სიების შედგენა, რასაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. მიღებულ უნდა იქნეს ყოველი ღონისძიება, რათა ერთი მხრით, ადგილი არ ექნეს მოქალაქეთათვის საარჩევნო უფლების უკანონოდ აღკვეთას, ხოლო მეორე მხრით არ იქნეს დაშვებული საარჩევნო კანონის გაფართოებულად განმარტება და არ მიენიჭოს უფლება იმ პირთ, რომლებიც საარჩევნო ინსტრუქციით და კონსტიტუციით მას მოკლებული არიან.

გასული საბჭოთა არჩევნების შედეგები გვიმტკიცებს, რომ ამ მხრივ ადგილობრივ ბევრ შეცდომას ჰქონდა ადგილი. უმთავრესად შეცდომა გამოიხატებოდა საარჩევნო ინსტრუქციის იმ ნაწილის არა სწორად გაგებასა და შეფარდებაში, რომელიც ითვალისწინებს ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა განსაზღვრას.

საარჩევნო კანონის სწორად შეფარდება და გამოყენება ადგილობრივ პირობების მიხედვით მოითხოვს პოლიტიკურ მომზადებას და პარტიის ხაზის სწორად გაგებას. პარტიის პოლიტიკა კი მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოებში არ უნდა გავაჭაჭანოთ არც ერთი ექსპლოატატორი, არც ერთი კულაკი, არც ერთი ანტისაბჭოთა ელემენტი.

ამასთანავე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მას, რომ არ წაერთვას საარჩევნო უფლება საშუალო შეძლების გლეხებს. არ შესუსტდეს ღარიბი და საშუალო გლეხობის კავშირი და არ შეფერხდეს მათი დარაზმულად გამოსვლა არჩევნების დროს.

საჭიროა ფართედ იქნეს განმარტებული ადგილობრივ ორგანიზაციებში საარჩევნო ინსტრუქცია და სისტემატიური ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა გაეწიოს სათემო და საქალაქო საარჩევნო კომისიებს.

საჭიროა ადგილებზე დაუყოვნებლივ შეუდგნენ ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლებას მოკლებულ პირთა სიების შედგენას, რომ არჩევნების დაწყებამდე საშუალება მიეცეს სამაზრო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიებს შეასწორონ შეცდომები, რასაც ალბად წელსაც ექნება ადგილი.

საარჩევნო უბნების გამოყოფა

საარჩევნო უბნების გამოყოფის საკითხის სწორად მოგვარებას აქვს დიდი მნიშვნელობა ამომრჩეველთა დასწრების პროცენტის გადიდების მხრივ.

1927 წლის არჩევნების დროს მთელ საქართველოში (ავტ. რესპუბლიკების გამოკლებით). იყო 2.706 საარჩევნო უბანი, ე. ი. თვითეულ საარჩევნო უბანზე საშუალოდ მოდიოდა ასარჩევად 8 დეპუტატი. ამისათვის დიდძალ ამომრჩევლებს უნდა მოეყარათ თავი ერთ საარჩევნო უბანში. აშკარაა, რომ მრავალრიცხოვან ამომრჩევლებისათვის ძნელია, განსაკუთრებით სოფლად, შესაფერისი შენობის გამონახვა. ამასთან, რაც უმთავრესია, ასეთი დიდრიცხოვან კრებაზე ძნელია სათანადო ხელმძღვანელობის გაწევა და აგრეთვე ნაკლებ აქტივობასაც ექნება ადგილი.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გაითვალისწინა ეს მომენტები და წელს ახალ ინსტრუქციაში შეიტანა ცვლილება, რომლის მიხედვით საარჩევნო უბნები ისეთი ანგარიშით უნდა იქნეს მოწყობილი, რომ თვითეული უბნიდან ასარჩევი იყოს: ქალაქებში არა ნაკლებ ერთი დეპუტატისა და არა უმეტეს სამისა, ხოლო სოფლებში არა ნაკლებ ერთი დეპუტატისა და არა უმეტეს ხუთისა. ამრიგათ, თუ წარსულ არჩევნების დროს საქართველოში იყო 2.706 საარჩევნო უბანი, მომავალ არჩევნების დროს გვექნება (ავტ. ერთეულების გამოკლებით) 4.000 უბანი.

ჩვენი სოფლის პირობები მოითხოვს უდავოთ განვახორციელოთ საარჩევნო კანონის ზემოაღნიშნული მითითება. ადგილებმა არ უნდა აიღონ მაინც და მაინც ნორმის მაქსიმუმი—ხუთი დეპუტატი უბანზე, სადაც ადგილობრივი გეოგრაფიული თუ სხვა პირობები მოითხოვს, იქ უფრო უნდა დავაპატარავოთ საარჩევნო უბნები.

არ უნდა დავიზაროთ ეს, თუმცა იგი ართულებს ხელმძღვანელობას. უნდა გვახსოვდეს, რომ რამდენად პატარაა საარჩევნო უბანი, იმდენად უფრო ადვილია შესაფერ შენობის გამონახვა. ამასთან, ამომრჩეველთა სიმცირის გამო, აქ უფრო დამშვიდებულად შეიძლება მოხსენების მოსმენა, კამათი მის გარშემო და არჩევნების ორგანიზაციულად ჩატარება. კერძოდ ეს საჭიროა იმისათვის, რომ გაუადვილოთ ქალებს, მოჯამაგირეებს და უღარიბეს გლეხობას საარჩევნო კრებაზე გამოცხადება. მრავალი მათგანი არჩევნებს წინედ არ ესწრებოდა საარჩევნო უბნის სიშორისა, უდროობისა, თბილი ტანისამოსის უქონლობისა და სხვა მიზეზების გამო.

საარჩევნო კომისიების თათბირების მოწვევა

ყოვლად შეუძლებელია, რომ ადგილობრივ, განსაკუთრებით სოფლად მომუშავე ამხანაგებმა. მარტო წერილობით დირექტივებით შეითვისონ ყველაფერი ის, რაც დაკავშირებულია ასეთ დიდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ კამპანიასთან.

ამიტომ ცაკმა ამ დღეებში მოიწვია ყველა ავტონომიურ ერთეულების, სამაზრო აღმასკომების და ცენტრალურ დაწესებულებათა წარმომადგენლების გაფართოებული თათბირი, სადაც განმარტებულ იქნა საარჩევნო კამპანიის პოლიტიკური ამოცანები და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები, ამ თათბირიდან დაბრუნებისას, საჭირო მასალების და დირექტივების მიღების შემდეგ. ნოემბრის 20—25-დე აუცილებლად უნდა იქნეს ჩატარებული მაზრის მასშტაბით ყველა სათემო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა თათბირი, სამაზრო ორგანიზაციების მონაწილეობით. ამ თათბირებზე უნდა გამომუშავებულ იქნეს მაზრაში საარჩევნო კამპანიის ჩატარების კონკრეტიული გეგმა.

უწყებები

უწყების სისტემამ, რომელიც უკანასკნელად არჩევნების დროს იქნა შემოღებული ჩვენში, სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება, მომავალ არჩევნებშიაც საარჩევნო კანონით ეს სისტემა რჩება ძალაში. აუცილებელია, რათა უწყებები დამზადდეს მოსამზადებელ პერიოდში, ამომრჩეველთა სიების შედგენასთან ერთად. წარსულში უწყებების შედგენას უდგებოდნენ არჩევნების წინ, რის შედეგი იყო ის, რომ ბევრჯერ უწყებები ვერ ბარდებოდა ამომრჩევლებს თავის დროზე—5 დღით ადრე არჩევნებამდე. ზოგჯერ კი სულ ვერ ასწრებდენ ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო მათი დამზადებას. ამომრჩევლებში, რომლებმაც იციან, რომ უწყების სისტემა არსებობს და უწყება ვერ მიიღეს ეს იწვევდა გაუგებრობას და ისინი არჩევნებზე არ ცხადდებოდნენ.

დღემდე უწყებების დასარიგებლად გამოყენებულ იყვნენ მხოლოდ სოფლის აღმასრულებლები, დასავლეთ საქართველოში ე. წ. ასისთავები. ხშირად ესენი ვერ ასრულებდენ თავიანთ მოვალეობას პირნათლად და არ აბარებდენ უწყებებს დანიშნულებისამებრ, ან და გვიან აბარებდენ. კარგი იქნებოდა, თუ ამისათვის მოვიშველიებთ სოფლად კომკავშირელებს, პიონერებს და პარტიის წევრებსაც. კომუნისტების და კომკავშირელების გამოყენებას ამ საქმეში ის უპირატესობა აქვს, რომ ისინი იქნებიან საუკეთესო აგიტატორები სოფლად უწყებების ჩაბარების დროს ამომრჩეველთა შორის აქტივობის ასაწევად. ეს კადრი წინასწარ, ე. ი. მოსამზადებელ პერიოდში უნდა იქნეს გამოყოფილი და განაწილებული საარჩევნო უბნების მიხედვით.

მშრომელთა აქტივის წინასწარი კრებები

საარჩევნო კამპანიის მეორე პერიოდში, როგორც გეგმით გათვალისწინებულია, ჩატარდება საბჭოების ანგარიშგება. თითქმის ორი წელიწადია, რაც მუშაობენ ძველი შემადგენლობის საბჭოები. საბჭოების მუშაობა ამ ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა სოციალისტური მშენებლობის გაძლიერებულ სიძნელეთა პირობებში.

ჩვენ წარმატებით დავამთავრეთ სახალხო მეურნეობის აღდგენა და ფეხი შევდგით მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში, შეუდექით უშუალო სოციალისტურ მშენებლობას ახალ ტექნიკურ ბაზაზე.

განვითარების ამ საფეხურზე ჩვენს წინაშე დაისახა მუშაობის ახალი ამოცანები, როგორც მრეწველობაში, ისე სასოფლო მეურნეობაში. კერძოდ, სოფლად აღებულია გეზი მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციისა, გლეხობის მასიური კოოპერატიული შეკავშირებისა და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ. უდავოა, რომ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა წყალობით სოციალისტური სექტორი გაძლიერდა როგორც ქალაქის, ისე სოფლის ეკონომიკაში.

ამასთანავე, ჩვენ ვხედავთ გლეხობის დიფერენციაციის შემდგომ ზრდას სოფლის მეურნეობის განვითარების ნიადაგზე. კულაკური ელემენტების ეკონომიური შევიწროება ბუნებრივად იწვევს მათი ანტისაბჭოთა სულისკვეთების გაძლიერებას. ცხადია, სოფლად საბჭოების მუშაობის განხილვისა და შეფასების დროს ერთმანეთს შეეჯახება ორი საწინააღმდეგო თვალსაზრისი, ორი მოწინააღმდეგე ძალა: ერთის მხრივ, მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხობა საშუალო გლეხობასთან ერთად, ხოლო მეორეს მხრივ, შეძლებული გლეხობის ზედაფენები შეხმატკბილებული ყოფ. თავადაზნაურობის ნამსხვრევებთან და ინტელიგენციის ანტისაბჭოთა ნაწილთან. ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ზრდის წინააღმდეგობანი და სიძნელენი გამოხატულებას ჰპოვებენ საარჩევნო კამპანიაში. ამისათვის საჭიროა ამ მოსამზადებელ პერიოდში, სანამ დავიწყებდეთ საბჭოების ანგარიშების ჩატარებას, მოწყობილ იქნეს თემებში ღარიბი გლეხობის, მოჯამაგირეების, საშუალო გლეხობის აქტივის, პროფკავშირების, ქალთა სადელეგატო კრებების, წითელ არმიელების წინასწარი კრებები, სადაც გაშუქებული იქნება საარჩევნო კამპანიის ამოცანები, განმარტებული ახალი საარჩევნო კანონი და სხვ. აგრეთვე კარგი იქნება ჩატარდეს გლეხთა სამაზრო კონფერენციები და ქალთა კონფერენციები, სადაც ამის საშუალება არის.

ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიებათა წარმატებით ჩატარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ადგილობრივი პარტორგანიზაციები სწორად შეაფასებენ მომავალ საარჩევნო კამპანიის პოლიტიკურ მნიშვნელობას და გახდიან მას მთავარ საზრუნავ საგნად მთელ ამ ოთხი თვის განმავლობაში. საჭიროა პარტორგანიზაციები ამ თავითვე შეუდგნენ არჩევნებისათვის მოსამზადებელ მუშაობას წინასწარ შედგენილ გეგმით.

დ. ქუჩულორია.

საარჩევნო კამპანიის საკითხები

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა ჯამი გაუკეთა შარშანდელ საარჩევნო კამპანიას და აღნიშნა ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების აქტივობის თვალსაჩინო ზრდა, ღარიბი გლეხობის პოზიციების გამაგრება; მისმა ბლოკმა საშუალო გლეხთა მასებთან ხელი შეუწყო კულაკებისა და ანტისაბჭოთა ელემენტების იზოლიაციას, საშუალება მოუსპო მათ, რომ გავლენა მოეხდინათ კამპანიის მსვლელობაზე და მის შედეგებზე. უკანასკნელ ორ წელიწადს ადგილობრივმა საბჭოებმა პარტიის ხელმძღვანელობით დიდი ორგანიზაციული და პოლიტიკურ მუშაობა შეასრულეს; ამ მუშაობამ უეჭველად გაადიდა მასების ნდობა პარტიისადმი და გააძლიერა უკანასკნელის ხელმძღვანელი როლი მშენებლობის ყველა დარგში.

მაგრამ ეს გარემოება არ უნდა გადაიქცეს ისეთი განწყობილების შექმნის საბაბად, რომ მივივიწყოთ მორიგი პოლიტიკური კამპანიის დიდი მნიშვნელობა. ასეთ განწყობილებას შეიძლება შედეგად ის მოჰყვეს, რომ ეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანია მასიური კამპანიის ნაცვლად გადაიქცეს სააპარატო კამპანიად, რაც, რა თქმა უნდა, ხელს ვერ შეუწყობს საბჭოთა სისტემის განმტკიცებას.

ამგვარი განწყობილება ჩვენთვის აშკარად მავნებელია.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს სახელმწიფოში მშრომელთა მტრებს საარჩევნო უფლება არა აქვთ და ამგვარად მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, რომ აშკარა გავლენა მოახდინონ ამ უმნიშვნელოვანესი კამპანიის მსვლელობაზე. მაგრამ ეს მტრები კიდევ არსებობენ და ისინი ყოველგვარ საშუალებას იყენებენ საბჭოებთან საბრძოლველად და თავისი გავლენის მოსახდენად მშრომელებზე, რომლებიც მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლებას. ამ ორ წელიწადს, საბჭოების უკანასკნელი არჩევნების შემდეგ, დაგვიგროვდა ძალიან დიდი მასალა, რომელიც ახასიათებს კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტების შეტევის ფორმებსა თუ მეთოდებს ღარიბ გლეხობასა და მოჯამაგირეების წინააღმდეგ; ეს მასალა გვიდასტურებს მათ მისწრაფებას, რომ საშუალო გლეხობა ჩამოაშორონ ღარიბ გლეხობას და დაარღვიონ მათი ბლოკი. ამ მხრით უხვ მასალას გვაძლევს სასოფლო-სამეურნეო დაბეგვრის ობიექტების უკანასკნელი აღრიცხვა. გარდა იმისა, რომ კულაკები სცემენ, ჰკლავენ და სდევნიან ღარიბ გლეხებს (რადგან ღარიბი გლეხები ააშკარავებენ მათ ხრიკებს ქონების ნამდვილი რაოდენობის დამალვის დროს). კულაკები და ანტისაბჭოთა ელემენტები ავრცელებენ სხვადასხვა პროვოკაციულ ჭორებსაც.

კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტები ყოველნაირად ცდილობენ შეაფერხონ ჩვენი სამეურნეო და კულტურული მშენებლობა, სოციალისტური ელემენტების შეუჩერებელი ზრდა ქალაქისა თუ სოფლის მეურნეობაში და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება. ნეპმანები და კულაკები ცდილობენ ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენონ ჩვენი სიძნელეები, რომლებიც ზრდის სიძნელეებს წარმოადგენენ. ამიტომ მომავალი საარჩევნო კამპანია, რომელიც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანიაა, ყოველ პარტორგანიზაციისაგან მოითხოვს დიდ საორგანიზაციო მომზადებას. რანაირი უნდა იყოს ეს მომზადება?

პირველ ყოვლისა საჭიროა შარშანდელი კამპანიის დეფექტების გათვალისწინება და მათი გამოსწორება მომავალ კამპანიაში. ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეთ ტექნიკური ხასიათის ყველა საკითხის გულდასმით დამუშავებას; ესაა: გეგმის შემუშავება, კრებების ადგილისა და დროის წინდაწინვე დანიშვნა, საარჩევნო უწყებათა დროიანად დაგზავნა, მომხსენებლების მომზადება როგორც საკუთარი, ისე ცენტრალური დაწესებულებებიდან, საანგარიშო მასალების დამზადება საქმიანობის ყველა დარგიდან და მთელი საზოგადოებრიობის ყურადღების მიქცევა კამპანიაზე. თვითეულ ამ საკითხს, რომელიც უყურადღებოდ იქნება დატოვებული ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მოსამზადებელი მუშაობის საერთო სისტემაში, შეუძლია გამოიწვიოს ამომრჩეველთა აქტივობის შესუსტება კამპანიაში.

უნდა ამოძრავდეს საბჭოთა საზოგადოებრიობის თვითეული უჯრედი; ყოველმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ უნდა მიიღოს კამპანიაში მონაწილეობა.

ჩვენ ამ ხნის განმავლობაში სოფლადაც და ქალაქადაც უდიდესი მუშაობა შევასრულეთ. კლასობრივ ურთიერთობაში თვალსაჩინო ცვლილებანი მოხდა. რასაკვირველია, სიძნელეები არსებობდა და არსებობს, მაგრამ ეს სიძნელეები პროლეტარული სახელმწიფოს ზრდის სიძნელეებია. როგორც მიღწევები, ისე სიძნელეები ყოველთვის საკმაოდ არა აქვთ შეთვისებული მშრომელებს. საჭიროა მათი ახსნა-განმარტება; ეს მიღწევა-სიძნელეები დაწვრილებით უნდა გავაცნოთ ამომრჩევლებს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივაფუჩეჩოთ არც ერთი, არც მეორე და უნდა ვეცადოთ, რომ ამომრჩევლებმა ფართოდ გამოარკვიონ საბჭოების მუშაობის სხვადასხვა დეფექტები.

პარტორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ თავისი ხელმძღვანელი როლი ამ საკითხებში, გაძლიერებული ბრძოლა უნდა აწარმოონ საბჭოების გამოცოცხლების ლოზუნგის შემცდარი გაგების წინააღმდეგ (ვითომც იგი ნიშნავდეს ხელმძღვანელობაზე ხელის აღებას). გათვალისწინებულ უნდა იქნას ყოვლად შეუწყნარებელი შემთხვევები, როცა კამპანიის ხელმძღვანელობაზე უარს ამბობენ იმ მოსაზრებით, რომ ახლა სრული დემოკრატიაა და როგორც გინდათ, ისე აამოირჩიეთო. აგრეთვე სასტიკი ბრძოლაა საჭირო ცალკე უჯრედების გადაჭარბებული ადმინისტრატიულობის წინააღმდეგ. უნდა აღვკვეთოთ ისეთ მოვლენების შესაძლებლობა, როცა, მაგ., მოითხოვენ არ გააკრიტიკონ სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, რადგან ის კომუნისტია და მისი გაკრიტიკება ნიშნავს მთელი საკავშირო კომპარტიის (ბ) გაკრიტიკებასო.

საარჩევნო ინსტრუქციის სწორი გამოყენება საგრძნობლად უზრუნველყოფს კლასობრივი ხაზის სისწორეს მომავალ საარჩევნო კამპანიაში.

ჩვენს საარჩევნო ინსტრუქციაში ბევრი ისეთი ადგილია, რომელიც საკანონმდებლო ორგანოსათვის ცხადია, მაგრამ მის შემსრულებელს კი ზოგჯერ საშუალებას აძლევს დაარღვიოს რევოლუციონური კანონიერება და პირადი ანგარიში გაასწოროს, თუ კი ინსტრუქციას და მის ობიექტებს უსულგულოდ, ფორმალურად მოეკიდება. საარჩევნო ინსტრუქცია ადგილობრივ ორგანოებს თაოსნობას ანიჭებს, რომ ამა თუ იმ მოქალაქეს საარჩევნო უფლება წაართვან ან მისცენ, მაგრამ საარჩევნო ინსტრუქცია მოითხოვს დიდი სიფრთხილის გამოჩენას ამისთანა შემთხვევებში. საკმარისი არ არის წარმომადგენლების გამოყოფა საარჩევნო კომისიისათვის, საჭიროა აგრეთვე მთელი საარჩევნო სიის გულდასმით შემოწმება ღარიბთა ორგანიზაციების, პარტიული უჯრედების და სხვა ამისთანა ორგანოების დახმარებით. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა და პარტიის ყოველმა წევრმა, პირველ ყოვლისა, გულმოდგინედ უნდა შეისწავლონ და შეითვისონ საარჩევნო ხაზი და მისი ცალკე პუნქტები. უკვე იყო იმისთანა შემთხვევები, როცა ან ინსტრუქციის უცოდინარობის გამო ან ინსტრუქციის ბოროტი, დანაშაულებრივი დამახინჯების გამო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები ხმის მიცემის უფლებას აძლევდნენ მთელ სოფელში ცნობილ კულაკებს და საარჩევნო უფლებას ართმევდნენ საშუალო და ღარიბ გლეხებს.

ასეთ მოვლენებს ადგილი არ ექნება მხოლოდ მაშინ, როდესაც საარჩევნო ინსტრუქცია არა მარტო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის კუთვნილებად გადაიქცევა, არამედ ყველა მოქალაქისა, როდესაც იგი საკმაოდ დამუშავდება და განმარტებულ იქნება ყველა ორგანიზაციაში.

ჩვენ ანგარიში უნდა წარუდგინოთ ამომრჩევლებს, ჩვენი მიღწევები და დეფექტები მშრომელების კრიტიკის საგნად უნდა გადავაქციოთ და ვეცადოთ ამ კრიტიკის ფართოდ განვითარებას; ამავე დროს ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ამომრჩევლებმა მიუთითონ საბჭოებს, თუ რა უნდა გააკეთონ მათ პირველ რიგში. სამწუხაროდ, დღევანდლამდე ამომრჩეველთა განაწერები („ნაკაზები") ხშირად უბრალო ფორმას წარმოადგენენ; ან მათ ზემოდან იძლევიან როგორც ნიმუშს და ადგილობრივ იღებენ ამა თუ იმ სოფლის კონკრეტულ საჭიროებათა გაუთვალისწინებლად, ან კიდევ განაწერებს ადგილობრივ ადგენენ, მაგრამ შიგ აქცევდნენ ისეთი მოთხოვნებს, რომლებსაც არამც თუ სოფლის საბჭო, მაზრის აღმასკომიც ვერ შეასრულებს, გარდა ამისა, არჩევნების დამთავრების შემდეგ ახალი საბჭოები სრულიად უყურადღებოდ სტოვებენ ამ ნაკაზებს. გლეხი კი თვალყურს ადევნებს და აკვირდება საბჭოს ყოველ ნაბიჯს, რომ დაინახოს მასში თავის მოთხოვნების გამოხატულება. ადგილობრივი პარტიული უჯრედის ამოცანაა: დახმარება გაუწიოს სოფლის საბჭოს, რომ მან ზემოდან მიღებული ნაკაზები შეუფარდოს ადგილობრივ პირობებს, ხოლო ადგილობრივ წამოყენებული ნაკაზები ისე ააგოს, რომ მათი შესრულება შეიძლებოდეს რათა ისინი ამა თუ იმ რაიონის ნამდვილ საჭიროებებს გამოხატავდნენ. სოფლის საბჭო მათ აუცილებლად უნდა ასრულებდეს და აცნობებდეს ამომრჩევლებს, რომ ესა და ეს მშენებლობა თუ ღონისძიება განხორციელებულია ამა და ამ წინადადების თანახმად და სხვ.

ვინ უნდა ხელმძღვანელობდეს საბჭოებს? ეს საკითხი მთელი საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია.

ზოგიერთ ამხანაგებს გადახრა ეტყობა ამ საკითხში. ისინი შეაშინა სასოფლო საბჭოების წერა-კითხვის უცოდინარ თავმჯდომარეთა დიდმა რიცხვმა (33 პროცენტი) და მათ ლაპარაკი დაიწყეს იმის შესახებ, რომ საჭირო არ არის მოჯამაგირეების ამორჩევა, რადგან ისინი მოსახლეობის ყველაზე უფრო უცოდინარ კატეგორიას შეადგენენო. ეს თვალსაზრისი სრულიად არ შეეფერება პარტიულ ხაზს საბჭოების მიმართ და გადაჭრით უნდა იქნას უკუგდებული. ახალი შემადგენლობის საბჭოებში უნდა გავიყვანოთ პირველ ყოვლისა მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები და უმთავრესად მათი წრიდან ამოვარჩიოთ სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა კადრები. ამ მხრით დიდ როლს შეასრულებენ შვებული წითელარმიელები, რომლებმაც წითელი არმიის რიგებში გაიარეს პოლიტიკური და საბჭოთა სკოლები.

ასევე ენერგიულად უნდა დავაწინაუროთ ქალებიც. წელს ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკაში მოეწყო კურსები ქალების მოსამზადებლად; ამ ქალების უმრავლესობამ სრული უნარი გამოიჩინა მმართვა-გამგეობის საქმეში.

ახალ საბჭოებში უნდა დაწინაურდნენ აგრეთვე აქტივისტ-საზოგადო მუშაკი საშუალო გლეხი და ლოიალური ინტელიგენტი, რომელიც შემოწმებულია საბჭოთა სამუშაოზე.

ბოლოს, საჭიროა მოწესრიგდეს ინფორმაციის საქმე. ინფორმაცია სისწორით უნდა გამოხატავდეს სინამდვილეს. საჭირო ცნობები კამპანიის მსვლელობისა და მისი შედეგების შესახებ დროზე უნდა გაეგზავნოს ხელმძღვანელ პარტორგანიზაციებს. პარტიასა და პარტიულ ხელმძღვანელობას ზარალის მეტს არაფერს მოუტანს ამომრჩევლების აქტივობის აღნუსხვა ვარაუდით, საკითხის გაუშუქებლად ცნობების უქონლობის მომიზეზებით, საარჩევნო ინსტრუქციის დარღვევის ფაქტების დამალვა და არჩევნების დროს კლასობრივი ბრძოლის პროცესების მიფუჩეჩება.

რით გამოვდივართ ჩვენ არჩევნებზე? ეს საკითხი უნდა აღეძრას პარტიის ყოველ წევრს და ყოველ პარტიულ ორგანიზაციას. პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლებას აქვს უდიდესი მიღწევები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში, სოფლის გარდაქმნის დარგში ახალ საფუძვლებზე. ამასთან ამ მიღწევებს თან ახლავს ჩვენი სახელმწიფოს სოციალისტური მშენებლობის ზრდის ერთგვარი სიძნელენი და კლასობრივი ბრძოლის გამწვავება ჩვენი ქვეყნის შიგნით.

ჩვენ გვებრძვიან მომაკვდავი ძალები სიცოცხლის შესანარჩუნებლად. მათ ჩვენ საბოლოოდ დავამარცხებთ ჩვენს დროშას აწერია: „ჩვენი დასაყრდენი—ღარიბი გლეხია, ჩვენი მოკავშირე—საშუალო გლეხი და ჩვენი მტერი—კულაკი". ამ დროშით მივდივართ ამომრჩევლებთან და ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ პროლეტარული დიქტატურის ორგანოები, ქალაქისა და სოფლის საბჭოები ამ კამპანიის დროს უფრო გაამაგრებენ და უფრო გააძლიერებენ თავის კავშირს ამომრჩევლებთან.

თ. წ.—ძე.

ნაწილეობის შესახებ არჩევნებში, მომხსენებელი ამბობს შემდეგს: ქალთა აქტივობა ჩვენში ჩამოურჩება აზერბეიჯანელ ქალთა აქტივობას, რაშიაც ბრალი მიუძღვის არა მარტო მამაკაცებს, არამედ თვით ქალებსაც. თითქოს საქართველოში, სადაც ადგილი არ ჰქონია ქალთა ისეთ ჩაგვრას, როგორც მუსულმანურ კუთხეებში, ქალთა აქტივობა უფრო ძლიერი უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგ მოვლენას ვამჩნევთ. მაშინ, როცა მუსულმანი ქალები გამოდიან გაბედულათ ყველა კრებებზე და საქმის ცოდნით და დაკვირვებით ეხებიან საჭირბოროტო საკითხებს ჩვენი ქალები იჩენენ დიდ გაუბედაობას და ნაკლებ ინტერესს საზოგადოებრივ საკითხებისადმი. ცხადია, ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და გაძლიერდეს მუშაობა არა მარტო ამ არჩევნების დროს, არამედ საერთოდ.

რაც შეეხება მშრომელი ებრაელების მონაწილეობას არჩევნებში, აუცილებლათ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ იშვიათია ებრაელი, რომელიც წვრილმან ვაჭრობას არ მისდევდეს. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ იგი არამშრომელი ელემენტია და ამიტომ ხმის უფლება წაერთვას.

შემდეგ ამხ. ფ. მახარაძე უკეთებს რა მოკლე მიმოხილვას ორატორების სიტყვებს, ამბობს, რომ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა თათბირში მიიღეს აქტიური მონაწილეობა, რომ მათ მრავალი საქმიანი შენიშვნით გამოარკვიეს ბევრი სადაო საკითხები და ამავე დროს აღგვითქვეს ყოველმხრივი დახმარება არჩევნების ჩატარებაში. ვუსურვოთ, რომ მათი ასეთი დაპირება განაღდებული ყოფილიყოს საქმით ამ არჩევნებში.

ამხ. ვარძიელის საბოლოო სიტყვა

ამხ. ვარძიელი პასუხს აძლევს ზოგიერთ სადაო კითხვებზე. მილიციას არ უნდა დაეკისროს უწყებების უშუალოთ ჩაბარება, მაგრამ იგი გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც ტეხნიკური შემაკავშირებელი საშუალება არჩევნების ხელმძღვანელებს შორის. მომხსენებელი მომხრეა, რომ გაუქმებულ იქნეს საბჭოების საპატიო წევრობა. საპატიო წევრების ნაცვლათ უმჯობესია ნაკლებ დატვირთულ მუშების არჩევა, რომელნიც პრაქტიკულ მუშაობას გააჩაღებენ.

სახალხო მსაჯულების არჩევის შეთავსება საბჭოთა არჩევნებთან დირექტივის ძალით შეუძლებელია. მომხსენებელი მომხრეა, რომ საარჩევნო კომისიის შემადგენლობა გადიდებულ იქნეს 7-დან 9 კაცამდე და მასში შეყვანილი იქნენ მოჯამაგირეების, გლეხკომის ქალების და კოოპერაციის წარმომადგენლები. საანგარიშო მოხსენება ორატორის აზრით, უნდა იყოს ერთი, მაგრამ ამ მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა უნდა მიიღონ სოფლად მომქმედ ყველა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებმაც უნდა გააშუქონ თავიანთი საქმიანობა.

მუშების სისტემატიური გაგზავნა თემაღმასკომების თავმჯდომარეებათ იქნება პარტიის ძირითად ხაზის გადახვევა, რადგან ეს ხაზი გვიკარნახებს, რომ თვით ადგილობრივ შეიქმნას საბჭოთა მუშაკების კადრი.

ცენტრიდან გაგზავნილი ამხანაგები უნდა ხელმძღვანელობდენ არჩევნებს ისე, რომ მჭიდრო კავშირი იქონიონ ადგილობრივი პარტიულ და საბჭოთა მუშაკებთან.

დასასრულ ამხ. ვარძიელს მოჰყავს „პრავდის" მოწინავე წერილი, სადაც აღნიშნულია საბჭოთა არჩევნების მზადების ნელი ტემპი და საარჩევნო მუშაობის სისუსტე. ამავე დროს გამოსთქვამს სრულ რწმენას, რომ დაწესებულებები და ორგანიზაციები გაამართლებენ თავიანთ დაპირებებს და ამით არ მისცემენ საბაბს ჩვენს პრესას გაიმეოროს ის საყვედური, რომელიც სამართლიანად გამოსთქვა „პრავდამ" პარტიულ, საბჭოთა, პროფესიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიმართ.

ამხ. ვარძიელის საბოლოო სიტყვის შემდეგ თათბირმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც ემყარება თათბირის მიერ გამოტანილ დასკვნებს.

თათბირი ცაკის საორგანიზაციო განყოფილებაში

გუშინ, საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილებაში ამხ. დ. ქუჩულორიას თავმჯდომარეობით შესდგა ავტონომიურ რესპუბლიკების ცაკებისა და სამაზრო აღმასკომების საორგანიზაციო განყოფილებების გამგეთა თათბირი. თათბირმა განიხილა და შეიმუშავა საარჩევნო ფურცლები და ფორმები. თათბირმა აგრეთვე განიხილა საარჩევნო ინსტრუქცია და არჩევნების ჩატარების საორგანიზაციო საკითხები.

რემედასის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

მეორე სხდომა

პლენუმის მეორე სხდომაზე, 11 ნოემბერს მოსმენილი იქნა სარევიზიო კომისიის თანამოხსენება ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ. კომისიის დასკვნით, ცენტრალურ კომიტეტს ფინანსიურ დარგში აქვს თვალსაჩინო მიღწევები: კარგად არის დაყენებული ანგარიშწარმოება. აღსანიშნავია, რომ დავალიანება კერძო პირებზე აღწევს 3.000 მანეთამდე.

ინვენტარის და სამასალო წიგნებში აღნიშნულია შეძენილ ქონების და მასალის რაოდენობა, მაგრამ არ სჩანს ვინ ჩაიბარა ეს ქონება და რა რაოდენობით. ცენტრალურ კომიტეტს არ ქონია შემუშავებული ადგილობრივი ორგანიზაციების გამოკვლევის გეგმა და სამაზრო კომიტეტების გამოკვლევა ატარებდა შემთხვევით ხასიათს. სამაზრო კომიტეტების სარევიზიო კომისიები ვერ იჩენენ საქმიანობას და ხშირად კმაყოფილდებიან სამაზრო კომიტეტის ფინანსიური მოქმედების გამოკვლევით.

სარევიზიო კომისიის თანამოხსენების შემდეგ მოსმენილი იქნა მოხსენება ადგილებიდან. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია; წევრთა რიცხვი უდრის 9.000 კაცს, უჯრედთა რიცხვი 136. უკანასკნელ ხანებში რემედასის წევრთა რიცხვი იზრდება განსაკუთრებით გლეხობის ხარჯზე. მოისუსტებს აგიტპროპ. მუშაობა, რემედასის წრეები ჯერ არ არიან ჩამოყალიბებული; ჩამოყალიბებულია აქტივი.

ქუთაისის მაზრაში მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს მშრომელი მასების ინტერნაციონალურ აღზრდას. ამჟამად მაზრაში არსებობს 136 უჯრედი, რომელშიაც ჩაბმულია 12.000 წევრი, გათვალისწინებული ბიუჯეტი შესრულებულია 60 პროცენტით.

კახეთის მაზრაში რემედასის მუშაობა მოისუსტებს, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ თელავის და სიღნაღის მაზრების გაერთიანების შემდეგ რემედასის ორგანიზაცია აქ ჩამოყალიბდა დაგვიანებით.

მესამე სხდომა

მესამე სხდომაზე გაიმართა კამათი. მოხსენებების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვანო სტურუამ, შამშე ლეჟავამ, წერეთელმა, ტიმოშვილმა, შათირიშვილმა, მჭედლიშვილმა, ელენტმა და სხვ.

ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ ცენტრალური კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებელია. მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აღმზრდელობითი მუშაობას; პრესაში გაშუქებული უნდა იქნეს ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობა; მიღებული უნდა იქნეს გადამჭრელი ზომები აქტივის მოსამზადებლად რემედასის ორგანიზაციების მუშაობის გამოსაცოცხლებლად შორაპნის, სენაკის, ოზურგეთის და სხვ. მაზრებში.

დასასრულ, არჩეული იქნა კომისია, რომელსაც დაევალა რეზოლიუციის შემუშავება.

უკანასკნელი სხდომა

გუშინ საღამოს შესდგა პლენუმის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც განხილული და დამტკიცებული იქნა კომისიის მიერ შემუშავებული რეზოლიუცია ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ.

შემდეგ მოსმენილი იქნა რემედასის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგის ამხ. ცქვიტინიძის მოხსენება რემედასის უჯრედების მასიური მუშაობის შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ რეზოლიუციის შემუშავება დაევალა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს.

ამხ. შამშე ლეჟავას საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმი დაიხურა. პლენუმის დამთავრების შემდეგ პლენუმის წევრებს უჩვენეს კინო სურათი.

პროფკავშირების მონაწილეობა საბჭ. არჩევნებში

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს ყველა პროფორგანიზაციას და პროფკავშირების ყველა წევრს მიუთითა, რომ მიმდინარე საანგარიშო კამპანიამ და საბჭოების გადარჩევამ უნდა ჩაიარონ ისეთი ლოზუნგებით, რომლის მიხედვითაც პროფკავშირების წევრთა 100 პროცენტმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მათში საქმიანი კრიტიკით. კავშირებმა ამ უმნიშვნელოვანეს კამპანიას მთელი თავიანთი ყურადღება უნდა მიაქციონ. მათ ყოველგვარი ზომა უნდა მიიღონ, რომ კამპანიამ, რაც შეიძლება უფრო ცოცხლად და აქტიურად ჩაიაროს.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ყველა პროფორგანიზაციას, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საბჭოების საანგარიშო და საარჩევნო კამპანიაში როგორც მომზადებაში, ისე ჩატარებაში. კამპანიას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მიწა-ტყის კავშირმა. მან უნდა უზრუნველჰყოს მოჯამაგირეების, მწყემსების და მთელი დანარჩენი სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის მონაწილეობა კამპანიაში და გააძლიეროს მათი ხვედრითი წონა ახლად ამორჩეულ საბჭოებში. საქართველოს პროფსაბჭო წინადადებას აძლევს კავშირებს —გაშალონ ფართო საგიტაციო კამპანია და ამ მიზნისათვის გამოიყენონ მათ განკარგულებაში არსებული აგიტაციისა და პროპაგანდის ყველა საშუალება (კლუბები, წითელი კუთხეები, კედლის გაზეთები და სხვ.).

სახდაზღვევის სააგენტოს მუშაობა სოფლად

სახელმწიფო დაზღვევის მნიშვნელობა მშრომელ გლეხობაში თანდათან ფეხს იკიდებს.—ბევრ რაიონში გლეხობა დიდი ხალისით აცხადებს სურვილს ნათესებისა, ბაღ-ვენახებისა და საქონლის დაზღვევაზე.—ყურადღება მიექცეს სახდაზღვევის სააგენტოების თანამშრომელთა შე-რჩევას. — სახელმწიფო დაზღვევის პირობები ფართოდ უნდა იქნას გაშუქებული მოსახლეობაში

სიღნაღის სახდაზღვევის სააგენტოში
(წერილი კახეთიდან)

სიღნაღის სახელმწიფო დაზღვევის საგენტოში შედის ქიზიყის რაიონი. აქ უმთავრესად მემინდვრეობას და მესაქონლეობას მისდევენ. მევენახეობას მეორე ხარისხოვანი ადგილი უჭირავს, გარდა კარდანახის რაიონისა, სადაც საუცხოვო ღვინო დგება. უკანასკნელ ხანებში ვითარდება ბამბის და თამბაქოს თესვა.

სოფლის მეურნეობისათვის წელს მიყენებულ ზარალის შესახებ, სახდაზღვევის გამგემ ამხ. ვ. ხარლამპიევმა თქვენს თანამშრომელს შემდეგი ცნობები გადასცა: „სეტყვამ დააზარალა ვენახები, დასეტყვილია 18—20 ჰექტარი. ეს ზარალი ანაზღაურებულ იქნა სრულიად 21.000 მანეთის გაცემით.

დასეტყვა აგრეთვე წნორზე 65 ჰექტარამდე ბამბა ნაწილობრივ. სახდაზღვევა აძლევს დაზარალებულთ 760 მანეთს.

—ჭირი ჰქონდა საქონლის დახოცვას. დახოცილ საქონელზე გლეხებზე გაიცა 54.785 მანეთი.

ეს დიდი შეღავათი იყო განსაკუთრებით ღარიბებისათვის. ეხლა დაზღვევის საკითხი გლეხებში ძალიან პოპულიარულია. რამდენადაც წინად გაურბოდენ, იმდენად ეხლა მოდიან და ნებაყოფლობით აზღვევენ თავის ჭირნახულს და მუშა-საქონელს.

ალაზნელი.

სახდაზღვევის საგენტოს მუშაობა
(წერილი ჩხარიდან)

სახელმწიფო სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა ჩხარის რაიონში (შორაპნის მაზრა) შემოღებულია 1927 წლის 1-ლ ოქტომბრიდან.

გასულ წელში ჩხარის რაიონში აყვანილი იყო აღრიცხვაზე 14 ათასი მსხვილფეხა საქონელი, 5.816 დესეტინა ნათესები და 1425 დესეტინა ვენახი. დარიცხული იყო გადასახადი სულ 20.672 მანეთი, აქედან შეღავათი მიეცათ: წითელარმიელთ, ღარიბებს და ღარიბ მოსახლეობას 22 პროც., რაც სავსებით შესრულებულია. აკრეფილია 13.000 მანეთი ე. ი. მთელი თანხის 88 პროც. ამ ხნის განმავლობაში საგენტოში შემოსულია 350 სული საქონლის დაცემის აქტი, რაზედაც ჯილდოს სახით გაცემულია 9.000 მან.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს დასაზღვევი ობიექტი მეტი იყო ნაჩვენები, ვინაიდან კერძო რეგისტრატორები იყვნენ გამოყოფილი და არ აქცევდენ ყურადღებას სისწორით აღრიცხვის წარმოებას, რისთვისაც ჩამოეწერათ 1.200 მან. წელს ამ მხრივ მდგომარეობა გამოსწორებულია. ობიექტების აღრიცხვა ჩატარებულია სისწორით.

საერთოდ დაზღვევის საქმე ჩხარის რაიონში დიდი წარმატებით მიმდინარეობს, რომ ხელს არ გვიშლიდეს ზოგიერთ თემებში ყოფილი თავად-აზნაურობა, არის შემთხვევები. ზოგიერთ სოფელში მთელი სოფლის მოსახლეობა ნახევარი არ იხდის სახდაზღვევის გადასახადს. ჯიუტი გადამხდელები არიან ყოფილი თავად-აზნაურები.

ღარიბისი გლეხი კი უწყების ჩაბარებისთანავე იხდის მასზე შეწერილ სახდაზღვევის გადასახადს, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული გარემოება სამართლიან საყვედურს იწვევს ღარიბებს გლეხობაში. საჭიროა, სადაც ასეთი ხდება, თემაღმასკომებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები ჯიუტ გადამხდელების წინააღმდეგ.

1928-29 საოპერაციო წელში, რაიონში აღრიცხულია მსხვილფეხა საქონელი—13.000 სული, ვენახი—1.660 დესეტინა, რაზედაც დარიცხულია 26.267 მანეთი. ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარება დამაკმაყოფილებელია, ხოლო თემაღმასკომების მხრივ მეტი ყურადღებაა საჭირო სახდაზღვევის საგენტოს წარმატებით მუშაობისათვის.

ი. ტაბატაძე.

გამფლანგველები თავისუფლად დადიან
(წერილი სამტრედიიდან)

ვინ არ იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო დაზღვევის საქმის კარგათ დაყენებას და მის პოპულიარიზაციას მშრომელთა ფართო მასებში. მშრომელი გლეხობა ჯერ კიდევ ვერ შეჩვია, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ნათესების, სახლის, საქონლის თუ ძვირფას კულტურის დაზღვევას. ამაში ნაწილობრივ ადგილებზე პარტ-ორგანოებსაც მიუძღვით ბრალი და უმთავრესათ იმას, რომ სახდაზღვევის საგენტოს გამგეები თანხების გაფლანგვისათვის არ ისჯებიან კანონის მთელი სისასტიკით. ამის საუკეთესო დამადასტურებელია სამტრედიის მაგალითი.

ამ ორი წლის განმავლობაში სამტრედიის საგენტოში სამჯერ მოხდა გაფლანგვა. პირველათ გამგეთ ყოფნის დროს მოქ. გ. კრავეიშვილმა გაფლანგა 600 მანეთი, რომელიც დააპატიმრეს, მაგრამ დღესაც დაუფარავია. მეორეთ გამგეთ დანიშნეს მოქ. პიტავა. ამანაც მოაწყო 300 მანეთის გაფლანგვა, მესამეთ დანიშნეს მოქ. ლეჟავა და მანაც გაფლანგა 200 მანეთი. ასე, რომ სამივე გამფლანგველთა თაიგულმა საკმაო სახაზინო თანხები მიითვისა.

საგენტოს მუშაობა ამ ბოლო დროს გამოკეთდა. დანიშნეს ახალი გამგე, რომელმაც სათანადო დონეზე დააყენა მუშაობა ამ დარგში. მხოლოდ საჭიროა გამფლანგველების სასტიკათ დასჯა. ეს იქნება პროპაგანდა-აგიტაციასთან ერთად საუკეთესო საშუალება სახ. დაზღვევის პოპულიარიზაციისათვის მშრომელ გლეხობაში.

გლეხებისაგან კაპეიკებით შეგროვილი თანხები ისევ გლეხობას უნდა მოხმარდეს.

„ერთი".

გლეხობის დაზღვევა
(წერილი სამეგრელოდან)

ხობის სახდაზღვევის საგენტოში მიმდინარეობს გლეხთა დაზღვევა, რომელიც გლეხობისათვის ყოველმხრივ სასარგებლოა. გლეხს შეუძლია თავი დააზღვიოს ერთი პოლიუსიდან ექვს პოლიუსამდე, თითო პოლიუსით 150 მანეთის რაოდენობით, რომლის პირობები შემდეგნაირია; მაგ. გლეხს სურს ნებაყოფლობით დაიზღვიოს თავი, ან თავისი ოჯახის წევრი, დააზღვევს ერთი პოლიუსით, ამ შემთხვევაში იხდის ყოველწლიურად დაზღვეული, ხუთ მანეთს ოცი წლის განმავლობაში, ოცი წელი თუ დაზღვეულმა პირმა იცოცხლა, ამ შემთხვევაში საგენტო ვალდებულია აუნაზღაუროს თანხით 150 მანეთი, რომელი თანხითაც დაზღვეული იყო გლეხი. თუ დაზღვევის დღიდან 16 წლამდე გარდაიცვალა დაზღვეული (რომელ წელშიც უნდა იყოს ის); ამ შემთხვევაში საგენტოდან მიეცემა მის მემკვიდრეს 75 მანეთი. თუ მე-17, მე-18 და მე-19 წელს გარდაიცვალა, ემატება ხუთ-ხუთი მანეთი 75 მანეთზე წლიურად. აგრეთვე გლეხს, რომელიც დაზღვეულია შეუძლია სესხის სახით გამოიტანოს საგენტოდან რამოდენიმე თანხა თავის დაზღვევის თანხის შეფარდებით.

საგლეხო დაზღვევა გლეხობაზე ტარდება ნებაყოფლობითი წესით. გლეხს სრული უფლება აქვს აგრეთვე დააზღვიოს თავის ოჯახის წევრიც, რამოდენიმე პოლიუსით, როგორც ეს მისთვის მოსახერხებელია.

ხობის საგენტოს ნებაყოფლობითი დაზღვევით, დაზღვეული ჰყავს 700 გლეხი. საერთოდ გლეხობა გაცნობილია დაზღვევის მნიშვნელობას და მის სარგებლიანობას.

დ. ფულარია.

ჩოხატაურის სახდაზღვევის სააგენტოში
(წერილი გურიიდან)

ამ ერთი წლის წინად, ჩოხატაურის რაიონში დაარსდა სახელმწიფო დაზღვევის საგენტო. პირველ ხანებში დაზღვევის ობიექტების აღწერის დროს დიდ წინააღმდეგობას ჰქონდა ადგილი გლეხობის მიერ, რომლის მიზეზად უნდა ჩაითვალოს გლეხობის ნაკლებად გაცნობა სახდაზღვევის მნიშვნელობაზე. ამან შედეგად მოგვცა ერთის მხრივ საქონლის გადამალვა პირუტყვის აღწერის დროს, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა დაცემულ პირუტყვების ჯილდოს გაცემაზე, ხოლო მეორე მხრივ 1927-28 წელში 20 პროც. საშეღავათო ფონდი, რომელიც გადადებული იყო წითელ -არმიელებზე და ღარიბ ქვრივ-ობლებზე, ეს თანხა არ იქნა ამ უკანასკნელებზე მთლიანად მოხმარებული, რაიც ერთ-ერთ მიზეზთაგანად უნდა ჩაითვალოს.

1928-29 წელში დაზღვევის მნიშვნელობა შედარებით გასულ წელთან დამაკმაყოფილებლადაა გაშუქებული. ამ უკანასკნელის დამტკიცება იმითაც შეიძლება, რომ თუ გასულ წელს გლეხობა მალავდა თავის პირუტყვებს აღწერის დროს და არ სურდა დაეზღვევებია ამჟამად გლეხობა თვით მოდის და აზღვევებს თავის პირუტყვს, რომლებიც აღწერის დროს გამორჩა, ან და ეხლა შეიძინა.

გარდა ამისა, თუ საგენტოს დაარსების დროს გლეხობა ეჭვის თვალით უცქეროდა დაზღვევის ჯილდოს გაცემას, ეხლა დარწმუნდა იმაში, რომ ის გადასახდელი დაზღვევის პრემია, რომელიც გაიღო მან, გადასახადი კი არ არის, არამედ მისი მეურნეობის დამცველია.

1927-28 წელში ჩოხატაურის რაიონის სახდაზღვევის საგენტომ გასცა დაცემულ პირუტყვებზე ჯილდო 20.365 მანეთი და 53 კაპ. ამავე 1927-28 წ. ასაკრეფი იყო დაზღვევის პრემია 11.187 მანეთი და 14 კაპ.

აქ მოყვანილი ციფრები იმას ამტკიცებს, რომ სახელმწიფო დაზღვევა იღებს მოსახლეობიდან კაპეიკებს და სცემს უბედურ შემთხვევების დროს ათასობით მანეთებს.

ჩოხატაურის რაიონის სახ. დაზღვევის საგენტომ 1928-29 წ. 12 პროც. საშეღავათო ფონდი უკვე გაატარა წითელ არმიელებზე, ინვალიდებზე და უკიდურეს ღარიბ ქვრივ-ობლებზე.

ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებმა მეტი უნარიანობა უნდა გამოიჩინონ ადგილებზე სახელმწიფო დაზღვევის მნიშვნელობის გაშუქებაში.

გ. გიორგაძე.

წარმოების რაციონალიზაციის საკითხები

რკინის გზის წევის დარგის ადმინისტრაცია ყურადღებას არ აქცევს მუშათა კვალიფიკაციას.—სატყეო ტრესტის ჭიათურის საწყობის გამგის თვითნებური მუშაობით რამდენიმე ათასი მანეთი ზარალი ნახა ტრესტმა.—მუშა-ხელის გამოყენება ბევრ წარმოებაში არ სწარმოებს მიზანშეწონილად.

როგორ არ უნდა გამოვიყენოთ მუშა-ხელი

წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ზრდა, ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესება, პროდუქტის თვითღირებულების დაკლება, სამუშაო პირობების გაუმჯობესება და საერთოდ წარმოების რაციონალიზაცია, დიდათ არის დამოკიდებული მუშა-ხელის მიზანშეწონილად გამოყენებაზე და მუშათა კვალიფიკაციის აწევაზე. თუ მუშას კარგად არა აქვს შესწავლილი ის საქმე, რომელსაც თითონ ასრულებს, თუ იგი არ არის დაინტერესებული თავისი ცოდნა-გამოცდილების აწევაში, იმ შემთხვევაში ზედმეტია ლაპარაკი შრომის ნაყოფიერების ზრდაზე და წარმოების რაციონალიზაციაზე.

მაგრამ იმისათვის, რომ ავწიოთ მუშათა კვალიფიკაცია და გავაუმჯობესოთ პროდუქტის ხარისხი, არ კმარა მარტო მუშის მონდომება და დაინტერესება, საჭიროა კიდევ ადმინისტრაციისა და ადგილობრივი პროფორგანოების ყურადღება ამ მხრივ, რაც ზოგიერთ წარმოებაში ძალიან სუსტია. განსაკუთრებით უყურადღებოდ არიან მიტოვებული ზოგიერთ წარმოებაში მომუშავე ახალგაზრდა მუშები. მათ არამც თუ არ ეძლევათ საშუალება ასწიონ და გააუმჯობესონ თავიანთი კვალიფიკაცია, არამედ ხშირად წარმოების ადმინისტრაცია არც კი აძლევს უფლებას იმუშაონ რომელიმე სპეციალობაზე და ჩაიბარონ გამოცდა ამა თუ იმ ხელობაზე. ასეთ მაგალითად ზაჰესში აქ რამდენიმე ახალგაზრდა მუშა მუშაობს ე. წ. ხელოსნებთან. მათ შეუძლიათ იმუშაონ ზეინკლის თანაშემწეებათ და ჩაიბარონ სათანადო გამოცდებიც, მაგრამ ადმინისტრაცია ამის უფლებას არ აძლევს. ადგილობრივი პროფესიონალური ორგანიზაციაც ამ მოვლენას ძალიან გულგრილად ეპყრობა. შეიძლება ითქვას, რომ იგი სრულიად არ ზრუნავს ახალგაზრდა მუშების კვალიფიკაციის ასაწევად და მათ რომელიმე სპეციალურ საქმეზე მოწყობაზე. ეს გარემოება რასაკვირველია, რომ ხელს შეუშლის მუშათა კვალიფიკაციის აწევას და შეაფერხებს წარმოების რაციონალიზაციას.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს წარმოების რაციონალიზაციაში მუშა-ხელის მიზანშეწონილად გამოყენებას. ამ მხრივაც ბევრგან არ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული საქმე; ზოგიერთ ადგილას საკმაოდ კარგი კვალიფიკაციის მქონე მუშები მუშაობენ არა თავიანთ სპეციალობაზე, არამედ სხვა რომელიმე საქმეზე. მაგალითად, რკინისგზის თბილისის სავაგონო პარკში ორი მუშა რამდენიმე ხნის განმავლობაში მუშაობდა ზეინკლის თანაშემწეთ, მაგრამ ადმინისტრაციამ, იმის მაგიერ, რომ მოემატებია მათთვის თანრიგი და გამოეყენებია ისინი უფრო საჭირო და სასარგებლო საქმეზე, შავ სამუშაოზე გადაიყვანა. მუშა-ხელის ასე უთავბოლოდ გამოყენება ავნებს ჩვენს წარმოებას და აფერხებს მუშათა კვალიფიკაციის აწევასაც.

პროფკავშირებმა და ადგილობრივმა საწარმოო თათბირებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მუშა-ხელის რაციონალურად გამოყენებას და მათ კვალიფიკაციის აწევას.

მელითონე.

მანტკავას თვითნებური მუშაობის შედეგები

ჭიათურის საწყობის გამგემ, მოქ. მანტკავამ მიუხედავად ტრესტის კატეგორიული აკრძალვისა, კერძო პირებზე გასცა 3800 მანეთის მასალა ნისიათ და ავანსი ფულად. მათ შორის მოიჯარადრე ტურბილაძეებისათვის მიუცია 2.000 მ. ფულად. ეს თანხა დღესაც გაუნაღდებელია და ირიცხება უიმედო ვალების ანგარიშზე.

გარდა ამისა გასულ წელს მანტკავამ მოახერხა თავისი ძველი დავალიანების, 500 მანეთის ჩამოწერა, მაგრამ როგორც ბალანსის გარჩევის დროს გამოირკვა, მას სალაროდან კიდევ გაუტანია ახალი ავანსი—544 მანეთის რაოდენობით, რომლის დაფარვის შესახებ სათანადო განკარგულებაც მიეცა ტრესტიდან, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. დღეს მანტკავას 790 მანეთი დავალიანება აქვს. რას უნდა მიეწეროს ამდენი დავალიანება, ფულის ავანსად გატანას თუ გაფლანგვას, ეს ტრესტის გამგეობამ გამოარკვიოს.

1927 წლის მეორე ნახევარში რევიზორ-ბუხჰალტერის გამოკვლევით, ჭიათურის საწყობი ცნობილ იქნა დეფიციტიანად და საზარალოდ. ეს დაადასტურა თვით ტრესტმაც, მაგრამ მანტკავამ ეს მასალები არ გადასცა სათანადო ორგანოს, რადგან საწყობის დახურვა მისთვის სასარგებლო არ იყო. მანტკავას ტრესტის ნებადაურთველად, ეხლაც აქვს გაცემული ნისიათ სხვადასხვა დაწესებულებებზე და პირებზე 17.000 მანეთის მასალა.

ასეთია სატყეო ტრესტის ჭიათურის საწყობის გამგის მოქ. მანტკავას საქმიანობა. სათანადო ორგანომ საფუძვლიანად უნდა გამოარკვიოს ეს საქმე და მოქ. მანტკავა, ასეთ უთავბოლო და ხელგაშლილ მუშაობისათვის მისცეს პასუხისგებაში.

შვილი.

ახალგაზრდათა კვალიფიკაციის აწევას ხელს უშლიან
(ზაჰესი)

ყველა წარმოებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდათა კვალიფიკაციის აწევას, მაგრამ ზაჰესის საექსპლოატაციო განყოფილების ადმინისტრაცია რატომღაც თავს არ იწუხებს ახალგაზრდების კვალიფიკაციის ასაწევად და მათ რომელიმე სპეციალურ დარგზე მოსაწყობად. არც ადგილობრივი პროფორგანო ზრუნავს მაინცა და მაინც ამისათვის.

ზაჰესში ორი პროფესიონალური კავშირია: მეტალისტთა და ელმშენებელთა კავშირები. ორივე კავშირებში გაერთიანებული არიან ახალგაზრდა მუშები, რომლებიც ფიზიკურ სამუშაოს გარდა საზოგადო საქმეებშიაც არიან ჩაბმულნი. გარდა ამისა ახალგაზრდა მუშები დაინტერესებული არიან რომელიმე სპეციალობის მიღებაში, მაგრამ არც ერთი კავშირი არ სცდილობს მათ სპეციალურ დარგზე მოსაწყობად და ან რაიმე კურსებზე გასაგზავნად.

ამჟამად ზაჰესში რამდენიმე ახალგაზრდა ხელოსანთშემწეობა (პოდრუჩნიკი) მუშაობს. უნდა ითქვას, რომ ისინი საშუალოდ უკვე დახელოვნებული არიან და თამამადაც შეუძლიათ ჩაიბარონ თანაშემწის გამოცდები, მაგრამ ადმინისტრაცია მათ არ უშვებს გამოცდებზე, რადგან მათი თქმით,—არ სჭირდებათ თანაშემწეები. ამავე დროს კი ახალგაზრდა მუშებს ხელოსნის მოვალეობას ასრულებინებენ. მაგრამ ჯამაგირს კი არ აძლევენ შესრულებულ საქმის დამიხედვით.

ასეთი მაგალითები უამრავია, მით უმეტეს შევიწროებების დროს. მართალია კავშირები ცდილობენ ამ საკითხების მოგვარებას, მაგრამ ხშირად ცდა უშედეგოდ ბოლოვდება, ხან ჭიანურდება და საქმის გამოკვლევას საშველი აღარ ადგება.

პროფესიონალურმა კავშირებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ახალგაზრდობას და შეძლების და გვარად მოაწყონ ისინი სპეციალურ სამუშაოებზე.

საყვავისტყელი.

ადმინისტრაციის ჯიუტობა
(ბათომი)

ამ რამდენიმე თვის წინად გამოქვეყნებულ იქნა დადგენილება, რომლის ძალითაც რკინისგზაზე უნდა შემცირებულიყო ადმინისტრატიულ-ტეხნიკური ხარჯები 20 პროცენტით. ხსენებული დადგენილება ზოგიერთ ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ ხარჯების შემცირების მაგიერ, მათ მუშები შეამცირეს და დაზოგვის მაგიერაც გაადიდეს ხარჯები. ასეთ ადმინისტრატორების შესახებ ბევრი დაიწერა, მაგრამ მათ წინააღმდეგ ჯერ-ჯერობით ბევრი არაფერი გაკეთებულა.

ბათომის რკინისგზის სამასალო საწყობის ადმინისტრაციამ „ხარჯების შემცირების მიზნით" დაითხოვა საწყობის მუშა ჰკადუა. ამის შესახებ ამხ. ჰკადუამ მიმართა ბათომის საუბნო კომიტეტს დახმარებისათვის. უბნის კომიტეტმა ჰკადუას დათხოვნა უკანონოდ სცნო, და რამდენიმეჯერ მისცა წინადადება ადმინისტრაციას, რათა მუშა ჰკადუა აღედგინათ თავის სამუშაოზე. მაგრამ ადმინისტრაცია ჯიუტობას იჩენს და ამხ. ჰკადუას არ ღებულობს უკან. საუბნო კომიტეტმა საქმე გადასცა შრომის სახალხო სასამართლოს, რომელმაც ჰკადუა აღადგინა თავის ადგილზე გაცდენილ ჯილდოს მიცემით. ეს საქმე ადმინისტრაციამ ოთხ თვეზე მეტი გააჭიანურა და რკინისგზას საკმაოდ დიდი ზარალი მიაყენა.

ასევე უნაყოფოთ იხარჯება ფული მოძრაობის დარგის პირველ განყოფილებაშიაც. აქაც აქვს ადგილი ადმინისტრაციის ჯიუტობას და ამ ნიადაგზე [illegible] ზედმეტი ხარჯების გაწევას.

მუშათა და გლეხთა ინსპექციამ უნდა გამოარკვიოს ეს საქმე და დამნაშავე მისცეს პასუხისგებაში.

ქ. ბუაძე.

მოუმარაგეთ ხელსაწყო იარაღი

რკ. გზის სადგურთან არსებობს რბილ ავეჯეულობის სახელოსნო, სადაც მუშები უმეტესად ნემსით მუშაობენ. სახელოსნო არ არის უზრუნველყოფილი სამუშაო ხელსაწყო იარაღით. მაგალითად, არ არის სათანადო ლურსმნები, არ ეძლევათ მუშებს დიდი ნემსები და არ არის აგრეთვე წვრილი ბაწარი და ზანდუკები, რომლის საშუალებითაც ჩერდება „პრუჟინა".

ასეთივე ნაკლებობაა საწოლების გადასაკრავი ტილოსიც. ყველაფერი ეს ხელს უშლის მუშაობას და აფერხებს შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ეს საკითხი რამდენჯერ გაირჩა საწარმოო თათბირზე, სადაც გამოტანილი იქნა სათანადო დადგენილება სახელოსნოს სამუშაო ხელსაწყო იარაღებითა და ნედლ მასალით უზრუნველყოფის შესახებ, მაგრამ მას შემდეგ უკვე მეორე თვე გადის და სახელოსნო მაინც მასალის ნაკლებობას განიცდის.

წყარო.

ალექსანდრე მამულაიშვილის ხსოვნას

სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგან სნეულებათა ჰოსპიტალურ კლინიკას და, საერთოდ, სამკურნალო ფაკულტეტის მეცნიერულ მუშაკთ გამოაკლდა ერთ-ერთი ენერგიული და საყვარელი ამხანაგი. უდროოდ გარდაიცვალა ნიჭიერი ექიმი ალექსანდრე (საშა) მამულაიშვილი. ის დაიბადა 1894 წელს. საშუალო სწავლის გამოცდები ჩააბარა ექსტერნად თბილისში 1918 წელს და 1919 წელს შევიდა უნივერსიტეტში სამკურნალო ფაკულტეტზე.

ექიმის წოდების მიღების შემდეგ 1924 წელს დანიშნული იქნა ჯერ ორდინატორად და შემდეგ ასისტენტად შინაგან სნეულებათა ჰოსპიტალურ კლინიკაში, დაისახა რა თავის ცხოვრების მიზნად სამკურნალო განათლება, ალექსანდრე ალექსანდრესძე სტუდენტობის დროს ისე საფუძვლიანად სწავლობდა თითეულ საგანს, ყოველ დარგის მასწავლებელს ეგონა, სწორედ ამ დარგს აირჩევს ს. მამულაიშვილი თავის სპეციალობადო.

შინაგან სნეულებათა კლინიკაში მუშაობის დროს განსვენებული იმ ღრმა რწმენას იზიარებდა, რომ თანამედროვე სამეცნიერო მედიცინის იდეალია პოლიორგანოპათოლოგია, და ამიტომაც მისი სამეცნიერო შეხედულება ვერ ურიგდებოდა ვიწრო სპეციალობას. მახვილმა ჭკუა-გონებამ, შეუდარებელმა მუყაითობამ და ავადმყოფობათა ბეჯითმა კვლევა-ძიებამ ხელი შეუწყო მას, რომ 4 წლის განმავლობაში ფრიად საფუძვლიანად შეეთვისებია შინაგანი პათოლოგია.

განსვენებულის მეცნიერული მუშაობა იმაში გამოიხატება, რომ მან გამოაქვეყნა სამი სამეცნიერო შრომა სხვადასხვა კლინიკურ პრობლემების შესახებ და მეოთხე ძირითადი შრომა ელექტროკარდიოგრაფიის შესახებ დარჩა დაუბეჭდავი. ამავე დროს განსვენებული იყო ფრიად წყნარი და ფრიად გულკეთილი ადამიანი.

მშვიდობით, ძვირფასო საშა, მშვიდობით სამუდამოდ ნიჭიერო ექიმო და ამხანაგო.

პროფ. ვირსალაძე.

1906 წელში დაბადებულნი წითელ ყაზარმაში

მესამე დღეა, რაც საქართველოს ყოველ კუთხიდან თბილისისაკენ მოეშურებიან ახალწვეული წითელი არმიელები.

მოკლე ვადიანი შვებულების შემდეგ ახალწვეულნი მიდიან ყაზარმაში, რომ შესცვალონ ძველი მსახური წითელი არმიელები, შეისწავლონ სამხედრო საქმე, იარაღის ხმარება და მოიხადონ თავისი საპატიო ვალი მშრომელთა წინაშე.

გრძელვადიან შვებულებაში

ნახვამდის, ამხანაგო!

სადგურზე ახალწვეულებს ხვდებიან თავთავიანთ ნაწილების წარმომადგენლები, რომელთა თანხლებით მიემგზავრებიან ნაწილების ყაზარმისაკენ.

ზოგიერთ ახალწვეულს პირველად უხდება თბილისში ყოფნა. ესენი გაფაციცებით ათვალიერებენ ქუჩებს, შენობებს, გაკვირვებულნი აყოლებენ თვალს ტრამვაის ვაგონებს და ავტოებს.

ბევრ ახალწვეულს თან ჩამოუტანია ჩონგური და სალამური და აქვე, სადგურზევე გაუჩაღებიათ სიმღერა და თამაში.

წითელი ყაზარმა სავსებით მომზადებული ხვდება ახალწვეულებს. შენობები შეკეთებულია. საცხოვრებელი ბინები გამოიყურებიან ლამაზად და კოხტად.

ყველა ასეულში გადახალისებულია ლენინის კუთხეები. კედლებზე მრავლად არის სურათები წითელი არმიის ცხოვრებიდან, სადღესიო ლოზუნგები და მაგიდებზე გამოფენილია ლიტერატურა, რომელიც გაუადვილებს ახალწვეულებს წითელი არმიის ყოფა-ცხოვრების გაცნობას.

ყაზარმაში მისვლისთანავე ახალწვეულნი თავსდებიან № 1-ლ კარანტინში, სადაც უნდა დაჰყონ რამდენიმე საათი. აქ ახალწვეულნი იხდიან თავის საკუთარ ტანსაცმელს, იკრეჭენ თმას და შემდეგ მიდიან აბანოში.

გასუფთავებულნი, გამოწყობილნი წითელი არმიელის ტანსაცმელში ახალწვეულნი გადიან № 2 კარანტინში. აქ ახალწვეულებმა უნდა დაჰყონ ორი კვირა.

ორივე კარანტინში ახალწვეულებთან სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა, რომ მათ გააცნონ ყაზარმული ცხოვრება. კარანტინებში მოწყობილია ლენინის კუთხეები, სადაც დაგროვილია მრავალი ლიტერატურა.

მეთაურები და პოლიტხელმძღვანელები აწარმოებენ საუბრებს სხვადასხვა თემებზე, ეცნობიან ახალწვეულებს, მათ განვითარებას, სოციალურ მდგომარეობას და სხვა.

სალამოობით კარანტინში იწყება უკვე სხვა სახის მუშაობა ახალწვეულნი [illegible] გაზეთის ხმა-მაღალი კითხვას [illegible] ტებით და ერკვევიან მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პირველი დღე ყაზარმაში

იცვამენ ახალ ტანსაცმელს

ორი კვირის განმავლობაში ახალწვეულნი ზედმიწევნით გაეცნობიან წითელ ყაზარმის თავის მოვალეობას და საკმაოდ გათვითცნობიერებულნი და მომზადებულნი გადავლენ თავიანთ ასეულებში, სადაც შეუდგებიან სისტემატიურ სამხედრო და პოლიტიკურ მუშაობას.

— ელ.

ადმინისტრატიულ ხარჯების შემცირების გამოკვლევა

საქართველოს სახკომსაბჭომ წინადადება მისცა საქართველოს ფინსახკომს 1928—29 წ. ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის დროს გამოარკვიოს, რამდენად იქნა დაცული ადგილობრივი ორგანოების მიერ მთავრობის დირექტივები 1927—28 წ. ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შემცირების შესახებ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმის გამოკვლევას, ხომ არ ყოფილა ბიუჯეტის ასრულების პროცესში საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების გადიდება ოპერატიული ან სხვა ხარჯების შემცირების საშუალებით.

1928 29 წ. საადმინისტრაციო-საგამგებლო კრედიტების გამოანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედება ამავე ხარჯებისათვის 1927—28 წ. ბიუჯეტით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა.

ფინსახკომს ევალება მტკიცე მეთვალყურეობა გაუწიოს ადგილობრივ ორგანოებს ზემოაღნიშნულ დირექტივების განხორციელების საქმეში.

წინადადება მიეცა ფინსახკომს წარუდგინოს სახკომსაბჭოს მოხსენება წარმოებულ გამოკვლევის შედეგების შესახებ.

მეცნიერება და ტეხნიკა

მზის დაბნელება 12 ნოემბერს

12 ნოემბერს დილიდან საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიის განყოფილებებს, დაკვირვებათა მოედანსა და კოშკზე არაჩვეულებრივი საქმიანი ფუსფუსია. ჯგუფ-ჯგუფად ეწყობა თანამშრომლები სხვადასხვა იარაღების გარშემო მიუხედავად იმისა, რომ სქელი შრე-ღრუბლები ჯერჯერობით არ იძლევა ცის თაღზე მოძრავ მნათობთა დანახვის საშუალებას; იმედი აქვთ დაბნელების დაწყებამდის, ე. ი. 11 საათამდე ცა გაიწმინდება, და მუშაობა შესაძლებელი გახდება. მართლაც 11 საათისათვის შრე და გროვა ღრუბლები უმეტეს ნაწილათ გაქრა: ისინი იშვიათად სჩანდენ ჰორიზონტის ამა თუ იმ ნაწილში. მთელი ცის თაღი დაფარული იყო მხოლოდ ე. წ. ფრთა-ღრუბლებით, რომლებიც მზის დისკოს დანახვას ხელს არ უშლიდა. 11 საათსა და 5—6 წუთზე მაყურებლის მჭრელი თვალი აშკარად შეამჩნევდა, უკვე თუ როგორ ეკვროდა ჩრდილო დასავლეთ მხრიდან შავბნელი მთვარის დისკო მზის ბრწყინვალე ზედაპირს. გარდა მეტეოროლოგიურ და მაგნიტომეტრიულ დაკვირვებებისა ჩატარებულ იქნა აგრეთვე ასტრონომიული, აეროლოგიური, აქტინომეტრიული და ფოტომეტრიული დაკვირვებები. შუადღის 12 საათსა და 34 წუთზე მთვარემ დაფარა მზის ზედაპირის თითქმის ნახევარი, რის შემდეგ მზის დაბნელებული მხარე თანდათან თავისუფლდება მთვარის ჩრდილისაგან. თითქმის მთელი დაბნელების განმავლობაში მზეს ირგვლივ ერტყა იშვიათად სანახავი საუცხოვო ბაკო, (ჰალოსი), რომლის რადიუსი მზიდან გარეწრემდი 22 ნახ. პროც. უდრიდა. ორ საათსა და 4—5 წუთზე დღის მნათობის ზედაპირი სრულიად განთავისუფლდა მთვარის დისკოსაგან. ხოლო ზემოხსენებული ბაკო ცოტა უფრო ადრე გაქრა.

მიუხედავად ფრიად არახელსაყრელი პირობებისა (ღრუბლიანობის სახით) ჰაერის ტემპერატურასა და მზის რადიაციის ინტენსივობას აშკარად დაეტყო დაბნელების გავლენა. მოსალოდნელია, რომ ასეთი გავლენა აღმოჩენილ იქნება სხვა გეოფიზიკურ ელემენტებზედაც მათი ზედმიწევნით დამუშავების შემდეგ.

შ. მ—ძე.

შთამომავლობის გაჯანსაღებისათვის

ბავშვის აღზრდა უნდა იწყებოდეს ასი წლით ადრე მის დაბადებამდე.

Hargitte

განა გასაკვირი არ არის ის, რომ დღეს ვიზრუნოთ იმ ბავშვებზე, რომლებიც უნდა დაიბადონ ასი წლის შემდეგ? მაგრამ, თუ გავეცნობით ჩამომავლობითი კანონებს, ეს არამც თუ გაკვირვებას არ გამოიწვევს, პირიქით,—დავინახავთ, რომ მხოლოდ წინასწარი ზრუნვით მივიღებთ ჯანსაღ მემკვიდრეობას, რადგან, თუ მშობლები ალკოჰოლიკები (ლოთები) ეპილეპტიკები, ჭკუა ნაკლებნი, სულით ავადმყოფნი, ან და ფსიხოპატებია, მათი შთამომავლობაც ასეთივე იქნება, ამას მით უმეტეს ხელს უწყობს ის შემთხვევა, თუ მშობლებს შორის ნათესაური კავშირიც არსებობს.

სამწუხარო შედეგი მოსდევს მეუღლეთა დაახლოვებას სითვრალის დროს. დიდი გავლენა აქვს ამ მხრივ მშობლების სულიერ განცდასაც, ერთი ფრანგი მეცნიერი გადმოგვცემს; თუ რა შედეგი მოჰყვა პარიზის კომუნის ერთ ხანას, როცა პარიზელნი დიდ ნერვიულობას განიცდიდნენ. ჩასახული იყო 156 ბავშვი: მათგან 64 დაიბადა არანორმალური, 35 ფიზიკურად მახინჯი, დანარჩენი 28 ბავშვი—კი იყო სუსტი და პატარა. აქედან სჩანს, თუ რა მოქმედებას ახდენს ჯერ კიდევ მუცლად მყოფ ბავშვებზე ყოველივე განცდა მშობლებისა. ძველ დროს დიდი ყურადღება ექცეოდა მშობელთა მოვალეობას ბავშვების წინაშე, ლიკურგმა სპარტაში გამოსცა კანონი, რომელიც უკრძალავდა ღვინის ხმარებას დაქორწინების დღეს. კართაგენში კანონი შეუღლებულებს პირველ ხანებში უკრძალავდა ყოველივე სასმელს გარდა წყალისა. „ალკოჰოლიზმი და ნარკოტიკის ხმარების შედეგია აგრეთვე დეფექტიური ბავშვები. ალკოჰოლიზმი სწამლავს ნერვიულ სისტემას და თანდათან არღვევს ტვინის ნორმალურ ფუნქციებს,—ამბობს პროფესორი გრიბოედოვი,—და სწამლავს ტვინის იმ ცენტრებს, რომელიც განაგებენ კრიტიკულ აზრს და მეტყველებას".

[illegible] აღმზრდელი ძუძუ მწოვარ ბავშვს უშლის ნერვიულ სისტემას, ასევე ხდება მაშინ, როდესაც მშობლები ბავშვს ასმევენ ხაშხაშს. ხშირად მშობლები ახლად ფეხადგმულ ბავშვს უმასპინძლდებიან ღვინით და თავისივე ხელით სწამლავენ უსუსურ ბავშვს ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ მუდმივი ხმარება სასმლისა სწამლავს მოგრძო ტვინს. რაც იწვევს გულის და სუნთქვის ნერვების პარალიჩს.

სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ სულით ავადმყოფთა, ეპილეპტიკების და ჭკუანაკლებთა 80 პროცენტი გამოდის მსმელ ოჯახებიდან.

ბურნევილიუსის ცნობებით 1000 შემთხვევიდან იმბეცილიკობის (გონებრივად ღრმა ჩამორჩენილობის) და იდიოტიზმის 471 შემთხვევა მამის ლოთობის შედეგია, 84—დედის და 57 ცოლ ქმარის შეუღლებისა სითვრალის დროს.

ალკოჰოლიზმის გარდა კოკაინის ხმარება იწვევს ნერვების აშლილობას, გულის ფრიალს, მადის დაკარგვას, ყელის სიმშრალეს და განუწყვეტლივ წყურვილს. ხშირად ავადმყოფობა თავდება მუდმივი თავის ტკივილით და სუნთქვის პარალიჩით. ოპიუმი და მორფი სამუდამოდ სპობს ადამიანის სხეულს.

ბავშვების დაცვა ამგვარ საწამლავებისაგან ასეთივე მოვალეობაა საზოგადოებისა, როგორც გაფრთხილება სხვადასხვა ეპიდემიური ავადმყოფობისაგან.

საზოგადოება უნდა ებრძოლოს ამგვარ სენს ისეთივე ენერგიით, როგორც ტუბერკულიოზს, ათაშანგს და სხვა სენს.

ანასტასია კაიშაური

„მეცნიერება ჩაქუჩისა და ნამგლის ნიშან ქვეშ"

კემბრიჯის უნივერსიტეტის (ინგლისში) ბიოლოგიის პროფესორმა ხოლდეინმა, რომელიც ეხლახან დაბრუნდა ინგლისში საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შემდეგ, გამოაქვეყნა წერილი სათაურით „მეცნიერება ჩაქუჩისა და ნამგლის ნიშან ქვეშ". ეს წერილი იმდენად განირჩევა იმიდან, რასაც ინგლისის ბურჟუაზიული პრესა სწერს საბჭოთა კავშირის შესახებ, რომ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ იქედან ზოგიერთი ამონაწერები.

„მრავალმა მოგზაურმა,—იწყებს თავის წერილს ხოლდეინი,—საბჭოთა კავშირის შესახებ წიგნი დასწერა ამ ქვეყანაში ორი კვირის მოგზაურობის შემდეგ. ასეთი მოკლე დროის განმავლობაში შეიძლება მოსკოვ-ლენინგრადის ზერელეთ დათვალიერება და, შესაძლოა, კიდევ ორი-სამი სოფლის შემოვლა. ამავე დროს კი, ხსენებული პირები სცდილობდნენ შეექმნათ შთაბეჭდილება ამ ქვეყნის შესახებ".

„მე შემიძლია ვსთქვა,—განაგრძობს ხოლდეინი,—რომ კომუნიზმს სრულიად არ განუცდია კრახი. თუ მე ხუთი წლის შემდეგ კვლავ მომიხდა ჩასვლა რუსეთში, დარწმუნებული ვარ, ვიპოვი იქ მრავალ ისეთს, რამაც გამამართლა დღევანდელი დღის გაბედული იმედები".

ეხება რა მეცნიერების როლს საბჭ. კავშირში, ხოლდეინი სწერს: „კაპიტალისტურ ქვეყნებში მეცნიერება კერძო შემოწირულებებით იკვებება. ის დახმარება კი, რომელსაც, მაგალითად, ინგლისის მთავრობა უწევს მეცნიერებას, ნაკარნახევია არა საერთოდ მეცნიერების განვითარებისათვის ხელის შეწყობის სურვილით, არამედ სურვილით—მიღწეულ იქნეს სამხედრო, სამრეწველო და უმთავრესად—სამხედრო ტეხნიკის მაქსიმალური განვითარება. რუსეთში კი წმინდა მეცნიერება ითვლება ადამიანის საქმიანობის უმაღლეს ფორმად".

შემდეგ ავტორი აღტაცებით აღნიშნავს, რომ სვერდლოვის სახ. უნივერსიტეტის მსმენელთა აღზრდა-განვითარებაში ზუსტი მეცნიერებანი უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. „ამრიგად,—დასკვნის ხოლდეინი,—პირველად ისტორიაში სახელმწიფოს განაგებენ მეცნიერული მომზადების მქონე პირები. ამის შედეგები, შესაძლოა, ისევე მნიშვნელოვანი დარჩეს, როგორც კაპიტალისტური წყობილებიდან გადასვლა სოციალისტურ წყობილებაში".

ხოლდეინი აღნიშნავს საბჭ. კავშირის ფართო მასების არაჩვეულებრივ ინტერესს მეცნიერებისადმი. ამ აზრის დასამტკიცებლად მას მოჰყავს მეცნიერულ-პოპულიარული ჟურნალების ტირაჟი და რამდენიმეთ მოულოდნელად „ოგონიოკ"-ის „ვიქტორინა", რომელიც შეეხება მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეებს.

გულწრფელი გაკვირვებით ხოლდეინი აღნიშნავს, რომ „ვიქტორინაში" შეხვდა ეინშტეინის, გარვეის და დასავლეთ-ევროპის სხვა მეცნიერთა სახელებს.

„წიგნის მაღაზიები მოსკოვის ცენტრალურ ნაწილში უფრო ხშირად გვხდება, ვიდრე ლონდონის ცენტრში,—სწერს ხოლდეინი.—ათი დღის განმავლობაში მე ვეძებდი მაღაზიას, სადაც არ იქნებოდა წიგნი ზუსტ მეცნიერებათა დარგიდან და ვერ ვნახე".

შემდეგ ხოლდეინი აღწერს განათლების საქმის დაყენებას საბჭ. კავშირში. საბჭოთა განათლების სისტემის ნაკლად ხოლდეინი თვლის არასაკმაო ყურადღებას ევროპიულ ენებისადმი, მაგრამ აღტაცებულია ბიოლოგიურ მეცნიერებათა სწავლების სისტემით. ხოლდეინი აღტაცებულია სქესობრივი საკითხის მეცნიერული გაშუქებით, მატერიალური მიდგომით ბიოლოგიური პრობლემებისადმი საშუალო და უმაღლეს სკოლაში და მიუთითებს იმ ფარისევლობაზე, რომელიც გამეფებულია ინგლისურ განათლებაში. „ამის გარეშეაო,—სწერს ხოლდეინი, რომ საბჭ. კავშირის მოსწავლემ უფრო მეტი იცის ბიოლოგიის დარგიდან, ვიდრე ინგლისელმა მოსწავლემ. მუშა-ახალგაზრდობას, რომელიც მუშფაკებში სწავლობს, უფრო ნათელი წარმოდგენა აქვს ბიოლოგიური პროცესების ბუნებაზე, ვიდრე ინგლისის საექიმო ფაკულტეტების სტუდენტებს".

„სამეცნიერო მუშაკების ეკონომიური მდგომარეობა,—სწერს ხოლდეინი,—ბევრით უკეთესია, ვიდრე, მაგალითად, ბელგიაში ან საფრანგეთში, სადაც შრომის ხელფასი ჩამორჩება სიძვირის ზრდას. საბჭოთა მეცნიერი ისევე უზრუნველყოფილი, როგორც კვალიფიციური მუშა. გარდა ამისა, საბჭ. კავშირში ფულებს ნაკლებ მნიშვნელობას აძლევენ, ვიდრე სადმე სხვაგან".

ეხება რა მეცნიერთა დამოკიდებულებას საბჭოთა წყობილებისადმი, ხოლდეინი სწერს: „ბევრს მეცნიერს ძველი თაობიდან უჭირს მთლიანად შეგუება ახალ პირობებთან. მაგრამ ეს საერთო წესი არ არის, მე, მაგალითად, მომიხდა შეხვედრა მუშის ხალათში გამოწყობილ მოხუცთან, რომელიც აღმოჩნდა ცნობილი ფსიქიატრი, შთამომავლობით თავადი (ხოლდეინის, როგორც ჩანს მხედველობაში აქვს, გარდაცვალებული აკადემიკოსი ბეხტერევი). მრავალი მეცნიერი კი, მსგავსად პროფ. ბახისა, რომელმაც თავისი სიცოცხლე დაუკავშირა რევოლიუციას, საბჭოთა წყობილებაში ხედავენ თავისი ახალგაზრდობის ოცნებების განხორციელებას".

„რაც შეეხება ახალგაზრდა მეცნიერებს, ისინი აღფრთოვანებით ეპყრობიან ახალ წყობილებას".

დამოკიდებულება „მოხუცებსა" და „ახალგაზრდებს" შორის,—ხოლდეინის სიტყვით,—მშვენიერია. „მეცნიერთა ძველი თაობის წარმომადგენელი, რომელსაც ვერ დავსწამებთ მიკერძოებას ბოლშევიკებისადმი,—სწერს ხოლდეინი,—აღტაცებით მელაპარაკებოდა ზოგიერთ თავის მოწაფე-მუშების შესახებ". „ყველაზე უფრო ხშირი საყვედური, რომელიც მე მესმინა მეცნიერების წარმომადგენელთაგან ეს ის, რომ ახალგაზრდობას ინტელიგენტურ წრიდან უჭირს უმაღლეს სკოლაში მოხვედრა. მაგრამ, ჩემის დაკვირვებებით, ეს უსამართლობა საბჭ. კავშირში გაცილებით ჩქარა სწორდება, ვიდრე პირიქითი უსამართლობა—მუშების შვილების მიმართ ინგლისში".

ეხება რა მეცნიერთა ყოფა-ცხოვრების სხვა ნაკლოვანებებს საბჭ. კავშირში—საბინაო კრიზისს და სხვ., ხოლდეინი მაინც იმ დასკვნამდე მიდის, რომ საბჭოთა მეცნიერი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე მისი ევროპიელი კოლეგები. დიდათ აფასებს ხოლდეინი იმ გარემოებას, რომ მეცნიერის მორალური ავტორიტეტი საბჭოთა კავშირში მეტად მაღლა დგას. „შემჩნეული ნაკლი კი,—სწერს ხოლდეინი,—გამოსწორდება ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესებასთან ერთად, რასაც დიდი დრო არ უნდა".

ა. ბ—ნი.

საერთაშორისო საავიაციო გამოფენა ბერლინში

(წერილი გერმანიიდან)

საერთაშორისო საავიაციო გამოფენა, რომელიც ოქტომბრის პირველ რიცხვებში გაიხსნა ბერლინში, თავისი სიდიდითა და ექსპონატების სიმრავლით სჭარბობს ყველა დღემდე გამართულ საავიაციო გამოფენებს და სრულ წარმოდგენას იძლევა მსოფლიო ავიაციის შესახებ. გამოფენას უჭირავს ოთხი დიდი პავილიონი და ახლო მდებარე მოედანი. გამოფენის საერთო სივრცე 50.000 კვ. მეტრს უდრის.

გამოფენა გაყოფილია 5 ნაწილად: 1) საავიაციო მრეწველობა (აეროპლანები, მოტორები, დირიჟაბლები, საავიაციო მოწყობილობა, საწვავი მასალა). 2) კომერციული ავიაცია (საჰაერო გზებისა და აეროდრომების მოწყობა), 3) ფრენის საქმის შესწავლა, 4) საავიაციო მეცნიერება, 5) ისტორიული განყოფილება.

პირველ პავილიონში თავმოყრილია გერმანიის საავიაციო მრეწველობის ექსპონატები, განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ავიეტკებს (სუსტ მოტორიან აეროპლანებს) და მსუბუქ სასპორტო აეროპლანებს, რომელთა მშენებლობაში გერმანიის მრეწველობას უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს.

მეორე განყოფილებაში თავმოყრილია აეროპლანები, დანიშნული შორ მანძილზე მიმოსვლისათვის. აქ არის გამოფენილი „ბაიერიშე მოტორიან ვერკე"-ს, დორნიეს და როორბახის ფირმების ექსპონატები. უკანასკნელ ფირმას გამოფენაზე წარმოდგენილი აქვს მოდელი თავისი სამგზავრო გიდროპლან „რომარ"-ის, რომელმაც პირველსავე საცდელი გაფრენის დროს დაამყარა ტვირთზიდვის და სისწრაფის ახალი რეკორდი (მოტორების სიმძლავრის ერთეულზე).

პირველი პავილიონის ექსპონატების სერია მთავრდება იუნკერსის ფირმის გამოფენით. ეს ფირმა არ შედის გერმანიის საავიაციო მრეწველობის კავშირში და ამიტომ თავისი დამოუკიდებელი გამოფენები მოაწყო ყველა პავილიონებში. იუნკერსის ექსპონატებს შორის ყურადღებას იპყრობს ცნობილი აეროპლანი „ბრემენ", რომლითაც გერმანელი ავიატორები კელლი და ჰიუნეფელდი ევროპიდან ამერიკაში გადაფრინდნენ.

თავისი სიდიდით ყურადღებას იპყრობს ყველაზე დიდი სამგზავრო აეროპლანი „გერმან კელლი". გიდროპლანებში, სიდიდით პირველი ადგილი უჭირავს ზემოთ ნახსენებ „რომარ"-ს, საერთოდ აეროპლანებს შორის კი ინგლისის სამხედრო მონოპლან „ინფლექსიბლ"-ს.

გამოფენის მეორე პავილიონი დათმობილი აქვს უცხოეთის 19 სახელმწიფოს, მათ შორის საბჭოთა კავშირის პროდუქციას. გამოფენის ინგლისური განყოფილება მნახველთა ყურადღებას იპყრობს საავიაციო მოტორების ქარხნების ექსპონატებით. საფრანგეთმაც, იტალიამ, და ჩეხო-სლოვაკიამაც გამოჰფინეს თავიანთი საავიაციო მრეწველობის მრავალრიცხოვანი ნიმუშები. სხვა მრავალ ექსპონატებს შორის გამოფენის ამ განყოფილებაში ყურადღებას იპყრობს ფიატის ფირმის ინჟინერის მიერ ახლად დამზადებული ათასძალიანი მოტორი. იტალიის განყოფილების მთავარ ყურადღების ცენტრად უნდა ჩაითვალოს მაკკის შესანიშნავი ხუთასძალიანი მოტორი, რომლითაც იტალიელმა მფრინავმა დე-ბერნარდიმ დაამყარა სისწრაფის მსოფლიო რეკორდი—გაიარა 500 კილომეტრი საათში.

საყოველთაო ყურადღებას იპყრობს გამოფენის საბჭოთა განყოფილება, საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ გამოფენაზე გაგზავნა ხუთი აეროპლანი და აერო-მარხილი, რომელიც ერთად-ერთია გამოფენაზე. პუბლიკით ირევა ხალხი ლითონის ბიპლანის „AHT 3"-ის გარშემო. ეს ბიპლანი დამზადებულია ცენტრალური ჰიდრო-აეროდინამიური ინსტიტუტის ინჟინერის ა. ნ. ტუპოლევის პროექტის მიხედვით. საუკეთესო სპეციალისტები აღიარებენ ბიპლანის შესანიშნავ თვისებებს. საყოველთაო ინტერესს იწვევს აგრეთვე თავისი სილამაზით კიეველი ინჟინერის კალინინის სისტემის ლითონის მონოპლანი და ავიეტკა „ბურევესტნიკ". მრავალ რიცხოვანი დიაგრამები, ფოტოგრაფიები და სხვ. ახასიათებენ საბჭ. კავშირის ორი საავიაციო საზოგადოების—„დობროლიოტისა" და „დერულუფტის" მუშაობის ყველა დეტალებს, საბჭოთა განყოფილებაში ცალკე კუთხე უჭირავს თავდაცვა-ავიაქიმის საქმიანობის დახასიათებას.

გარდა ჩამოთვლილ ქვეყნებისა გამოფენაზე მონაწილეობას იღებენ ბელგია, ჰოლანდია, შეერთებული შტატები, შვეცია, ნორვეგია, საბერძნეთი და სხვ.

მეორე და მესამე პავილიონს შორის მთელი უზარმაზარი მოედანი უჭირავს ნამდვილ აეროდრომს თავისი ანგარებით (აეროპლანის ასასათავსებელი შენობებით), მეტეოროლოგიური სადგურით, სინათლის ნიშნების მიმცემი მოწყობილობით და სხ. მესამე პავილიონში თავმოყრილია კომერციული ავიაციის ყველა ექსპონატები.

მეოთხე პავილიონი დათმობილი აქვს გერმანიის საავიაციო-გამოკვლევითი ინსტიტუტის ექსპონატებს. მდიდრათ არის წარმოდგენილი საავიაციო პედაგოგიკა. ხელსაწყოები, რომელთა საშუალებით არკვევენ გამოსადეგია თუ არა მფრინავათ ესა თუ ის პირი და სხვ.

დიდი ინტერესს იწვევს საზოგადოებაში გამოფენის ისტორიული განყოფილება, სადაც ნაჩვენებია ავიაციის განვითარების მთელი ისტორია, დაწყებული ოტტო ლილიენტალის პირველი ცდებიდან. აქვე გამოფენილია პირველი „აეროპლანების" მოდელები, რომლებიც სასაცილო შთაბეჭდილებას სტოვებენ თანამედროვე ავიაციის ისეთი საოცრების გვერდით, როგორიც არის მაგალითად ალიუმინიდან დამზადებული გერმანული „რომარი".

ბერლინი, 28 ოქტომბერი.

ა. ვ—ლი.

ახალი რენტგენის სხივები

ქ. პასადენის (შეერთ. შტატებში) ტეხნოლოგიის ინსტიტუტმა დამზადა უზარმაზარი რენტგენის მილი, რომელიც ხუთჯერ უფრო მძლავრ სხივებს იძლევა, ვიდრე ჩვეულებრივი რენტგენის სხივები. ვინაიდან ახალი სხივების თვისებები ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი, მილს თვალყურს ადევნებენ და მას მუშაობას აწესრიგებენ ბეტონიდან აგებულ სარდაფიდან, რომელიც რამდენიმე ათეული მეტრის მანძილზე იმყოფება მილიდან.

საბჭოთა სანიტარული ავტო-ვაგონი



ოდესის საავტომობილო ქარხანაში დაამთავრეს აგება განსაკუთრებული კონსტრუქციის სანიტარული ავტო-ვაგონის, რომლის პროექტი შეადგინა ინჟინერმა ნ. ი. დირენკოვმა. ამ ვაგონის კონსტრუქცია დადებითად არის შეფასებული.

ვაგონის თავისებურობა იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია წაიყვანოს ორი სამგზავრო ან საბარგო ვაგონი და ბენზინისა და წყლის მარაგის შეუვსებლად გაიაროს 1.000 კილომეტრი. ეს შესაძლებლად ხდის, მცირე რაოდენობის ტვირთის გადაზიდვის დროს, ორთქლმავლის მაგიერ ავტო-ვაგონის გამოყენებას, რაც გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ტვირთის გადატანა მატარებლით, რომელიც ორთქლმავალს მიჰყავს.

უბედურობის ნიშნის ავტომატიურად მიმღები აპარატი

ინგლისის სამგზავრო გემებზე შემოღებულია უბედურობის ნიშნის—scs-ის ავტომატიურად მიმღები აპარატები. აპარატით მიღებული ნიშნები გადაიცემა (ზარის რეკის სახით) რადიო-ოთახში, რადისტის ოთახში და კაპიტანის ოთახში.

სურათზე—უბედურების ნიშნების ავტომატიურად მიმღები აპარატი.

ყოფა-ცხოვრების საკითხები

დაუნდობელი ბრძოლა ლოთობასთან

მაშინ, როდესაც რუსეთის და უკრაინის დიდი და პატარა ქალაქებში გაცხოველებული ბრძოლა სწარმოებს ლოთობის წინააღმდეგ, ჩვენში ამის შესახებ არაფერი ისმის, თითქოს აქ ამ მხრივ ყველაფერი კარგად არის.

ვინ არ იცის, რომ ლოთობას დიდი ზარალი მოაქვს ადამიანისათვის და სახელმწიფოსათვის.

ამ 6 თვის წინად მოსკოვში დაარსდა ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოება. ამ საზოგადოების თაოსნობით რუსეთის და უკრაინის ფაბრიკა-ქარხნებში ეწყობა უჯრედები, რომელთა პირდაპირი ამოცანაა ებრძოლონ ლოთობას. ბევრ ადგილას მოეწყო დემონსტრაცია ბავშვების, რომელთა პლაკატებს ამშვენებდა წარწერა: „ძირს ლოთობა, ძირს ალკოჰოლიზმი“-ო.

დემონსტრანტი ბავშვები პლაკატებით ხელში მიდიან ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც ეგულებათ ლოთი მამები, ლოთი ძმები, ლოთი დედები და იქვე იმართება სახელდახელო მიტინგები ლოთობის და ალკოჰოლიზმის მავნებლობის შესახებ.

ბევრ მუშათა რაიონებში მოწინავე მუშების თაოსნობით დაიკეტა მაგარი სასმელების რესტორანები. ზოგიერთმა კოოპერატივმა სულ ხელი აიღო ასეთი სასმელების გაყიდვაზე. ბევრმა შეამოკლა ალკოჰოლით ვაჭრობა. სხვადასხვა ადგილებზე გაიხსნა დისპანსერები, სადაც ექიმობენ ლოთებს.

ერთი სიტყვით, რუსეთში და უკრაინაში დიდი ბრძოლა გააჩაღეს ლოთობისა და ლოთების წინააღმდეგ.

ბევრს გადაჭარბებულად მოეჩვენება ასეთი სერიოზული კამპანია ლოთობის წინააღმდეგ, მაგრამ ეს ძალზე შემცდარი აზრია. ზოგიერთებმა ისიც კი სთქვა, რომ ლოთობის მოსპობა აზარალებს ხაზინას.

ჩვენ რომ გამოვიანგარიშოთ ფულზე ყველა ის ზარალი და მავნებლობა, რომელიც ლოთობას მოაქვს, მაშინ ყველა დარწმუნდება, რომ ამ სენს აღურიცხველი ზარალი მოაქვს სახელმწიფოსათვის.

არიან ისეთებიც, რომელნიც ამბობენ: „ვისი რა საქმეა, რომ ვლოთობ, ეს არის პირადი ჩემი საქმე“-ო. სწორედ მაგარიც ეს არის, რომ ლოთი მარტო თავის თავს არ აყენებს ზიანს, როგორც ეს ბევრს ჰგონია, არამედ სხვას ესე იგი სახელმწიფოს და საზოგადოებას.

1) ლოთობის გამო ჩვენ ფაბრიკა-ქარხნებში და დაწესებულებებში ძლიერ დიდი ადგილი უკავია დღეების გაცდენას, რაც უეჭველად არღვევს წარმოება-დაწესებულებების ნორმალურ მუშაობას.

2) ლოთობის გამო ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმოების ღირსება ეცემა. დისციპლინა, რაც აუცილებელი პირობაა მწყობრი მუშაობისათვის.

3) ლოთობის გამო ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმოების ღირსება ეცემა.

4) ლოთობა ჩვენ წარმოებებში ადიდებს დაშავების შემთხვევებს, რაც ტვირთად აწვება სახელმწიფოს.

5) კატასტროფების, დიდი უმრავლესობა რკინისგზებზე ლოთობით არის გამოწვეული.

6) ხულიგნობა, — რომელიც საკმაოდ გავრცელებულია ხშირად ლოთობის შედეგია.

7) მკვლელობა და სხვა ბოროტმოქმედება უმეტეს შემთხვევაში სიმთვრალეში ხდება.

8) ჩვენ სოციალურ დაზღვევის ორგანოებს დიდ ძალი ფული ეხარჯება იმ მუშა-მოსამსახურეებზე, რომელნიც დაზღვეულნი არიან და რომელნიც სხვადასხვა ავადმყოფობით სნეულდებიან ლოთობის მიზეზით. დაზღვეული სალაროები კი ზრუნავენ მათზე: ექიმობით, წამლეულობით, სანატორიუმებში გაგზავნით (სადაც მაინც განაგრძობენ ლოთობას, ამის შესახებ აუარება მასალები მოიპოვება სანატორიუმების და დასასვენებელ სახლების კანცელიარიებში) და პენსიის დანიშვნით.

9) სულით ავადმყოფობა ბევრ შემთხვევაში შედეგია შთამომავლობითი ლოთობის.

10) ვენერიული დაავადება ხშირად ხდება სიმთვრალის დროს.

11) მრავალი გამოკვლევითა და დაკვირვებით დამტკიცებულია, რომ ლოთობა ადამიანს ასნეულებს, უსუსტებს ნერვებს, აჩლუნგებს გონებას, ასუსტებს მეხსიერებას, უკარგავს ხასიათის სიმტკიცეს და ადამიანს მდაბალ გრძნობებს უნვითარებს.

12) ლოთობა ფიზიკურად და მატერიალურად ანადგურებს მსმელს.

ძალიან ძნელია ყველა იმის ჩამოთვლა საგაზეთო წერილში, რაც თან სდევს ლოთობას. ამიტომ ლოთობა არ არის „პირადი საქმე“.

როცა ადამიანი სვამს ალკოჰოლს სისტემატიურად და უზომოდ ბევრს, ის კარგავს გრძნობას და მეხსიერებას და ხდება ცოცხალ ლეშად. ამაზე მეტი უბედურობა და სისაძაგლე განა შეიძლება? ადამიანი, უბრძნესი სულდგმულია ამ ქვეყანაზე, საგანგებოთ სვამს მაგარ სასმელს, ხელოვნურად იჩლუნგებს და იბნელებს გონებას!.

ბევრს სასახელოდ და საამაყოდ მიაჩნია, ის რომ მას ბევრის დალევა შეუძლია. ხშირად ასეთ პირებს, ესე იგი მათ, ვისაც ბევრი მაგარი სასმელის დალევა შეუძლია, აქებენ და ადიდებენ სხვები, როგორც კარგ მსმელს და გამძლეს ქეიფში.

„ალკოჰოლიზმი არის სოციალური უბედურება“-ო, ამბობს ამხ. **ბუხარინი**. სრული ჭეშმარიტებაა. ამიტომ ჩვენ უნდა ვებრძოლოთ არა მარტო იმას, ვინც ლოთობს თავდავიწყებით, არამედ იმათაც, ვინც ლოთობას მფარველობს და ხელს უწყობს. ძნელია ლაპარაკი კულტურულ რევოლუციაზე, თუ ვერ შევსძლით ლოთობის მოსპობა ან მისი საგრძნობლად შემცირება.

მარტო ადმინისტრატიული წესით ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა ნაყოფს ვერ გამოიღებს.

საჭიროა ერთ და იმავე დროს გაჩაღებული ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ ყველა საშუალებებით. გაღვივდეს და გაიშალოს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა; კინოები, რადიოები და სხვადასხვა სახის სპორტი, ექსკურსიები, მუსიკა, კლუბები, თეატრები, წიგნთსაცავ - სამკითხველოები, ერთი სიტყვით, საჭიროა ყოველივე იმის ორგანიზაცია, რაც ჩააბამს მუშა - მოსამსახურეებს კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში და მით მათ დააყენებს ფხიზელ ცხოვრების გზაზე, რაც გააჯანსაღებს ფიზიკურად, განამტკიცებს ზნეობრივად და სულიერად მშრომელ მასას.

ორიოდე სიტყვა თუთუნის წევის შესახებაც. დიდი ზიანი ახლავს თუთუნის წევასაც, როგორც იმათთვის, ვინც ეწევა, აგრეთვე სხვებისათვისაც, მაგრამ ვერაფერი ეშველა. სწევენ ყოველგან, სწამლავენ ჯანსაღ ჰაერს და ამნაირად ავრცელებენ ავადმყოფობას. ჩვენს დაწესებულებების შიგნით ყოველგან არის გაკრული განცხადება: „აკრძალულია თუთუნის წევა“, მაგრამ არავინ აქცევს ყურადღებას ამას. ეს აიხსნება იმით, რომ თვით პასუხისმგებელი ამხანაგები არღვევენ ამ წესს დემონსტრატიულად.

ერთი სიტყვით თუთუნის წევასაც უნდა ვებრძოლოთ.

დრო არ ითმენს. საჭიროა, სულ მოკლე ხანში ჩვენში, ესე იგი საქართველოში დაარსდეს „**სიფხიზლის საზოგადოება**“, რომელიც ფაბრიკა-ქარხნებში დაარსებს უჯრედებს. ამ უჯრედების მოვალეობა იქნება ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ. ამავე დროს უნდა გაიხსნას ყველა გაზეთებში კამპანია ლოთობის მავნებლობის შესახებ.

ვინც პრესას თვალყურს ადევნებს, ის წაიკითხავდა გაზეთ „კომუნისტ“-ში და გაზეთ „ახალ სოფელ“-ში სხვადასხვა სოფლის ყრილობების დადგენილებებს იმის შესახებ, რომ ამა და ამ სოფელმა ხელი აიღო, აღარ დღესასწაულობს საეკლესიო უქმეს. ამ დღესასწაულებზე იფლანგება გლეხის ქონება, ხდება დებოში და აყალ-მაყალი, რაიც ხშირად ადამიანსაც იწირავს.

ეს იმის ნიშანია, რომ სოფლად უკვე დაწყებულია ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ, მაგრამ დაწყებული სტიქიურად, ესე იგი უგეგმოთ, უსისტემოთ.

ეს კი არ კმარა. საჭიროა ორგანიზაციულად მოქმედება.

შეუბრალებელი და უმოწყალო ბრძოლა **ლოთობას და თუთუნის წევას.**

კ. ხომერიკი.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

იმპორტი

ა. კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, ავტომანქანებათა შემოზიდვა საზღვარგარეთიდან ევალება „ზაკგოსტორგ“-ს რომელმაც ეს დავალებები უნდა შეასრულოს საკომისიო წესით.

სასოფლო მეურნეობისთვის საჭირო იარაღ-მანქანების შემოზიდვა—„ზაკსელმაშ“-ს, ხოლო „საქართველოს ჩაი“-სთვის, „ბიანი“-სთვის, „ზაკუტილსირიო“-სთვის და ბორჯომის მინერალური წყლების სამმართველოსთვის იარაღ-მანქანების და მოწყობილობათა შემოზიდვა უნდა აწარმოოს „ზაკგოსტორგ“-მა. „ზაკსოიუზის“ ხვედრითი წონა იმპორტში დატოვებულია უცვლელად.

შემნახველი სალაროების მუშაობა

შრომის შემნახველ სალაროებში ანაბარების მოზიდვის გასაძლიერებლად კონკრეტულ ღონისძიებების შემუშავების მიზნით, ა. კ. სახკომსაბჭომ გამოყო კომისია ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის, ა. კ. საგეგმო კომისიის და ა. კ. სტატსამმართველოს წარმომადგენელთა შემადგენლობით.

დაზღვევის საქმის კურსები

ა. კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატს წინადადება მიეცა დაზღვევის საქმის კურსების მოსაწყობათ გადასდოს 6.500 მანეთი. კურსების მოწყობა დავალებული აქვს ა. კ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს.

დახმარება ღარიბ გლეხობას

ა. კ. სახკომსაბჭომ მოიწონა მომამზადებელი კომისიის მიერ შემუშავებული ღონისძიებები ღარიბი გლეხობისათვის სამეურნეო დახმარების აღმოსაჩენად.

ა. კ. სას. სამეურნეო ბანკს წინადადება მიეცა ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატთან და მუშათა და გლეხთა ინსპექტორთან შეთანხმებით შეიმუშაოს სათანადო ინსტრუქცია და ორი კვირის განმავლობაში წარუდგინოს დასამტკიცებლად ა. კ. სახ. კომსაბჭოს.

„ზაკავტოპრომტორგი“-ს სახელოსნო

ვინაიდან „ზაკავტოპრომტორგი“-ს სახელოსნოები ვერ აკმაყოფილებენ ტექნიკურ მოთხოვნილებებს და ძველი კონსტრუქციის გამო ამ სახელოსნოებში ვერ ხერხდება ავტომობილების შეკეთება, ა. კ. სახკომსაბჭომ დაადგინა მოეწყოს თბილისში ახალი ცენტრალური ავტომობილების შესაკეთებელი სახელოსნო.

„ზაკავტოპრომტორგ“-ს წინადადება მიეცა შეიმუშაოს ახალი ქარხნის პროექტი და წარუდგინოს იგი ა. კ. სამშენებლო ტექნიკურ კომიტეტს.

სას. სამ. საკრ. ამხანაგობების გადაყვანა ახალ წესდებაზე

ა. კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები გადაყვანილი უნდა იქნან ახალ წესდებაზე არა უგვიანეს 1929 წლის პირველი იანვრისა.

ამხ. სოკოლოვსკის განთავისუფლება

ა. კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით ამხ. ნ. სოკოლოვსკი, თანახმად მისი თხოვნისა, განთავისუფლებულია ა. კ. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობიდან. ა. კ. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველათ დაინიშნა ამხ. ნ. ზახტაძე.

საქ. სახკომსაბჭოში

სას.-სამეურნეო საკრედიტო სისტემის გამოკვლევა

სახკომსაბჭოსთან მოეწყო კომისია ამხ. კაკაბაძის (თავმჯდომარე), მგალობლიშვილის, ჯუღელის, სამანიშვილის, ჩხენკელის, გოლდბაუმის, კალატოზოვის და ნაფეტვარიძის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა სას.-სამეურნეო საკრედიტო სისტემის ორგანიზაციისა და მოქმედების რაციონალურად დაყენებისათვის საჭირო ღონისძიებათა გამომუშავება და აგრეთვე გამორკვევა საკითხისა, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება როგორც აფხაზეთის სას.-სამეურნეო ბანკის და აფხაზეთის სას.-სამეურნეო კავშირის, ისე საქართველოს სას.-სამეურნეო ბანკის საინსპექტორო აპარატის და „სოფლის კავშირის“ საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გაერთიანება.

სას.სამ. ბანკის კახეთის განყოფილების გაუქმება

მ.-გ. ინსპექციის სახალხო კომისარიატის მოხსენების თანახმად სახკომსაბჭოსა და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროდ სცნო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის კახეთის განყოფილების გაუქმება.

ქუთაისის განყოფილება დატოვებულ იქნა დროებით.

ღია ბარათებისა და მარკების გამოცემის შესახებ

სახკომსაბჭომ და ეკონომსაბჭომ ნება მისცა სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს აწარმოოს საქართველოს ს. ს. რ. ტერიტორიაზე საქველმოქმედო მიზნით ნებაყოფლობითი შემოწირულებათა შეკრება მარკებისა და ღია ბარათების გამოშვების საშუალებით და ამ გზით მიღებული თანხა ჩარიცხოს თავის სპეციალურ სახსარში.

ადგილობრივ მნიშვნელობის გზები

სახკომსაბჭომ და ეკონომიურ საბჭომ დაამტკიცეს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სია საორიენტირო—6057,5 კილომეტრის სიგრძით; მათ შორის: გზატკეცილები—1024,5 კილომ., საყამირო—3870 კილომ., სოფლის გზები—452 კილომ., ბილიკები—701 კილომ.

არასაგადასახადო შემოსავლის ნარჩენების

ლიკვიდაცია

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა არასაგადასახადო შემოსავლის ნარჩენების საკითხი და აღნიშნა, რომ დადგენილება არასაგადასახადო შემოსავლის ნარჩენების ლიკვიდაციის შესახებ შესრულებული არ არის.

ამიტომ ამიერ-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატს წინადადება მიეცა სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ და სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაციებზე არსებული არასაგადასახადო შემოსავლის ნარჩენების მთელი რაოდენობა დაკავებული იქნეს იმ თანხებიდან, რომლებიც უნდა მიეცეს აღნიშნულ ორგანიზაციებს. ხოლო იმ ორგანიზაციებს, რომელთაც არ აქვთ მისაღები თანხები, წინადადება უნდა მიეცეს ორი კვირის განმავლობაში გამოარკვიონ, თუ როდის დაფარავენ დავალიანებას.

თბილისის ახალი წყალსადენის გარშემო

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ მოიწონა ამიერ-კავკ. ტექნიკური სამშენებლო კომიტეტის დასკვნა ნატახტარის წყალსადენის შესახებ და სრულიად დამაკმაყოფილებლად სცნო წყალსადენის აგების მიზანშეწონილობის დასაბუთება.

ამასთანავე ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობას მოსკოვში წინადადება მიეცა აღძრას შუამდგომლობა ცენტრალურ კომუნალურ ბანკის წინაშე, რათა ნატახტარის წყალსადენის გასაყვანად თბილისის აღმასკომს მიეცეს სესხი 4.500.000 მანეთის რაოდენობით, 15 წლის ვადით.

საქართველოს სახკომსაბჭოს წინადადება მიეცა დაავალოს თბილისის აღმასკომს შეიმუშაოს მუშაობის კალენდარული გეგმა, რომელიც დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს ამიერ-კავკასიის ცენტრალურ სამშენებლო კომიტეტს.

წითელი ჯვრის სამდღიურის შედეგები

წითელი ჯვრის სამდღიური დამთავრდა. თუმცა ჯერ სრული ცნობები სამდღიურის შედეგების შესახებ შეკრებილი არ არის, მაგრამ, როგორც წითელი ჯვრის მთავარ კომიტეტში აცნობეს ჩვენს თანამშრომელს, წელს სამდღიური გაცილებით ნაყოფიერად ჩატარდა, ვინემ წინა წლებში.

ყულაბებით შემოწირულებათა შეგროვება, როგორც სამდღიურის პირველ დღეს, ისე შემდეგ ორ დღეშიაც დიდის წარმატებით მიმდინარეობდა. ვარაუდით, წელს ყულაბებით ორჯერ უფრო მეტი ფული იქნა შეგროვილი, ვინემ შარშან.

წითელი ჯვრის მიზნების პოპულარიზაციის მიზნით ჩატარებულ ლექცია-მოხსენებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია მუშათა აუდიტორიებში.

წ. ჯ. საზოგადოებაში ახალ წევრთა მიღების კამპანია გრძელდება.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმში

გუშინ, დღის 12 ს. ამხ. **მ. ბოლქვაძის** თავმჯდომარეობით შესდგა აღმასკომის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც გარჩეული იქნა შემდეგი საკითხები:

საბჭოთა მომავალი არჩევნები

საბჭოთა მომავალი არჩევნების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **აკოფოვმა**. მომხსენებელი შეეხო საბჭოთა მომავალ არჩევნების მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ თბილისსა და მის მაზრაში არჩევნების წარმატებით ჩასატარებლად საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საარჩევნო ხმის უფლების მქონეთა და შავი სიების თავის დროზე შედგენის საქმეს. საანგარიშო კამპანიის ფართოდ ჩატარებას და ამრჩეველთა აქტიურობის გაძლიერებას.

მოხსენების შემდეგ სხდომამ დაამტკიცა თბილისსა და მის მაზრაში საბჭოთა არჩევნების ჩატარების გეგმა, რომლის მიხედვით არჩევნებისათვის სამზადისი მუშაობა უნდა დამთავრდეს 15 დეკემბრამდე. ამ დრომდე თემებში უნდა ჩამოყალიბდეს საარჩევნო კომისიები და ადგილებს უნდა დაეგზავნოს შესაფერი ინსტრუქციები და მასალები. ამავე ხნის განმავლობაში ქალაქში დაარსებული იქნება რაიონული საარჩევნო კომისიები და ჩატარებული იქნება ყოველგვარი წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა: შედგენილი იქნება საარჩევნო ხმის უფლება მოკლებულთა და ამრჩეველთა სიები, გამოყოფილი იქნება საარჩევნო პუნქტები და სხ.

ქალაქში არჩევნების წარმატებით ჩატარების მიზნით დაარსებული იქნება 8 რაიონული და 1 საგარნიზონო საარჩევნო კომისია. მოზრდილ წარმოება-დაწესებულებებში აგრეთვე დაარსებული იქნება რაიონულ კომისიებისათვის ხელის შემწყობი ადგილობრივი კომისიები. ეს კომისიები რაიონულ კომისიებს დახმარებას გაუწევენ განსაკუთრებით ამრჩეველთა და შავი სიების შედგენის საქმეში. ვინაიდან ამ მხრივ საჭირო იქნება დიდი მუშაობა იმის გამო, რომ გასულ წელს ასეთი სიები არ ყოფილა შედგენილი.

საანგარიშო კამპანია დაიწყება 15 დეკემბრიდან და დამთავრდება მომავალი წლის 1 თებერვლამდე. არჩევნები დაიწყება 1 თებერვლიდან და დამთავრდება ამავე თვის 25 რიცხვამდე, 25 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მერვე წლის, თავზე შესდგება ახალი საბჭოს პირველი პლენუმი.

სხდომამ დაადგინა სოფლად არჩევნების წარმატებით ჩატარების მიზნით გადიდებული იქნეს საარჩევნო პუნქტების რიცხვი და საარჩევნო პუნქტებათ არჩეული იქნეს ისეთი ადგილები, სადაც ცუდ ამინდში შესაძლებელი იქნება არჩევნების ჩატარება შენობებში. არჩევნების ჩასატარებლად მოზრდილ თემებში გაიგზავნებიან პრეზიდიუმის წევრები. ამავე მიზნით სხდომამ დაადგინა მოწვეული იქნეს ახლო ხანში თემმუშაკების სამაზრო თათბირი, რომელიც განიხილავს არჩევნებთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ მნიშვნელობის საკითხებს.

დასასრულ, სხდომამ აირჩია თბილისსა და მის მაზრაში არჩევნების ჩასატარებლად სამაზრო საქალაქო კომისია ამხ. **მ. ბოლქვაძის** თავმჯდომარეობით. კომისიაში შედის 25 წევრი.

„კრასინი“-ს გმირების შესახვედრად

სხდომამ მოისმინა ამხ. მ. ბოლქვაძის ინფორმაცია თბილისში „კრასინი“-ს გმირების ჩამოსვლის შესახებ და დაადგინა მათ პატივსაცემად თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებასთან ერთად მოიწვიოს საბჭოს საზეიმო სხდომა. საზეიმო შეხვედრის და სათანადო მოხსენებების მოსაწყობად თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას გადაეცა 500 მანეთი.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა მე-7 ყრილობა

რა გააკეთა ცენტრალურმა გამგეობამ

გუშინ, დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. საბა ორჯონიკიძის მოხსენება საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობა-საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მეექვსე ყრილობიდან დღევანდელ ყრილობამდე კავშირის საორგანიზაციო სტრუქტურაში განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ დამოუკიდებელ განყოფილებათა გაერთიანებას და დაწესებულებათა ადგილობრივ კომიტეტის შემჭიდროებას.

უკანასკნელი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა კავშირის წევრთა რიცხვი. ა. წ. 1-ლ აპრილამდე კავშირი აერთიანებდა 26938 წევრს. წევრთა რიცხვის ზრდა უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ კავშირში გადმოირიცხა ბევრი ახალი დაწესებულება და აგრეთვე იმას, რომ მის რიგებში ჩაბმული იქნა სტუდენტობა.

კავშირის წევრთა რიცხვობრივ ზრდასთან ერთად გაიზარდა უმუშევართა რიცხვიც. ამჟამად უმუშევართა რიცხვი უდრის 5871.

დიდი ყურადღება ექცეოდა უმუშევართა ნივთიერად უზრუნველყოფის საკითხს. უმუშევართა დასახმარებლად წ. წ. 1-ლ იანვრიდან ა. წ. 1-ლ ივლისამდე კავშირის მიერ დახარჯულია 118.698 მან. 52 კაპ. გარდა ამისა, უმუშევართ აღმოეჩინათ საგზაო დახმარება 9.851 მან. და 65 კაპ. რაოდენობით.

უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით კავშირმა თბილისში, ბათომსა და ქუთაისში მოაწყო 23 შრომის კოლექტივი, რომლებიც აერთიანებს 420 უმუშევარს. შრომის ბირჟების კოლექტივებში ირიცხება 180 უმუშევარი—საბჭოთა მუშაკთა კავშირის წევრი.

საანგარიშო ხნის განმავლობაში მასიური მუშაობა ნორმალურად და გეგმიანად მიმდინარეობდა.

საზოგადო კრებებზე დასწრება და დამსწრეთა აქტივობა საგრძნობლად გაიზარდა. მასები უფრო მეტ ინტერესს იჩენენ არჩეულ ორგანოების მუშაობის შემოწმებისა და შეფასების საქმისადმი. ეს აშკარა გახდა გადარჩევის დროს, როდესაც ადგილკომების შემადგენლობა 50 პროცენტით განახლებული იქნა.

საანგარიშო ხნის განმავლობაში აღრიცხულია საკავშირო თანხების გაფლანგვის 14 შემთხვევა. გაფლანგული თანხა უდრის 3.991 მან. გაფლანგვის 11 შემთხვევა აღმოჩენილია სარევიზიო კომისიების მიერ, ხოლო დანარჩენი კავშირის გამგეობის მიერ.

შეეხო რა სატარიფო-ეკონომიურ მუშაობას—მომხსენებელმა განაცხადა, რომ მთელ რესპუბლიკაში საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირში გაერთიანებულ მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი 80 მან. და 77 კაპეიკიდან გადიდებული იქნა 87 მან. და 37 კაპეიკამდე. თბილისში კი საშუალო ხელფასი აღწევს 93 მან. და 10 კაპ., რაც წ. წ. შედარებით იძლევა ზრდას 5,8 პროცენტით.

დასასრულ მომხსენებელი ეხება კულტურულ მუშაობას კავშირის წევრთა შორის.

ამის შემდეგ ყრილობამ მოისმინა კავშირის პასუხისმგებელ ხაზინადარის ამხ. **ხოშტარიას** მოხსენება კავშირის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებლის სიტყვით, უკანასკნელი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა კავშირის საწევრო ანარიცხები, რაც უნდა მიეწეროს ხელფასის ზრდას და ადგილკომების მიერ საწევრო ანარიცხების სწორად გამოანგარიშებას.

—:—

გუშინ, საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი ცენტრალური გამგეობის მოხსენების გარშემო. ილაპარაკა 30-მდე ორატორმა.

საბინაო კოოპერაციის ახალი წესდება

ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატმა და ა.-კ. საბინაო საბჭომ შეიმუშავეს ახალი ნორმალური წესდებები საბინაო ამხანაგობებისა, მუშათა საბინაო მშენებლობისა და საბინაო კავშირისათვის.

წესდებების გადასინჯვა და ახალის შემუშავება მიზნად ისახავს მათ შეფარდებას არსებულ კანონმდებლობასთან და შესაბამ დღეს არსებულ პირობების მიხედვით.

ახალი წესდებები ხელს უწყობენ მუშათა ფართო მასების ჩაბმას საბინაო კოოპერაციაში. ზოგიერთი დეფექტების აღმოფხვრას საბინაო-საიჯარო ამხანაგობების საქმიანობაში, აწესრიგებენ საბინაო ფართობის გამოყენების საქმეს, აწესებენ საბინაო კავშირის რეგულიარულ ხელმძღვანელობას ძირითად ორგანიზაციებზე და აძლიერებენ მის კონტროლს.

სამივე წესდებაში მთლიანად გადამუშავებულია ნაწილები კონტროლისა და მართველობის შესახებ, აგრეთვე საბინაო კოოპერაციების მოქმედების შეწყვეტის და მათი სრული ლიკვიდაციის წესები.

პროფ. სამოილოვიჩის ჩამოსვლის გამო

პროფ. **სამოილოვიჩი** და მფრინავი **სტრაუბე** თბილისში ჩამოვლენ 15 ნოემბერს დილის 8 საათზე.

ამჟამად პროფ. სამოილოვიჩი და მფრინავი სტრაუბე იმყოფებიან ქ. ბაქოში. შემდეგ ისინი შეივლიან ქ. განჯაში, სადაც გააკეთებენ მოხსენებას „კრასინი“-ს ექსპედიციის შესახებ.

15 ნოემბერს დილის 8 საათისათვის წარმოება - დაწესებულებების დელეგაციები თავს იყრიან თბილისის სადგურზე, სადაც გაიმართება საპატიო სტუმრების საზეიმო შეხვედრა.

15 ნოემბერს ექსპედიციის მონაწილენი გაეცნობიან თბილისს, მის მიდამოებს და აღმშენებლობას.

16 ნოემბერს შესდგება საზეიმო სხდომა სახ. ოპერაში, მილოცვების შემდეგ, პროფ. სამოილოვიჩი გააკეთებს მოხსენებას „კრასინი“-ს ექსპედიციაზე.

17 ნოემბერს, საღამოს, რუსთაველის თეატრში შესდგება პროფ. სამოილოვიჩის ერთად-ერთი ფასიანი ლექცია.

საქ. თავდაცვა-ავიაქიმი გაცხოველებით ემზადება „კრასინი“-ს გმირების შესახვედრათ.

ავიაქიმის უჯრედებში სწარმოებს ახსნა-განმარტებითი საუბრები პოლიარული ექსპედიციის ირგვლივ. მზადდება მხატვრული პლაკატები და დიაგრამები.

საქ. ავიაქიმი ამ დღეებში გამოუშვებს სპეციალურ ბროშიურას „კრასინი“-ს ექსპედიციის შესახებ.

ბრძოლა ქუნთრუშას ეპიდემიასთან

ექიმ-კონსულტანტების თათბირი

გუშინ, თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებასთან შესდგა ქალაქის საექიმო ქსელის წარმომადგენლების თათბირი, რომელსაც დაესწრნენ კონსულტანტი-ექიმები და ქალაქის სოც.-ჰიგიენური ინსტიტუტის წარმომადგენლები. თათბირი მოწვეული იყო დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილების ინიციატივით.

თათბირის დღის წესრიგში დასმული იყო ერთი საკითხი: მიზანშეწონილია თუ არა, რომ წელს თბილისში გაგრძელებული იქნეს სკოლის ხნის და უფრო ნორჩი ბავშვების აცრა ქუნთრუშათი დაავადების წინააღმდეგ. თათბირზე აღნიშნული იყო, რომ მეცნიერთა ერთ ნაწილს ქუნთრუშისაგან ნორჩი ბავშვების აცრა მიაჩნია მიზანშეუწონლად, რადგან აცრის შემდეგ ბავშვებს ეპიდემია მაინც ჰკიდებს ხელს. მეცნიერთა მეორე ნაწილს კი, პირიქით, აცრა საჭიროდ მიაჩნიათ, რადგან აცრის შემდეგ ქუნთრუშათი ბავშვები ან სრულებით არა ხდებიან ავად ან და ავად ხდებიან, მაგრამ მსუბუქ ფორმებში.

ამ საკითხის შესახებ თავისი აზრი გამოსთქვა პროფ. **ამირეჯიბმა**, რომელიც სათათბიროთ იყო მოწვეული. მან განაცხადა, რომ ქუნთრუშათი დაავადების დროს ბავშვების მკურნალობის შესახებ სამკურნალო მეცნიერებაში 4 აზრია გაბატონებული. ამ აზრთა სხვადასხვაობის შესახებ გაკეთებული იყო ცალკე მოხსენებები კენიგსბერგის საერთაშორისო საექიმო კონგრესზე. რის შემდეგაც კონგრესმა სასარგებლოდ სცნო, რომ ქუნთრუშას ეპიდემიების დროს ფართოდ იქნეს გამოყენებული ბავშვების აცრის სისტემა.

გასულ წელს, თბილისში ადგილი ჰქონდა ხუნაგისა და ქუნთრუშას ეპიდემიას. ხუნაგისაგან აუცრეს ყველა ბავშვებს, ხოლო ქუნთრუშისაგან აუცრეს მარტო 8.000 მოზარდს. ჯერ-ჯერობით შარშანდელი აცრის შედეგები არაა გამორკვეული და ამიტომ გადაწყვეტით არ შეიძლება ითქვას—მოიტანა თუ არა სარგებლობა შარშანდელმა აცრამ. პროფ. ამირეჯიბის აზრით, შარშანდელმა აცრამ უთუოდ ხელი შეუწყო მაშინ არსებულ ეპიდემიის მოსპობას.

დასასრულ, თათბირი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვინაიდან თბილისში უკვე იწყება ქუნთრუშას გავრცელება და საჭირო ხდება სასწრაფო ზომების მიღება, რომ ეპიდემიამ საშიში ხასიათი არ მიიღოს, ამიტომ აცრის სისტემა ნებაყოფლობითი საფუძველზე კვლავ უნდა იქნეს გაგრძელებული. ამასთანავე სასწრაფო ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ დამუშავებულ იქნეს შარშან ჩატარებული აცრის შედეგები და გამოირკვეს—იყო თუ არა შემთხვევები, როცა ავად გახდა აცრილი ბავშვები და ან რა პირობებში მოხდა დაავადება.

ქრონიკა

ადგ. ტრანსპორტზე მომუშავეთა მეშვიდე ყრილობა

25 ნოემბერს ავტო-კლუბის შენობაში გაიხსნება ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა პროფკავშირის მეშვიდე ყრილობა.

ელექტრონის სინათლის გაყვანა ბინებში

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიამ შეიმუშავა სავალდებულო დადგენილება, რომლის მიხედვით ყველა სახლის სამმართველო და კერძო მეპატრონე ვალდებულია თავის ხარჯით სახლებში გაიყვანონ ზაჰესის ენერგიის მთავარი ხაზი. ხოლო თვით ბინებში ენერგიას გაიყვანენ მდგმურები თავიანთი ხარჯით, ამა თუ იმ მდგმურის სხვა ბინაში გადასვლის გამო აუნაზღაურდება ბინაში ელექტრო გაყვანილობაზე გაწეული ხარჯები.

სასტუმროების ტრესტი

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით თბილისში არსდება სასტუმროების ტრესტი. ტრესტს გადაეცემა თბილისში არსებული ყველა სასტუმრო სახლები მოსავლელად და საექსპლოატაციოთ.

ტრესტის დაარსება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ კერძო მოიჯარადრეები სასტუმროებს არ უვლიდენ სათანადოთ და ამავე დროს სასტუმროებს იყენებდნენ გარყვნილებისათვის. გარდა ამისა სასტუმროებში ადგილი ჰქონდა ანტი-სანიტარულ პირობებს.

ტრესტისათვის სასტუმროების გადაცემის შემდეგ ყველა სასტუმრო შეკეთებული იქნება და ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მათში სისუფთავის დაცვას.

თვითეული სასტუმროსათვის დაწესებული იქნება ნიხრი. მოზრდილ სასტუმროებში მოეწყობა საზოგადო სასადილოები, კლუბი და სხ. აღმასკომის საგეგმო კომისიამ უკვე დაამტკიცა სასტუმროების ტრესტის დებულება. ტრესტი ჩამოყალიბებული იქნება ახლო ხანში.

წვრილი მრეწველობის აღწერა

საკავშირო სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს კოლეგიამ გადასწყვიტა 1929 წ. 1-ლ იანვრიდან 15 მარტამდე ჩაატაროს საბჭ. კავშირის წვრილი (უცენზო) მრეწველობის აღწერა. აღწერა შეეხება, როგორც ქალაქების, ისე სასოფლო წვრილ მრეწველობას, მისი მუშა-ხელის შემადგენლობას და სოციალურ ფორმებს, გეოგრაფიულ განაწილებას, კავშირს სასოფლო მეურნეობასთან და სხვ. წვრილი მრეწველობის აღწერასთან ერთად მოხდება შინასამრეწველო კოოპერაციის გამოკვლევა იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც შეეხება მის მდგომარეობას 1928 წ. 1-ლ ოქტომბრისათვის.

თბ. აღმასკომში

◆ **ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება** თბილისის აღმასკომის წარმოება-დაწესებულებებში გატარებული იქნება მომავალი წლის პირველ იანვრიდან.

◆ **ქალაქის მომარაგება შეშით.** ვაჭრობის განყოფილება შეუდგა იმის გამოკვლევას, თუ რამდენათ უზრუნველყოფილია ზამთრისათვის ქალაქი შეშით.

სხვადასხვა

◆ **გვიმბრის ფლორიდინი.** სახ. უნივერსიტეტის გეოლოგიურ კაბინეტის აუდიტორიაში დღეს, საღამოს 7 საათზე შესდგება გეოლოგიურ ინსტიტუტის სამეცნ. საბჭოს საჯარო სხდომა, რომელზედაც ასისტ. ქ. თათარიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „გვიმბრის ფლორიდინის გეოლოგია“.

◆ **ქართული ენის კაბინეტში** (მე-14 შრ. სკოლა), დღეს საღამოს 7 საათზე შესდგება ლიტერატურის მცოდნეების სემინარიის მუშაობა, მოხსენებას წაიკითხავს ვარ. ხუროძე.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ქუთაისიდან—ბლიხანოვს, მოსკოვიდან—ტერაკოპოვს.

ხელოვნება

მომღერალთა სვანური გუნდის გარშემო

სვანური (ძველი ქართული) სიმღერებს ფართო საზოგადოებისადმი გაცნობისა და გუნდის მოწყობის იდეა დაიბადა სვანეთში ამ რამდენიმე წლის წინედ, მაგრამ მას საძირკველი ჩაეყარა წელს სახ. კონსერვატორიის პროფესორის ლარისა ქუთათელაძის სვანეთში მოსვლით; მას ბევრი ღვაწლი მიუძღვის ამ საქმის დაგვირგვინებაში. მის განხორციელებას ხელი შეუწყო აგრეთვე სვანეთში საბჭოთა რუსეთიდგან მგზავრების (დენისოვა, ლობაჩოვი და სხვ.) მოსვლამაც. მათ გამოსთქვეს სურვილი მოგვეწყო სიმღერების დემონსტრაცია მოსკოვ-ლენინგრადსა და საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში, ვინაიდან ამ საქმეს ისინი აძლევენ ეტნოგრაფიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას.

20 კაცისაგან შემდგარმა გუნდმა თავს იდვა ამ საძნელო და სიმპატიური საქმის განხორციელება. ცოტა ფულით (ადგილობრ. აღმასკომმა და კოოპერ. გამგეობამ მოგვეცეს ავანსი 500 მანეთამდე) იგი ჩამოვიდა თბილისში. საოპერო თეატრში 26 ოქტომბ. ჩატარებულმა კონცერტმა დაგვანახვა, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე სვანურმა ცეკვა-სიმღერამ და საკრავებმა.

ერევანში სამჯერ გამართულმა კონცერტმაც მოლოდინს გადააჭარბა და საზოგადოება დიდი აღტაცებით მიეგება გუნდს.

სვანურმა გუნდმა ფართო საზოგადოებას უჩვენა ძველი ხალხური ცეკვა-სიმღერა და საკრავები ისე, როგორც ამას მღერის სვანი სახლთან, ჭირში და ლხინში. ეს მისი დიდი დამსახურებაა. საჭიროა მას აღმოეჩინოს ფინანსიური და მორალური დახმარება.

გუნდის ხელმძღვანელი **ი. მარგიანი.**

თბ. სატირის თეატრი

ოთხშაბათს, 14 ნოემბერს, მელითონეთა კლუბში (ყოფ. მუშ. ცენტრ. კლუბში) გაიმართება თბილისის სატირის თეატრის პირველი წარმოდგენა შემდეგი პროგრამით. 1) „თემში“ სატირა 1 მოქ. გოგიაშვილის, 2) „ცოლგალა და გოგონა“ შაირები გუგულის, 3) „ექსპლოატაცია“ ყოფაცხოვრების სურათი, 4) „მზადება უნივერსიტეტისათვის“ სატირა 1 მოქ. გოგიაშვილის, 5) „მეფანდური“ გუგულის, 6) „საქმე გრძელი“ ბუფონადა 1 მოქ. დასასრულ „ხრინწაძის აკადემიური ხორო“.

სატირის თეატრის დასში შედიან: ქალებ—ვერა ნიკოლაიშვილი, რაისა ფარულია, ფელიკო ჭანტურია, ვაჟები—გრ. ლაღიძე, რევაზ მაღალაშვილი, იაშა ვაშაძე, ივანე კიკაჩეიშვილი, ვლადიმერ ფხალაძე, ვახტანგ ჭაბალაძე, გიორგი ხარაზიშვილი, პეტრე ნიჟარაძე, გრიგოლ ხუჯაძე, მიხეილ ღლანიძე, რეჟისორი—გრიშკო ხელაია, რეჟ. თანაშემწე—გრ. ლუხუტელი. მხატვარი—შოთა დედაბრიშვილი. თეატრის მთავარი ხელმძღვანელი—გუგული ბუნიკაშვილი.

◆ **„ანზორი“.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ანზორი“.

◆ **„პიკის ქალი“.** ოპერის თეატრში დღეს მეორე აბონემენტისათვის წარმოდგენილი იქნება „პიკის ქალი“.

◆ **მოზრდილ მაყურებელთა თეატრი,** დღეს ყოფ. მცირე თეატრში გამართავს წარმოდგენას.

◆ **„ბავშვთა ლექსები“.** რედაქციამ მიიღო დ. თურდოსპირელის „ბავშვთა ლექსები“. წიგნი გამოცემულია თელავში. ფასი 25 კაპ.

ფიზკულტურა და სპორტი

ცილობა მსუბუქ ძლეოსნობაში

შაბათს, 10 ნოემბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე დაიწყო ცილობა მსუბუქ ძლეოსნობაში. შაბათს და კვირას ჩატარებულ ცილობის შედეგები ასეთია:

ქალთა რბენა 60 მეტრზე. პირველ ადგილზე გამოვიდა **ზალდასტანიშვილი.** ვაჟთა რბენაში 100 მეტრზე გაიმარჯვა **შვაცაბაიამ.** 200 მეტრზე— **ქორიძემ,** 1.500 მეტრზე—**ცოცაშვილმა.** ხუთჭიდში პირველობა რბენაში 1.500 მეტრზე აიღო **მალიშკოვმა.**



ხტომა სიგრძეზე

—:—

ხტომა სიგრძეზე ადგილიდან: **ოჩიგავა**—2.84,5 მეტრი, **მაცკევიჩი**—2.65,5.

ქალთა ხტომა სიგრძეზე ადგილიდან: **ზალდასტანიშვილი**—2.26,5 მეტრი, **პულინდინა**—2.15.

ხტომა სიგრძეზე ადგილიდან: **ოჩიგავა**—**მაკაროვი**—5.50,5 მეტრი, **პაცკევიჩი**—5.44,5, ქალები: **ზალდასტანიშვილი**—4.37, **სიზოვა**—4,077 მეტრი.

ხტომა სიმაღლეზე გამორბენით (ქალები): **ზალდასტანიშვილი**—130 სანტ., **რატკევიჩი**—130 სანტ.

ბადრის ტყორცნაში **მაიერის ქალმა** დაამყარა ამიერ-კავკასიის ახალი ზღწევი—37,98 მეტრი. ვაჟები—**ქორიძე**—33.50,5, **ნებიერიძე**—30,47.

შუბის ტყორცნაში **გერასიმოვმა** აგრეთვე დაამყარა ამიერ-კავკასიის ახალი ზღწევი. 76.33.

ფეხბურთი

კვირას, 11 ნოემბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა პროფკავშირების პირველი და მეორე ნაკრები გუნდების ამხანაგური შეჯიბრება.

ამ შეჯიბრებამ დაამტკიცა, რომ თბილისში შეიძლება ორი ძლიერი ნაკრები გუნდის შედგენა პროფკავშირების გუნდების მოთამაშეებისაგან.

პირველი ნაკრები შედგენილი იყო, უმთავრესად, გემ-კვების მუშაკთა და რკინისგზელთა გუნდების მოთამაშეებისაგან, მეორე ნაკრები კი—მელითონეებისა, საბჭოთა მუშაკებისა და მედსანშრომის მუშაკებისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ პირველ ნაკრებ გუნდში შედარებით უფრო ძლიერი მოთამაშეები მოხვდნენ, გუნდმა ვერაფრით ვერ დაამტკიცა თავისი უპირატესობა მეორე ნაკრებთან შედარებით. თითქმის ორივე ტაიმის განმავლობაში თამაშის ინიციატივა მეორე ნაკრებ გუნდის ხელში იყო. პირველი გუნდის ფორვარდების თამაშს საგრძნობლად აფერხებდა ის გარემოება, რომ მათ არ ყავდათ საჭირო დამხმარე ძალა (ცენტრ-ხავბეკის სახით. მომავალში ამას ანგარიში უნდა გაეწიოს და ცენტრ-ხავბეკად უფრო ძლიერი მოთამაშე უნდა იქნეს დაყენებული.

მეორე ნაკრებ გუნდმა ჯერ კიდევ თამაშის დასაწყისშივე, შესძლო პირველი ბურთის გატანა. თამაშის შემდგომ პროცესში მიღწეული შედეგი აღარ დარღვეულა, თუმცა ორივე გუნდის კარებთან იყო სახიფათო მომენტები.

თამაშის მეორე განყოფილებაში მეორე გუნდმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანა (პენალტიდან) და შეჯიბრება დამთავრდა 2:0 თავის სასარგებლოდ.

თბილისის „დინამო“-ს ბრწყინვალე გამარჯვება ბაქოში

ბაქოდან დაბრუნდა თბილისის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“, რომელმაც იქ ჩაატარა სამი შეჯიბრება. სამივე მატჩი დამთავრდა „დინამო“-ს ბრწყინვალე გამარჯვებით საერთო ანგარიშით 13:3.

ცალკე შეჯიბრებებიდან—თამაში ბაქოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტის გუნდთან დამთავრდა 6:1, რკინისგზელებთან 5:1 და ბაქოს „დინამო“-სთან—2:1.

თბილისის „დინამო“ გამოდიოდა შემდეგი შემადგენლობით: **ბალდოევი, ფოჩხუა, ფრუიძე, პარამანოვი, ჟორდანია, ფეოდოროვი, პეჩონნი, ფაჩულია, შვარცი, ვაჩნაძე და ქოიავა.**

შემთხვევები

ყაჩაღების თავდასხმა

11 ნოემბერს, ღამით, სოღანლუღის გზაზე მიმავალ მგზავრებს: აბაზ ქარიმ-ოღლი-ს და ქასუმ უსუფ-ოღლის (სოფ. ჯანდარას მცხოვრები) თავს დაესხნენ ოთხი შეიარაღებული პირი, რომლებმაც მოინდომეს მგზავრების გაძარცვა, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს. წინააღმდეგობის გაწევის დროს თავდამსხმელებმა ხანჯლით დაჭრეს ქასუმ უსუფ-ოღლი.

დაჭრილი მოათავსეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

300 ცხვარის გატაცება

მამუკის მინდორზე, დათ. აზირაშვილის ცხვრის ფარას, რომელსაც მწყემსავდა ალექსი სეხნიაშვილი, თავს დაესხა 10 კაცი, რომელთაგან ერთი შეიარაღებული იყო ბერდანით, დანარჩენები კი კომბლებით. თავდამსხმელებმა სცემეს სეხნიაშვილს და გაიტაცეს 300 სული ცხვარი. ცნობის მიღებისთანავე შემთხვევის ადგილზე დაუყონებლივ გაემგზავრნენ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები. კვლევა-ძიებით გამოირკვა, რომ ადგილი ჰქონია მწყემსების შეტაკებას საძოვრებით სარგებლობის ნიადაგზე. გატაცებული ცხვრები აღმოჩენილია და ჩაბარდა პატრონს.

ქალი—მხეცი

11 ნოემბერს, მარიამ არუთინის ასულმა ტონოკიანცმა (მცხ. ობსერვატორიის ქ. № 4) შურისძიების ნიადაგზე შაბიამნით მოწამლა თავისი ქმრის სარქის ტონოკიანცის პირველი ცოლის შვილი—რაჩო (9 წლისა). მოწამლული ბავშვი გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში. მარიამ ტონოკიანცი დაპატიმრებულია.

დაჭრა

გუშინწინ, ღამით, ვიღაც ბოროტმოქმედმა დანით დასჭრა მარიამ გრიგოლის ასული ტატოიანცი (17 წლისა). დაჭრილი მოათავსეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში. გამოძიება სწარმოებს.

თავის დაჭრა

გიგო მიკირტიჩის ძე ტოტოიანცმა თვითმკვლელობის მიზნით დანით დაიჭრა თავისი თავი. ტოტოიანცი სიკვდილს გადაარჩინეს. თავის დაჭრის მიზეზი—ოჯახური უსიამოვნებაა.

თავის მოწამვლა

ბიკანუშ სტეფანეს ასულმა კარაპეტოვამ (მცხ. ორჯონიკიძის ქ. № 8) თავის მოწამვლის მიზნით დალია იოდი. კარაპეტოვას აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება. თავის მოწამვლის მიზეზი—ოჯახური უსიამოვნებაა.

ხანძარი

გუშინ, ხანძარი გაუჩნდა როსტოვის ქ. მდებარე სახლს № 18. ხანძარი ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა. ზარალი უმნიშვნელოა.

ქურდობა

გაქურდეს კონსტანტინე ჩაპლინსკის ბინა (ტატიანის ქ. № 19); წაიღეს 50 მანეთის ნივთები.—ნაზარ პაპიკიანცის ბინიდან (სადგურის ქ. № 2) მოიპარეს 70 მანეთის სხვადასხვა ნივთები.—გარდა ამისა, 10 და 11 ნოემბერს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის 7 შემთხვევა.

შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა გიორგი და სიმონ მათეს ძე ცატუროვები, ხაიარა ახმედოვი (მცხ. კომუნალური ქ. № 31, იუანე გიორგის ძე როსტომაშვილი, სტეფანე კუზმას ძე ლუკიანოვი, კალენ შავუროვი (ხუბინაო), დავით ოსების ძე ლევერენდი, ლეონიდ ლევანის ძე არაზეტოვი, გრიგოლ ტიმოთეს ძე კოვალენკო, მიხეილ ვასილის ძე სანილიანი, გაბრიელ მიქელაძე, (მცხ. თამარის ქ. № 24), ოლღა რაედონის ასული რევაზიშვილი, ელისაბედ გრიგოლის ასული გაგარიდოვა, ფაიდან თრანცის ასული კარასტუკა და ლიუდმილა მამრის ასული ტარასენკო. ხსენებულ პირებს ბრალდებათ ქურდობა.

გაფლანგვა

დაპატიმრებულია ლაზარე გრიგოლის ძე მხატაძე, რომელმაც გაფლანგა გამომცემლობა „ქართული წიგნი“-ს კუთვნილი ფული 584 მანეთის რაოდენობით.

ბანდიტების თავდასხმა

ლაგოდეხი, 11 ნოემბერი. 11 ნოემბერს, დილის 8 საათზე, რამდენიმე ყაჩაღი თავს დაესხა გასაძარცვავად სახალხო მამულს. მოხდა შეტაკება, რომელმაც ნახევარ საათს გასტანა. ადგილობრივი ძალების შემწეობით მოხერხდა თავდამსხმელების გაფანტვა. ყაჩაღებმა ვერაფერი გაიტაცეს (ადს).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

პროლეტარული მწერლობა.—წიგნი პირველი. ქუთაისი

საქართველოს პროლეტარული მწერლობის იდეური და შემოქმედებითი ზრდა — უდავო ფაქტია. მაგრამ ეს ზრდა ზოგიერთ ადგილას თავისი არსებობისათვის ბრძოლის პერიოდს ჯერ კიდევ არ გასცილებია. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ქუთაისის განყოფილების მიერ გამოცემული 1-ლი წიგნი.

წინასიტყვაობაში კრებულის გამომცემელნი სწერენ, რომ „მათი მოქმედება გაცლილია ყოველგვარ წვრილ - ბურჟუაზიულ ლიტერატურულ ხერხებისაგან“ და „აფრა ლაზათიანად (!) მომართულ ცხოვრების ზღვაზე“ უკვე გაშლილია. ეს დეკლარატიული განცხადება, თუ იმ ნიმუშების მიხედვით ვიმსჯელებთ, რომლებიც ამ კრებულშია წარმოდგენილი, სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. ცოტა ზევით იმავე წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „მშრომელი მკითხველი საზოგადოება, რომელიც **სხვადასხვა პირობების გამო, ვერ იცნობს პროლეტარულ მწერლობას,** მაგრამ აღტაცებით ცლის **ჩვენ ხილვას,** ღირსეულად შეაფასებს ამ პირველ—მცირე ნაშრომსაც-კი“.

მიუწვდომელია, თუ დღეს რა პირობები უშლის ხელს მშრომელ საზოგადოებას გაიცნოს პროლეტარული მწერლობა. ვარწმუნებთ წინასიტყვაობის ავტორებს, რომ არავითარი ამისათვის ხელისშემშლელი პირობები არ არსებობს. ხოლო ერთი კი საეჭვოა, სახელდობრ ის, რომ მშრომელი საზოგადოება აღტაცებაში მოვიდეს იმ ნაწარმოებთა „ხილვისაგან“, რომლებიც ამ კრებულშია წარმოდგენილი.

მხატვრული ლიტერატურის განყოფილება იხსნება **ანაზარდის** ლექსით „ქალაქის სახე“. ლექსში ავტორი ცდილობს მოგვცეს დინამიკა თანამედროვე ქალაქის, მაგრამ ამას იგი ვერ აღწევს და შედეგად ულაზათო სიტყვათა მექანიურ გროვას ვღებულობთ.

ო, ეს ქალაქი — უსაზღვრო არის—
უუდიდესი: **ეტევა ველარ ის თავის ქერქში, გადაგვერია... მოვლენას ყოველს ასეთი სჩვევია წესი, და თავქოჩორა, სოფელო, ეხლა შენი ჯერია.**

თუ მართლა ყოველი მოვლენის წესი— გადარევაა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ წესს თვით ანაზარდიც ვერ ასცდება. მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ ქალაქი ავტორს განყენებულად აქვს წარმოდგენილი, იგი ვერ არჩევს კაპიტალისტურ ქალაქს, რომლის წესი შესაძლებელია მართლაც „გადარევაა“, ჩვენ ინდუსტრიალურ ცენტრებისაგან, სადაც მოცემულია სოციალისტური მშენებლობის ტემპი და სადაც „ოფლი იღვრება“ სულ სხვა მიზნისათვის. თანამედროვე ქალაქის გაგებისათვის მარტო იმის წამოძახება არ არის საკმარისი, რომ

„ო! მანქანები ბრაზიან ძგერით ლოთობენ ოხრად“..

პროლეტმწერლებმა უნდა იცოდნენ, რომ ამ „გადარეულ“ ქალაქს, „თავქოჩორა“ სოფელი არ გაყვება, რომ არსებობს ქალაქისა და სოფლის დაახლოვების, განვითარების **სხვა გზები. არ სჩანს, რომ ავტორზე ნაყოფიერი** გავლენა მოეხდინოს ე. ვერჰარნის „ქალაქებს“. ანაზარდის პოეტური სტილის დამახასიათებელია გამოთქმები „ოქტომბრის კვერთხი“, „სუფევის ზეთი“, „პიონერ ჰიმნის ჩირაღი ღლეჩავს (!!) გაგუდულ არეს“ და სხვა.

თუ გვინდა განთავისუფლება წვრილ-ბურჟუაზიულ ლიტერატურულ ხერხებისაგან, საჭიროა თავი დავაღწიოთ ყოველგვარ „სუფევის ზეთებს“ და „ოქტომბრის კვერთხებს“. პროლეტარული მწერალი ასეთ გამოთქმებს არ უნდა ხმარობდეს.

შემდეგ აღსანიშნავია **დია - ჩიანელის** „მეველე“. როგორც ეს ამ ესკიზიდან სჩანს, დია-ჩიანელი წინსვლის ნიშნებს ვერ იძლევა. ავტორს აუღია მეტად შაბლონური სიუჟეტი — მეველე ზაქრო დაინახავს ყანაში „ლურჯ - თვალებიან“ ინგურაძის ქალს და შეუყვარდება. ამ სიყვარულის შედეგად ის „ციმბირსაც კი მოინახულებს. ეს ტრაფარეტი კიდევ მოსათმენი იქნებოდა, რომ მოთხრობა სტილის მხრივ გამართული იყოს და მაგალითებ. მეველე ზაქრომ დაინახა „ლურჯ - თვალა“ ქალი, რომელიც ტაროებს სტეხდა ყანაში.

„ზაქრო
იდგა... კიდევ იდგა..
იდგა... მზე ჩავიდა. იდგა.. და კიდევ იდგა.
ფიქრობდა... კიდევ ფიქრობდა და რას ფიქრობდა!“ აძლევს დია - ჩიანელი მკითხველს ამოცანას. ნუ თუ შთაბეჭდილების გაძლიერებისათვის საჭიროა რამოდენიმეჯერ იმის განმეორება, რომ ზაქრო იდგა, კიდევ იდგა და ასე დაუსრულებლივ. ავტორი ამით სრულ საწინააღმდეგო ეფექტს აღწევს: მკითხველს ბეზრდება ერთი და იგივეს „გლახა ჭრიაშვილივით“ რამოდენიმეჯერ განმეორება. შესაძლებელია დია - ჩიანელი, იმ ფაქტში, რომ ზაქრო კიდევ იდგა, რაღაც მისტიურ მომენტს ამჩნევს. მწერალმა თავი უნდა დააღწიოს უაზრო განმეორებას და სიტყვების რაც შეიძლება უფრო მეტი ეკონომიით, შექმნას სათანადო განწყობილება.

კრებულში შედარებით კარგია **ილ. ხოშტარიას** „რიონჰესს“.

„სამუშაოზე გათენებისას
ყველას გულები ხალისით ირთვის
და, აჰ მუშებმა ძარღვიან მკლავით
კლდეს დააჯახა რიონის ზვირთი.

ავტორს გაყავს პარალელი ბაგრატ მეფის ტაძრის ნანგრევებსა და იმ მშენებლობას შორის, რომელიც სწარმოებს ქუთაისში.

კარგი არის აგრეთვე **ბესოშვილის** „საგრენაჟოში“.

ჩვენ გვერდს აუვლით სხვა ნაწარმოებს და შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას კრებული „თეორიულს“ ნაწილზე. აქ პირველ რიგში აღსანიშნავია **თ. ღევდარიანის** წერილი „პროლ. მწერ. დასაყრდენი“. წერილი მოწაფის ჩავარჯიშების შთაბეჭდილებას სტოვებს. აუცილებლათ დაგვჭირდებათ მისი რამოდენიმეჯერ გადაკითხვა (რისათვის დიდი მოთმინებით უნდა იქნეთ აღჭურვილი), რომ გაიგოთ, თუ რა უნდა ეთქვას ავტორმა.

აი ღევდარიანის სტილის ნიმუში:

„... საზოგადოებრივი ურთიერთობის საფუძვლების ახლით შეცვლა, **მყისვე ამეტყველებს ხოლმე მასიურ ნებას,** გამოაღვიძებს **საზოგადოებრივ ფენათა სიღრმეში დაგროვილ შემოქმედ პოტენციის თადარიგს... და არ დაცხრება მანამ, ვიდრე არ დასწვავს და გაანადგურებს ძველი სამყაროს ნაშთებს და მათ შორის საზოგადოებრივ პსიხიკის სიღრმეში შთენილ ძველ ჩვევებს და ტრადიციებს; იბობოქრებს ვით ქარიშხალი** (შექსპირისებური პათოსი!), სანამ არ შეცვლის ყოველივე მას, რაც არ **ეგუება განახლებულ ყოფადობის საფუძვლებს**“ და სხვა.

ან კიდევ: „ოქტომბრის რევოლუციის ხანძარმაც დასწვა თუ არა ძველი საზ.—ურთიერთობის **დასაყრდენი,** მშრომელი მასები მოასწყვიტა კონსერვატიზმით დახავსებულ და **ნესტიან ნიადაგს, მძლავრი სრბოლით** (!) **გააქანა ისინი წინ**“. და სხვა.

ვის რად სჭირდება დღეს ეს გულის - ამჩუყებელი ბრტყელ - ბრტყელი ფრაზები. ამაზე თვით ავტორმა გასცეს პასუხი. კარგი იქნება, თუ მაღალ ფრაზებს დავანებებთ თავს და ვილაპარაკებთ მშრომელი მკითხველისათვის გასაგებ ენაზე.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქუთაისის პროლეტარული მწერალთა ჯგუფი ასეთი ნიმუშებით, „საერთო შემოქმედებით სალაროში“ ვერავითარ წვლილს ვერ შეიტანს.

დ. მ—ძე.

ივ. გომართელი—„გლეხის კარაბადინი“

სახელგამ. 1928 წ. გ. 414. ტირაჟი 3000. ფასი 2 მან.

ვინ არ იცის, რომ სოფლად ჯერ კიდევ დიდი გასავალი აქვთ მკითხავებსა და ექიმბაშებს. მათ მიერ წარმოებული „მკურნალობა“ არა ერთი ადამიანის ჯანღონისა და სიცოცხლეს იწირავს. ამ მხრივ მეცნიერულ და ამავე დროს პოპულიარულ ნაშრომს უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლია გლეხობისათვის.

ჩვენი გლეხობა დიდი ყურადღებით ექცევა გამოცდილი ადამიანის ყოველივე დარიგებას დატეხილ უბედურების შესამსუბუქებლად და ამიტომ არის ხალხში დარჩენილი ისეთი დიდი ავტორიტეტი ძველი ხალხური კარაბადინებისა, რომელთა ცნობები შთამომავლობიდან შთამომავლობას გადაეცემოდა ხოლმე.

ავტორის მიერ წიგნისათვის მიცემული სახელწოდება ამ მხრივ საგულისხმოა.

ავტორს შეუკრებია ყველაფერი ის, რაც მას სახალხო ჯანმრთელობის შესახებ უწერია მრავალი წლის განმავლობაში სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში და სახელგამის საშუალებით ცალკე წიგნად გამოუცია.

მთელი წიგნი დაწერილია უბრალო, მხატვრული ენით, მკითხველად ნაგულისხმევია გლეხური მასსა და გლეხების გაბაასების, შეკამათების და შეკითხვების სახით. მათი ყოფა-ცხოვრების საკითხებთან დაკავშირებით, აღწერილია ყოველგვარი ავადმყოფობა, ჰიგიენური და ფიზიოლოგიური პირობები, რომლებიც ამ ავადმყოფობებს იწვევენ, და საშუალებები, რომლებითაც შეიძლება მათი აცილება.

ადამიანის აგებულებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის ძირითადი ზომების გარკვევის შემდეგ წიგნში ცალკე თავებად არის განხილული სხვადასხვაგვარი ავადმყოფობანი, როგორიც არის: მწვავე გადამდები სნეულებანი, გულის სნეულებანი, საჭმლის მომნელებელ ორგანოების სნეულებანი, სასუნთქავი ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი და ისეთი ავადმყოფობანიც, რომელნიც ადამიანს შემთხვევით დაემართება ხოლმე.

წიგნში განსაკუთრებით აღსანიშნავია ავადმყოფობათა ყოფა - ცხოვრების საკითხებთან დაკავშირება: უსუფთაობას, ლოთობას, ჯანღონის გაუფრთხილებელი ხარჯვას. ავტორი საფუძვლად აღიარებს მრავალ ავადმყოფობათა გართულებისათვის და აღნიშნავს მათ გადამწყვეტ მნიშვნელობას ადამიანის სიცოცხლისათვის.

სისუფთავეს ადამიანის ჯანმრთელობისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საკვებ ნივთიერებას; „ჩემს სიცოცხლეში ბევრი გაჭირვებული და დავრდომილი მინახავს, მაგრამ სიმშილით მკვდარი ჩვენში მე არ მინახავს. სიბინძურისა და უსუფთაობისაგან მკვდარი კი. აქედან ჩვენს სოფლებში ჰიგიენური ცხოვრების შეჩვევა, აბანოების აგება, გლეხობის მიერ ელემენტარული სისუფთავის წესების დაცვა ავტორის მიერ აღიარებულია დიდ საქმედ.

საერთოდ მთელი წიგნის მასალა კარგად არის შერჩეული. იგი უსათუოდ აღსანიშნავია ჩვენი მეტად ღარიბ სახალხო ჯანმრთელობის ლიტერატურაში. სახელგამმა დროზე გამოსცა ეს გამოსადეგი წიგნი. მხოლოდ საჭიროა ეს ნაშრომი მარტო თბილისის ბაზარზე არ შერჩეს, როგორც ეს ემართება მრავალ ჩვენს გამოცემას, არამედ მივიდეს ნამდვილ მომხმარებლამდე, გლეხობამდე, ვისთვისაც იგი არის დანიშნული.

გარეგნულად წიგნი არ არის ცუდად გამოცემული. მხოლოდ შეიძლებოდა ტირაჟის გადიდება და ფასის დაწევა, რომ წიგნი ყველასათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო.

„გლეხის კარაბადინი“ გამოადგება არა მარტო გლეხობას, არამედ ყველას, ვინც თავის ჯანმრთელობის დაცვით არის დაინტერესებული.

ი. ა.

ზ. მ. კლიმიაშვილი—„საქართველოს გეოგრაფია“

სახელმძღვანელო შრომის სკოლის მე-6 ჯგუფისათვის. სახ. გამომცემლობა. თბილისი. 1928 წ.

ჩვენს სკოლას მრავალი დაბრკოლება ელობება წინ. ერთი ამ დაბრკოლებათაგანი არის შესაფერ სახელმძღვანელოების უქონლობა. ამ ნაკლის შევსება მიზნად დაუსახავს მოქ. ზ. მ. კლიმიაშვილს თავისი „საქართველოს გეოგრაფია“-ს გამოცემით. ეს სახელმძღვანელო მრავალი მხრით არის საყურადღებო. ავტორს ისეთი წიგნი შეუდგენია, რომელიც მოზარდ თაობას ყველაზე მეტად ესაჭიროება. წიგნის შინაარსი შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს. პირველ თავებში (1—69 გვ.) მოცემულია საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიულ მიმოხილვა, როგორც მაგალითად, ზედაპირის აგებულება—წყლები, ჰავა, ნიადაგი, მადანთა, მცენარეთა, ცხოველთა სამეფოები, ხოლო ამის შემდეგ (74—121 გვ.) აღწერილია ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ვითარება. აქ მოცემულია ახალი სტატისტიკური ცნობები და დიდი ყურადღება აქვს მიქცეული საბჭოთა მეურნეობასა და მის დამახასიათებელ თვისებებს, ჩვენი მეურნეობის ეხლანდელ მდგომარეობას და მომავალ პერსპექტივებს, ხელისუფლების გეგმებს ამ დარგში, ახალ წარმოწყობათა აღნუსხვას და სხ. ამ მხრივ იშვიათად თუ მის გეოგრაფიას სხვა რომელიმე სახელმძღვანელო შეედრება. წიგნი დაწერილია მშვენიერი ქართული ენით, კარგი მეთოდიური მიდგომითა და მასალების ლოღიკური დალაგებით და, რაც უმთავრესია, ხელისუფლების მიზნებისა, ცდებისა და მოქმედების საუცხოვო დახასიათებით. ავტორი ობიექტიურად აღწერს, რასაც ხედავს და იცნობს და არსად მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს ადგილი არა აქვს. წიგნი დასურათებულია, მიზანშეწონილი სურათებით. აგრეთვე წიგნის ბოლოს დართული არის სპეციალური აზერბეიჯანისა და სომხეთის ს. ს. რესპუბლიკების მოკლე, მაგრამ შინაარსიანი გეოგრაფიული აღწერა და მთავარი საექსკურსიო სვლის გზები.

წიგნის მთავარი ნაკლოვანებანი შემდეგში მდგომარეობს:

1) წიგნში არ არის მოცემული კარტოგრამები და დიაგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობდა როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიულ პროვინციების გაგებას, ისე ქვეყნის ეკონომიურ ზრდასა თუ განვითარების ტემპის შენელებას გვიჩვენებდა უფრო ნათლად, ვიდრე მშრალი ციფრები. ამნაირი კარტოგრამების შედგენა ძნელი არ იყო, მაგალითად—ჰავისა, ნიადაგისა, მცენარეულობისა, ცხოველებისა, მეტადრე მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობისა, განაწილებისა, სიმჭიდროებისა და სხ. აღნიშვნით. დიდათ შეუწყობდა ხელს შინაარსის გაგებას და თვალსაჩინოებას დიაგრამები—მაგალითად, სამთომადნო მრეწველობის განვითარებისა, შედარებითი დიაგრამები მოსავლისა სხვადასხვა ქვეყნებში და სხ.

2) წიგნს დართული აქვს რუკები, რომლებიც შესრულების მხრივ ბევრ რასმეს მოითხოვს. მაგ., ამ რუკებზე მოწაფეს არ შეუძლია იპოვოს მთაგრეხილები, რომლებიც წიგნის ტექსტში საკმაოთაა აღნიშნული. თვით რუკები ტეხნიკური მხრით ვერ არის კარგად შესრულებული.

3) საქართველოს მოსახლეობის შესწავლის დროს ავტორს მხედველობაში არ მიუღია ბუნებრივი და საერთო ზრდა მოსახლეობისა წლიურად, ყოველ ათას სულზე და ქალაქის მოსახლეობის პროცენტული შეფარდება; არაა აღნიშნული საქართველოს ქალაქების (მეტი წილის) „სოფლური“ ხასიათი, მოსახლეობის სიმჭიდროვე მაზრების მიხედვით და სხ. მაგრამ ყველა ეს ადვილი გასასწორებელია და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ შემდეგი გამოცემისათვის ავტორს სახეში ექნება. საერთოდ კი წიგნი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ი. რ.

სასამართლო

ზაფლანგვა ინვალიდთა დამხმარე კომიტეტში

(პროცესის მეოთხე დღე)

დამთავრდა მოწმეების დაკითხვა.

დამცველი ამირაგოვი შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე, რათა პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი, როგორც ბოროტმოქმედების თანამონაწილენი: ინვალიდთა კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი **ნინუა** და კომიტეტის ერთ-ერთ სავაჭრო ფარდულის გამგე **რატიშვილი**, ხოლო საქმე გადაიგზავნოს დამატებით გამოსაძიებლად.

სასამართლო გადის სათათბირო ოთახში დადგენილების გამოსატანად.

ნახევარი საათის თათბირის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს დადგენილება, რომლითაც დამცველს შუამდგომლობაზე უარი ეთქვა, რადგან საქმეში დართული მასალების მიხედვით ყოვლად შეუძლებელია **ნინუასა და რატიშვილისათვის** ბრალის დადება რაიმე დანაშაულებრივ მოქმედებაში. სასამართლოს აზრით, დამცველის შუამდგომლობა მოკლებულია ყოველგვარ ფაქტიურ საფუძველს და მიზნად ისახავს მხოლოდ საქმის გაჭიანურებას.

გრძელდება საქმის განხილვა. მხარეები ექსპერტებს აძლევენ წერილობით შეკითხვებს გაფლანგულ თანხის რაოდენობის გამოსარკვევად.

ექსპერტებს სამუშაოდ ეძლევა ერთი დღის ვადა.

შემდეგ სხდომაზე მოსმენილი იქნება ექსპერტების დასკვნა და დაიწყება მხარეთა კამათი.

ინჟენერი, რომელიც „გამოსარჩენისათვის“ მუშაობდა

თბილისის სამაზრო სასამართლოს გამსვლელმა სესიამ სოფელ ფასანაურში საჯაროდ გაარჩია ინჟენერ **კონსტანტინე არლოვსკი** და მისი ხელქვეითი თანამშრომელი **ილიკო მოსეს ძე ამირიძე**.

ინჟენერი **არლოვსკი** 1925 წელს გზატკეცილების სამმართველომ გაგზავნა სამუშაოების ხელმძღვანელად სამხედრო გზაზე ფასანაურის და მლეთის რაიონებში. მასთან ერთად მუშაობდა როგორც ოსტატი **ილიკო ამირიძე**.

ოსტატი და ინჟენერი შეუთანხმდნენ ერთმანეთს და გადასწყვიტეს ყალბი ანგარიშების შედგენის გზით „გამოსარჩენი“ მიეღოთ გზატკეცილების სამმართველოს თანხებიდან. ისინი წინასწარ იყვნენ გარიგებული მუშებთან სამუშაო ხელფასის შესახებ, მაგრამ სამმართველოსათვის წარსადგენი ანგარიშში მათ მუშების ხელფასი გაორკეცებულად შეჰქონდათ. იყო შემთხვევები, როცა მუშებს ხელს აწერინებდნენ მაგალითად, 200 მანეთის მიღებაზე, ნამდვილად კი მუშები იღებდნენ 100 მანეთს, დანარჩენს კი „კომბინატორები“ ინაწილებდნენ.

ამბავი ასეთი ბოროტმოქმედების შესახებ მალე მივიდა გზატკეცილების სამმართველომდე. მაშინვე გაიგზავნა კომისია სინამდვილის გამოსარკვევად.

დადასტურდა, რომ ასეთი ყალბი ანგარიშების შედგენით ერთმანეთთან შეთანხმებით არლოვსკის და ამირიძეს მიუთვისებიათ 1123 მანეთი. გარდა ამისა არლოვსკის კიდევ აღმოაჩნდა საკუთრად გაფლანგული სამას მანეთამდე.

სასამართლო გამოძიებით ყოველივე ეს დამტკიცდა და **ორივე ბოროტმოქმედს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ორ-ორი წლით.**

ამ საქმეზე პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი მოქ. **იაგორ ტრიპოლსკი** და **დიმიტრი ამირიძე**, რომელთაც არ დაუმტკიცდათ დანაშაული და განთავისუფლებულ იქნენ.

მსჯავრდადებულთ ამნისტიით სასჯელი გაუნახევრდა.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—**პ. ბურკაძე**, სახალხო მსაჯულები—**ზაქარიაშვილი** და **კაიშაური**, პროკურორი **შონია**, მდივანი—**თენეიშვილი.**

საძოვრის გულისთვის

გასული წლის ზაფხულზე საძოვრის გარშემო ლეჩხუმის მთაზე ჩხუბი მოუვიდათ მეჯოგეებს. მოდავე მხარეები იყვნენ ზუგდიდის მაზრის ჯგალის თემის მცხოვრებლები: **ლუკა, ვარლამ, კოწია და ლავრენტი კვარაცხელიები.**

ჩხუბის დროს კოწია კვარაცხელიას შვილმა ლავრენტიმ სცემა ლუკა და ვარლამ კვარაცხელიების მამას.

ძმებმა კვარაცხელიებმა შური ჩაიგდეს გულში და აპირებდნენ სამაგიეროს გადახდას.

ამა წლის მარტში სოფელ ჯილაში (სენაკის მაზრა) მდ. რიონის პირად თავისი ჯოგით დაბანაკდა **კოწია კვარაცხელია.**

გაიგეს თუ არა კოწია კვარაცხელიას ჩამოსვლის ამბავი, ძმებმა ლუკა და ვარლამ კვარაცხელიებმა გადასწყვიტეს შურის ძიება.

წაეპარენ ღამით მძინარე კვარაცხელიას, წამოაყენეს, წაიყვანეს რიონის პირად და დაუწყეს ცხვირპირში დანის ცემა. მძიმედ დაჭრილ-დასახიჩრებული კვარაცხელია ძმებმა გადააგდეს მდ. რიონში.

კოწია კვარაცხელია რამდენიმე დღის შემდეგ ნახეს დამღრჩვალი რიონში.

ლუკა და ვარლამ კვარაცხელიები გაასამართლა სენაკის მაზრის სასამართლომ.

თვითეულ მათგანს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა რვა-რვა წლით სასტიკი იზოლაციით. და 3 წლით უფლებების აყრა.

გერ.

რკინის გზებზე

შემთხვევებთან ბრძოლის ცენტრ. კომისიაში

ა.-კ. რკინისგზებზე შემთხვევებთან ბრძოლის საგზაო კომისიამ განიხილა საქმე მატარებელ № 109-ს დამტვრევის შესახებ. მატარებელი № 109 დაიმტვრა ავჭალა-დიდუბის გადასარბენზე სექტემბრის შუა რიცხვებში. კატასტროფის დროს დაიღუპა კონდუქტორი **ჩიხლაძე.**

კვლევა-ძიებამ გამოარკვია, რომ მატარებლის დამტვრევა გამოიწვია ერთ-ერთი ვაგონის ღერძის გატეხამ.

ჯერ კიდევ ღერძის გატეხამდე გზაში გაწყდა შემადგენლობა. მატარებელმა ისე გაიარა დიდუბე, რომ ვერც მემანქანე წულუკიძემ, ვერც მთავარმა კონდუქტორმა ბუგაძემ და ვერც სადგურის უფროსმა მასხულიამ ვერ შეამჩნიეს შემადგენლობის გაწყვეტა.

მასხულიამ სად. ავჭალას ნებაც კი მისცა გამოეშვა დრეზინა. ეს იმ დროს, როდესაც ფაქტიურად გადასარბენი დაკავებული იყო მატარებლის მოწყვეტილი ნაწილით.

თავის დროზე მიღებულ ზომებით დრეზინის დაჯახება ვაგონებზე თავიდან იქნა აცილებული.

კომისიამ ამ შემთხვევაში დამნაშავეებად სცნო სადგურის უფროსი მასხულია, მემანქანე წულუკიძე და მთავარი კონდუქტორი ბუგაძე და მისცა ისინი პასუხისგებაში სასამართლოს წესით.

ამ შემთხვევამ გზას მიაყენა 5.975 მანეთის ზარალი.

მოძრაობის შეფერხება

11 ნოემბერს სადგ. ქსანში მანევრების დროს ლიანდაგიდან გადავარდა ორთქლმავალი. ორთქლმავალმა დაიკავა ყველა ხაზები ისე, რომ მატარებლების შესვლა სადგურში შეუძლებელი გახდა.

ამის გამო გზაში გაჩერდნენ საბარგო მატარებლები, რითაც შეფერხდა მოძრაობა.

ნარევი

სკრიპკა ორ მილიონ მანეთად

სკრიპკაზე დამკვრელმა **იან კუბელიკმა** ამერიკელებს მიჰყიდა თავისი სკრიპკა, რომელიც ძველ ცნობილ ხელოსან სტრადივარიუსის მიერ არის დამზადებული.

კუბელიკმა სკრიპკაში ორი მილიონი მანეთი აიღო.

გადმოვარდნა აეროპლანიდან

ალპებზე (მთებია შვეიცარიაში) გაფრენის დროს აეროპლანიდან გადმოვარდა და დაიმტვრა მგზავრი ქალი.

იშვიათი გრიგალი

ლონდონის ცენტრალურ ნაწილზე გადაიარა გრიგალმა, რომელიც ხალხს აქცევდა. მრავალი სახლის ფანჯრებია ჩამტვრეული. ამ დროს კი ლონდონის სხვა უბნებში მშვენიერი დარი იყო.

ჯილდო საიქიოს

საფრანგეთის მთავრობამ საპატიო ლეგიონის ორდენით დააჯილდოვა ამას წინათ დაღუპულ წყალქვეშა ნავის მთელი რაზმი.

12 ფუთი

ატლანტიკ-სიტიში (ამერიკა) მოკვდა ყველაზე სქელი და მსუქანი ადამიანი დედამიწაზე—38 წლის ტიტმანი, რომელიც იწონიდა 192 კილოს (12 ფუთს).

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 13 ნოემბერი

დღეს, 13 ნოემბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

გლეხთა რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი—სომხურ ენაზე; ტექნიკური კონსულტაცია; საერთაშორისო მიმოხილვა—რუსულ ენაზე; გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე; ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე; კონცერტი სტუდიიდან.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 13 ნოემბერს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

მშენებელ მუშაკთა სექციიდან—მეხაშიშვილი ალექსანდრე, სტეფანიანი ავეტის, აგაჯანიანი ისპირი, ოგანეზოვი ხაჩიკი, განჯოიანი სედრაკი, ნარსია პეტრე, სარქისიანი ოგანეს, ქურხული ნიკოლოზი, ოლექსონინი არუთინი, დერიაბინი, ართვინოვი რუბენი, ხმალაძე მიხეილი, კირაკოზოვი პეტროსი ბარსეგიანი ალ., მხიტარიანი მხიტარ, ჯანიაშვილი ვლადიმერ, მძელური სიმონი, დანელიანცი არამი.

მედსექციიდან — ხუციშვილი მარიამი, ხარაზოვი ანნა, ჯაბაშვილი მარიამი, დარულაშვილი ანნა, დოლუშკევი ტატიანა.

შავ მუშაკთა სექციიდან—ჩხენკელი, ოსიპოვი გრიგორი, მელქონიანი, ასათუროვი.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან—კოხრეიძე დავითი, ნაზაროვი ალექსანდრე, მეძმარიაშვილი გიორგი, რამიშვილი ტატიანა, კეკელიძე ანტონი, ბაბაკიშვილი ალექსანდრე, რატიშვილი ოლღა, სამადაშვილი ნიკოლოზი, მატინოვი ლევანი, გეი ივანე, პაპავა ვერა, კორსუნსკი ნიკოლოზი, მირიმანოვი ზინაიდა, გაბრიელიანი სურენი, ნიკულიანი ივანე, ბაგრამოვი არშალიუს, კაბაჩნიკოვი ალექსანდრა, კვირიკაშვილი ვერა, მერაბოვი ელისაბედი, აგასიანი სურენი, კატერევი-მალიანცი ეკატერინა, მიმინოშვილი ქსენია, ახობაძე ლუბა, სახუაძე ივანე, კაკუჩაია ვარლამ, აბასაძე ტარასი, ერიციანი, ვირაბოვი ტიგრანუი, ბათმანაშვილი ალექსანდრე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 13 ნოემბერს, საღამოს 7 ნახევარ საათზე, საქ. კომპარტიის ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება კომისიის სხდომა, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ახრიბეკოვი, კანდელაკი, მიქაძე, კაჭარავა, მარიამ ორახელაშვილი და იმხანოვი (საქ. ლენ. კომკავშირის ცეკა).

—:—

წინადადება ეძლევა ამხ. მაქსიმელ ივანეს ძე ჩიმჩიურის ორი დღის განმავლობაში გამოცხადდეს საქ. კომპ. ცეკას საალრიცხვო-განმანაწილებელ ქვე-განყოფილებაში, ოთახი № 23.

—:—

დღეს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია საქ. პოლიტ. ინსტ. მექანიკურ ფაკულტეტის უჯრედის ბიუროს სხდომა. იმავე დღეს, საღ. 7 საათზე შესდგება ამავე ფაკულტეტის უჯრედის კრება.

—:—

დღეს, საღ. 6 საათზე მოწვეულია სახ. უნივერსიტეტის პედ. ფაკ. კომუჯრედის ბიუროს სხდომა კომკავშირის ბიუროებთან ერთად. დასწრება სავალდებულოა.

—:—

სახ. უნივ. სოც.-ეკონ. ფაკულტეტის 1-ლ და მე-2 კურსთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედის სხდომა შესდგება ოთხშაბათს, 14 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე.

—:—

სახ. უნივ. სოც.-ეკონ. ფაკ. მე-3 და მე 4 კურსთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო აცხადებს იმ წევრთა საყურადღებოდ, რომლებიც მივლინებული იყვნენ პრაქტიკაზე, რომ მათ ევალებათ 4 დღის განმავლობაში წარმოადგინონ ბიუროში დახასიათებანი მათი მუშაობის შესახებ ზაფხულის პერიოდში პრაქტიკის ადგილებზე დაწესებულებებში

დღეს, პირველ საათზე მოწვეულია სახ. უნივერსიტეტის გაერთ. კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივის სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

—:—

დღეს, საღ. 6 საათზე, აგრ. ფაკ. შენობაში შესდგება ამავე ფაკ. მე-3 და მე-4 კურსის ა. ლ. კ. კ. ბიუროს სხდომა.

სამშაბათს, ა. წ. 13 ნოემბერს საღამოს სრულ 6 საათზე თბილისის კომიტეტის საარრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 66) **შესდგება საქ. კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის მორიგი სხდომა.**

სავალდებულოა ქვემო დასახელებულ ამხანაგების დასწრება: სერგო მეგრელიშვილი, ხორხელი, ფაფახჩიანი, ქართველიშვილი მაქსიმე და აგრეთვე ამხანაგები კილაძე, როუჰოუ, ტეხტიკოვი; კარანაძე, გევორქოვი, ჯულიძე, გორდელაძე და ჰურლულია, (თბილისის ბიურო).

—:—

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკა აცხადებს, რომ ა. წ. 14 ნოემბრის საღამოს ექვს საათზე მუშათა სასახლის დარბაზში გაიხსნება სრულიად **საქართველოს თათბირი ახალგაზრდობის შორის მუშაობის შესახებ.**

ქვემო დასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

1. შავგულიძე, 2. ცხაკაია, 3) აბდუშელიშვილი, 4. კერესელიძე, 5. მაისურაძე, 6. ჯიქია; 7. ბეგიაშვილი, 8. კიპრაზოვი, 9. ბეჟაბოვი; 10. დანელოვიჩი; 11. ლეკვეიშვილი; 12. აბულაძე; 13. დუნდუა, 14. ქორიძე; 15. სიმონიშვილი; 16. ებიაშვილი; 17. დავლიანიძე; 18. არჩვაძე; 19. მკრტიჩიანი; 20. აჯიბეგაშვილი. 21. გუდიაშვილი, 22. ბარძამაშვილი, 23. ნერსესოვი; 24. გოცირიძე, 25. ბოკერია.

გულმოკლულნი დედა ეფემია, მეუღლე ოლღა და დები: მარიამი, ნინო, ევგენია (ჟენია) და სიძე ბიქტორ ქვანია აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ახლობელთ მათთვის დაუვიწყარ, ერთად-ერთი იმედის ექიმ

ალექსანდრე (საშა) მამულაიშვილის

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას 10 ნოემბერს, ქალ. მე-2 საავადმყოფოში (ყოფ. ალექსანდრეს). გამოსვენება დღეს ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე, საკუთარ ბინიდან, მატინოვის ქ. № 1. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 4837

ქიფო და დოიებტი თალაკვაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ოჯახის საუკეთესო მეგობარი, ძვირფასი და საყვარელი

ექიმი საშა მამულაიშვილი

გამოსვენება სამშაბათს, 13 ნოემბერს, 3 ნახ. საათზე ბინიდან (მატინოვის ქ. № 1). (გ)

ფედოსი სპირიდონის ასული, ბაბო ვასილის ასული, ლოლია, გრიშა, კოკოშა და შალიკო სილევანის-ძე ორაგველიძეები გულდამწვარნი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი ოჯახის დაუფასებელი მოამაგე საყვარელი

ექიმი ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე მამულაიშვილი

გამოსვენება სამშაბათს, 13 ნოემბერს, 3 ნახ. საათზე ბინიდან (მატინოვის ქ. № 1). (გ)

ძმა ლადიკო და რძალი ივლიტა მამულაიშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს დაუვიწყარ და ძვირფას

ექიმ ალექსანდრე (საშა) მამულაიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. (ე)

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 10 ნოემბერს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა შინაგან სნეულებათა ჰოსპიტალურ კლინიკის ასისტენტი

ექიმი ალექსანდრე მამულაიშვილი

დაკრძალვა სამშაბათს, 13 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ. 1828

სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მუშაკთა გაერთიანებული ადგილობრივი კომიტეტი ამით ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 10 ნოემბერს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი კავშირის წევრი, შინაგან სნეულებათა ჰოსპიტალურ კლინიკის ასისტენტი

ექ. ალექსანდრე (საშა) მამულაიშვილი

დაკრძალვა სამშაბათს, 13 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 4849

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 10 ნოემბერს ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა შინაგან სნეულებათა ჰოსპიტალურ კლინიკის ასისტენტი

ექიმი ალექსანდრე მამულაიშვილი

დაკრძალვა სამშაბათა, 13 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ. 1828

ღრმათ დამწუხრებული ივლიანე იესეს-ძე სულუხია, მეუღლე ძატროაე, რძალი თამარი, შვილები: მოსე, სონია, მიხაკო, პუპულა, დარეჯან და ბადიში გივი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათი ძვირფასი სიძის, სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგან სნეულებათა ჰოსპიტალური კლინიკის ასისტენტის

ექ. ალექსანდრე (საშა) მამულაიშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. 4850

ცეცილია, ალექსანდრე და სამსონ წუწუნავა, ფლორენცია და ალექსი ბოლქვაძე მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მათი ძვირფასი მეგობრის

ექიმ საშა მამულაიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. ახალ ვერის სასაფლაოზე. (ე)

ნინა რაჟდენის ასული და გრიგოლ ანტონის-ძე წულუკიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან მათი დაუვიწყარ საყვარელ მეგობრის

ექიმ საშა მამულაიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 13 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. (ე)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის მე-3 წყების კურს დამთავრებული ექიმები აუწყებენ საზოგადოებას, რომ 10 ნოემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საუკეთესო ამხანაგი, ავათმყოფთა გულწრფელი მეგობარი, უაღრესათ კეთილ სინდისიერი მუშაკი და ნიჭიერი ექიმი

ალექსანდრე (საშა) მამულაიშვილი

გამოსვენება საკ. ბინიდან, მატინოვის ქ. № 1, სამშაბათს 13 ნოემბერს, 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. (შ)

შინაგან სნეულებათა პროპედევტიული თერაპიული კლინიკა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ჰოსპიტალურ თერაპიულ კლინიკის ასისტენტის ექიმ

ალექსანდრე (საშა) მამულაიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. (შ)

ჯანსახკომისარიატის ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 10 ამა ნოემბერს, 5-ს. 30 წ., ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თავდადებული და ერთგული მუშაკი

ექიმი ალექსანდრე მამულაიშვილი

გამოსვენება ბინიდან (მატინოვის ქ. № 1), 13 ნოემბერს ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა—ვერის ახალ სასაფლაოზე. 4842

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლად კურს დამთავრებული ექიმები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას იშვიათი ადამიანის ენერგიული მუშაკის ექიმ

ალექსანდრე (საშა) მამულაიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 4844

თბილისის სახ. უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს კოლეგიუმის წევრის, ძვირფას ამხანაგის და იშვიათ ექიმის

ალექსანდრე (საშა) მამულაიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 4843

თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის ჰოსპიტალური ქირურგიული კლინიკა მთელი თავისი შემადგენლობით ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ძვირფასი ამხანაგის ჰოსპიტ. თერაპიულ კლინიკის ასისტენტის

ექიმ ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე მამულაიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 1862

თავზარდაცემულნი და ღრმად დამწუხრებულნი ოლღა ირაკლის ასული და ნიკოლოზ დიმიტრის-ძე მგელაძეები, ლიუდმილა ირაკლის ასული და იპოლიტე გიორგის-ძე გრიგორაშვილები, თამარა ირაკლის ასული დუმბაძე აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 10 ამა ნოემბერს უდროოთ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი, დაუვიწყარი და მუდამ ტკბილათ მოსაგონარი ძმა და მეგობარი

ექიმი საშა მამულაიშვილი 4838

თბილისის უნივერსიტეტის შინაგან სნეულებათა ჰოსპიტალური კლინიკა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 10 ნოემბერს საღამოს 5 საათ. 30 წ. ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კლინიკის ასისტენტი, თავდადებული და ერთგული მუშაკი

ექიმი ალექსანდრე მამულაიშვილი

დაკრძალვა დღეს ვერის ახალ სასაფლაოზე 3 ნახ. საათზე. 4840

ნიკოლოზ გრიგოლის-ძე ღლონტი შვილებით მარიამ, ვალენტინა, გრიგოლ, ილია, ალექსი და დიმიტრი, სიძე მიხეილ ლორთქიფანიძე, დაი ეკატერინე და სიმონ ესაკიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ ტერაპევტიულ კლინიკის ასისტენტის

ექ. საშა მამულაიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 4845

ელენე ივლიანეს ასული და ალექსანდრე დიმიტრის-ძე ღლონტები შვილებით: თამარ, ქეთევან, ნინო და რუსუდანი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

ექ. ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე მამულაიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 4846

სასოფლო-მეურნეობის და ტყის მუშათა კავშირის ც. გ. პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით აუწყებს ჩვენი კავშირის ყველა განყოფილებებს და კავშირის წევრებს, რომ მივლინებაში ყოფნის დროს 10 ნოემბერს, ქ. დუშეთში უდროოდ გარდაიცვალა ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, რესპუბლიკის უფროსი შრომის ინსპექტორი, ძველი მუშა და რევოლიუციონერი

ამხ. სანდრო ოგანოვი

ქ. დუშეთიდან ცხედარი გადმოსვენებული იქნება ქ. თბილისში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ნ. 1825

უნუგეშო დედ-მამა ბარიტონი და მარიამი, დები: ნადია, ვერა, ქსენია, თამარი, ირაიდა ჯიმშელეიშვილები, ბიძაშვილი გიგლა კაშია აუწყებენ საზოგადოებას, რომ 15 ნოემბერს სოფ. კუხში 4 საათზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

ელეონორა (ძუკუ) ჯიმშელეიშვილის

ხსოვნის ალსანიშნავად. 4835

ღრმა მწუხარებით გაუბედურებული თამარა და ლილი გოშუები აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ერთადერთი მათი საიმედო ძმის

შალვა სოლომონის-ძე გოშუას

ხსოვნის ალსანიშნავათ 13 ნოემბერს, ქ. ზუგდიდში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 4847

სახელმწ. აკადემიური ოპერა ნ. 1823

(1928—29 წლის სეზონი)

დღეს, მე 2 აბონემენტის პირველი წარმოდგენა კ. გ. დერჟინსკაიას მონაწილეობით **პიკის ქალი**

14-ს მე-3 აბონემენტის პირველი წარმოდგენა **ლაკმე**

ყველა საბონემენტო წარმოდგენაზე ბილეთების ნაწილი იყიდება ჩვეულებრივი წესით.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახელმწიფო აკადემიური ოპერა 2—1 ნ. 1824

(1928—29 წლის სეზონი)

ხუთშაბათს, 15 ნოემბერს, კომპოზიტორ **პ. მ. ჩაიკოვსკის** გარდაცვალებიდან 35 წლის შესრულების აღსანიშნავად

შესდგება

სასწრაფო სიმფონიური კონცერტი

ა. ვ. პავლოვ-არბენინის ხელმძღვანელობით

თბილისის ოპერის მსახიობთა და ორკესტრის და მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერების კ. გ. დერჟინსკაიას (სოპრანო), ა. მ. ალექსეევის მონაწილეობით. (დაწვრილებით ცალკე აფიშებში).

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8-64

დღეს

ახალი გასტროლები

განახლებულ პროგრამის სანახაობანი

3 განყოფილებად

დასაწყისი საღამოს სრულ 8 ნახ. საათზე.

სალარო ღიაა 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5 საათიდან.

დაწვრილებით აფიშებში—წაიკითხეთ!!!

დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი,
ნ. 1821 3—1. მმართველი მ. ი. ტადე.

სახელმწიფო გამომცემლობა

მოითხოვეთ ახალი წიგნები.

1. კომინტერნის პროგრამის პროექტი. —60
2. ნ. ბუხარინი—საერთაშორისო მდგომარეობა და კომინტერნის ამოცანები (მოხსენება მე-6 კონგრესზე). —60
3. ვ. მოლოტოვი—კომინტერნის მე-6 კონგრესი და ბრძოლა კომუნიზმისათვის.—25
4. დეპეშინსკი—ბოლშევიზმის სათავეებთან. —25

ნ. 1814 3—2

რუსთაველის სახელმწიფო თეატრი 2—1 ნ. 1800

სამშაბათს, 13 ნოემბერს, უკანასკნელი ღია წარმოდგენა

„ანზორ“ ალ. შანშიაშვილის.

დადგმა ალ. ახმეტელის. კონსტრუქცია ირ. გამრეკელის.

ანონსი: 20 ნოემბ., მე-2 აბონემენტის მე-2 წარმოდგენა პრემიერა **„ხოჭოების დოლი“** კომედია 3 მოქ. ხოზიკასი

22 ნოემბერს—1 აბონემენტის მე 2 წარმოდგენა „ხოჭოების დოლი“ აბონემენტების მე-3 გადასახადის შეტანის უკანასკნელი ვადაა—16 ნოემბრამდე—რის შემდეგ გაუნაღდებელი აბონემენტები გაუქმებული იქნება.

საკავშირო ტყავეულობის სინდიკატი

აერთიანებს 39 ტრესტს, რომელნიც ხელმძღვანელობენ კარგათ მოწყობით ტყავეულობის ქარხნებს და ფეხსაცმელების ფაბრიკებს, სადაც მზადდება გლეხობისათვის საჭირო საქონელი: ლანჩა, სოქლის მეურნეს ცხენმოსართავი, ჩექმები, თათმანი (ტყავის სამუშაო ხელთათმანი), საქურქე ცხვრის ტყავი, ჰაპანი და სხვ. საქონლის დასამზადებლად საჭირო ნედლეულის მისაწოდებლად ქარხნებისათვის **ტყავეულობის სინდიკატი გლეხებისაგან ყიდულობს შინაურ პირუტყვის ტყავებს: ხარის ტყავს, უშობლის ტყავს, ტანი ხბოს ტყავს, ძუძუმწოვარა ხბოს ტყავს, ცხენის ტყავს, ღორის ტყავს, ძაღლის ტყავს და სხვ.**

სახელმწიფო ტყავეულობის ქარხნების საქონელს ტყავეულობის სინდიკატი ჰყიდის კოოპერაციის საშუალებით იაფად, გლეხებისათვის სავსებით ხელმისაწვდომ ფასებში.

ასე მაგალითად, საბითუმო ფასი:

წყვილი შეულებავ სამუჯეს ჩექმები ტყავის სარჩულით ყელის სიგრძე 47 სანტ.	11 მან. 92 კ.
წყვილი შეულებავ სამუჯეს ჩექმები ტყავის სარჩულით ყელის სიგრძე 54 სანტ.	12 მან. 19 კ.
წყვილი შეულებავი (მოყვითალო) სამუჯეს თასმებიანი ფეხსაცმელები	6 მან. 55 კ
წყვილი ხრომის თასმებიანი ფეხსაცმელი	8 მან. 07 კ.
წყვილი ჰაპანი	2 მან. 43 კ.
კეხსაბამი	1 მან. 10 კ.
საუკეთესო ხარისხის ულე	10 მან. 85 კ.

იმავე ფეხსაცმელებს, ტყავის და სასარაქო საქონელს ჰყიდიან კერძო ვაჭრები მეტად მაღალ ფასებში, რომელნიც სინდიკატის და კოოპერატივის ფასებს აღემატება 75—100 პროცენტით და გლეხები ამ საქონელში კერძო ვაჭრებს ყოველწლიურად აძლევენ ათეულ მილიონ ზედმეტ მანეთს.

რომ გლეხები მთელ ნედლ ტყავს აბარებდნენ სინდიკატს და კოოპერაციას, კოოპერატივებში იქნებოდა საკმარისი ფეხსაცმელები ტყავისა და სასარაქო საქონელი და გლეხებს არ დასჭირდებოდათ ამ საქონლის ყიდვა სპეკულიანტთან და კერძო ვაჭართან.

ჩააბარეთ მთელი ნედლი ტყავი ტყავეულობის სინდიკატს და კოოპერაციას! 2—1 ნ. 1804

თვალის ექიმი მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს

დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ელსმენი № 5—90.
ნ. 4 25—1

ექიმი
დარეჯან ე. თაყაიშვილი-კაკუბერი

სიფილისი, ვენერიული ￼და კანის სნეულება სემიონოვის (ვარდცვის ქ.) მე-9-რე უბანი, № 16,
მიღება დილის 8—9 საათ საღამ. 5—8 საათ.

ექიმი
ტერ-ოვაკიმოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად: **სქესობრივი ფუნქციონალური აშლილობა და სიფილისი.** (ფსიხიოტერაპია)

ავადმყოფების მიღება: დილაობით: 11—1 საათ; საღამოობით 5—8 საათ საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქ., № 48, ძორესის (ყოფ. კირკის) ქუჩის კუთხე. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) ირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 2. 25—2

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.

კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)
მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.
4598 25—1

ექიმი
ს. ანდრეევისა

დაბრუნდა

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა

ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29. ვერის ხიდთან. ელსმენი—11—78. ნ. 25—2

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

ავადმყოფთა მიღება დღის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. მესანგრეთა ქ.), ყოფ. კადეტთა კორპუსის მახლობლად
25—1 ნ. 5

თბ. ელექტრო ანაგებათა სამმართ. „თელასი“

აცხადებს, რომ ა. წ. 15 ნოემბრიდან მან შემოიღო „თელასისადმი“ კუთვნილ ფულის ადგილობრივად შეკრების (ინკასაცია) შემდეგი სისტემა:

1. ყველა აბონენტი ღებულობს პირად ანგარიშს (ბარათს) და თვეში ერთხელ, შეძლებისდაგვარათ ყოველი თვის ერთდაიმავე რიცხვში, აბონენტთან გამოცხადდება ინკასატორი დახარჯულ ენერგიის გამოსარკვევად, აკეთებს სათანადო აღნიშვნას საბონენტო ბარათზე, ადგენს ანგარიშს და იქვე ღებულობს აბონენტისაგან „თელასისადმი“ კუთვნილ თანხას.

შენიშვნა: აბონენტებს (წარმოება-დაწესებულებებს) რომელთაც თანხები არ გადახდებათ ადგილობრივად, „თელასი“ გაუგზავნის სათანადო ცნობას და მათ ენერგიის ღირებულება უშუალოდ უნდა შემოიტანონ „თელასის“ სალაროში წარდგენილ ანგარიშის მიხედვით.

2. ინკასატორები, რომელთაც აქვთ ფულის გადახდევინების უფლება, აღჭურვილი არიან პირადობის მოწმობებით. მოწმობაზე უნდა იქნეს თელასის ბეჭედდარტყმული ფოტოგრაფიული სურათი.

3. ფულის მიღების დროს ინკასატორი აბონენტს აძლევს დაწესებულ ქვითარს თავისი ხელმოწერით, რომელიც გარკვეული უნდა იქნეს. მიღებულ თანხას ის აღნიშნავს აგრეთვე საბონენტო ბარათზე.

4. ვინაიდან ანგარიშის გასწორების ასეთი წესი შემოღებულია აბონენტებისათვის საქმის გასაადვილებლად, „თელასი“ სთხოვს აბონენტებს მ სცენ ინკასატორებს მათი ამოცანის სწრაფად და სწორად შესრულების საშუალება და აგრეთვე შეამოწმონ მათი მუშაობა.

5. გაუგებრობის ყველა შესაძლო შემთხვევების შესახებ აბონენტებმა უნდა მიმართონ „თელასს“ პირადათ ან ტელეფონით 24—24 და 6—11.

„თელასის“ დირექტორი—**ბირიუკოვი.**
ნ. 1729 საქმეთა მმართველი—**გრომაშვილი.**

ექიმი
ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ½—8 ½ საათ ტელეფ.—12 -67. ნ. 3 25—2

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. №10

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია

დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12-ს—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 25—1

ექიმი
კ. ი. ჯალალოვი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 1. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი ავადმყოფობა.** სპეციალურად **კუჭის და ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ.

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., № 13.2
13—1 ნ. 1809

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, **ყოველგვარი ხელოვნური კბილების** ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე

შეღავათიან ფასებში სწარმოებს ყოველგვარ ხელოვნურ კბილების ჩასმა და პროტეზების მომზადება.

მიიღება ავადმყოფებს ყოველდღე კვირა უქმის გარდა საღამოს 4—6 საათამდე.

მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126. 25—1

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)

დღის 2—3 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4
ტელ. 14—23. 4829 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა **„სილამაზის ინსტიტუტი“**

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და ხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავად.

ძმელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 4821 25—1

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.

ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

ექიმი **ივ. გველესიანის**

პარაზიტოლოგიური

კაბინეტი

იღებს გამოსაკვლევად ყოველგვარ მასალას სპეციალურად სისხლის პარაზიტებზე (მალარია, სპიროხეტოზი და სხვა) და ნაწლავების პარაზიტებზე (amoeba, trichomonas, giardia intestinalis და სხვა protozoa: ჭიებზე) მასალა გამოსაკვლევად მიიღება: დილის 8—9, საღამოს 5—7 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქუჩა 38
ელსმ. 6—22 4364 25—1

დაიკარგა: პირადობის მოწმობა და საანგარიშო წიგნაკი № 2 მიხეილ პელიძის სახელზე, ჩ. გ. 4841

დაიკარგა: სამხედრო პირადი წიგნაკი № 138 გაცემული ოზურგეთის მაზრის სამხედრო კომისარიატიდან თეოფილე ბურჭულაძის სახელზე, ჩ.გ. 4848

დაიკარგა: სამხედრო სამსახურის დუბლიკატი № 317 შალვა ივანესძე ჯღარკავას სახელზე, ჩ. გ. 4839

დაიკარგა: ლომბარდის ქვითრები №№ 052189 და 018902 ჩ. გ. ფედოსი ბრეგაძე ნ. 1821

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.